178
1962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თეორიული ჟურნალი

1962 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1962 წელი

გამოცემის IX წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა 3

შ. გოგიძე — ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი 6

ა. კარანაძე — სოციალისტური ქვეყნების საარჩევნო სამართალი 16

მ. სტროგოვიჩი — სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი 25

მ. კომასხიძე — საბჭოთა ადვოკატურა ახალი ამოცანების წინაშე 32

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

შ. ჩიკვაშვილი — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხისათვის 39

ოფიციალური მასალა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები 47

სსრ კავშირის კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები 61

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილება № 7 74

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის დადგენილება № 8 74

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის დადგენილება № 9 75

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 18 დეკემბრის დადგენილება № 10 77

ვ. ჟვანია — ვაჟა სოფლის მოსამართლე 80

ნარკვევი

ა. აბესაძე, შ. ესიტაშვილი — გაღუნული ტყვია 84

ინფორმაცია 94

8845

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Сообщение Центральной Избирательной комиссии по выборам в верховный совет СССР 3
Ш. ГОГИДЗЕ — В. И. Ленин — первый депутат Московского Совета 6
А. КАРАНАДЗЕ — Избирательное право социалистических стран . . 16
М. СТРОГОВИЧ — Некоторые вопросы совершенствования законодательства об уголовном судопроизводстве 25
М. КОМАХИДЗЕ — Советская адвокатура перед новыми задачами 32

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Ш. ЧИКВАШВИЛИ — К вопросу о кодификации водного законодательства Союза ССР и союзных республик 39

ОФИЦИАЛЬНЫЕ МАТЕРИАЛЫ

Основы гражданского судопроизводства Союза ССР и союзных республик 47
Законы СССР, Указы Президиума Верховного Совета Грузинской ССР 61
Постановление Пленума Верховного Суда СССР от 12 сентября 1961 г. № 7 74
Постановление Пленума Верховного Совета от 14 декабря 1961 г. № 8 74
Постановление Пленума Верховного Суда СССР от 14 декабря 1961 г. № 9 75
Постановление Пленума Верховного Суда СССР от 18 декабря 1961 г. № 10 77

В. ЖВАНИЯ — Важа — сельский судья 80

ОЧЕРКИ

А. АБЕСАДЗЕ, Ш. ЭСИТАШВИЛИ — Искривленная пуля . . 84
ИНФОРМАЦИЯ 94

შეკ. № 1181
ტირაჟი 6.900
უე 03274

სარედაქციო კოლეგია
მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი
ო. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 5/VI-62 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VI-62 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი,“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

1962 წლის 18 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ

როგორც უკვე იუწყებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 18 მარტის არჩევნებმა საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა. არჩევნების შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს საბჭოთა საზოგადოების მაღალი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1962 წლის 18 მარტის არჩევნების საბოლოო შედეგები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების დებულების ზუსტი შესაბამისობით დათვალა ხმები და დაადგინა არჩევნების შედეგები თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებით ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა რიცხვმა მთლიანად სსრ კავშირში შეადგინა 140.022.359 კაცი, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 139.957.809 კაცმა ანუ 99,95 პროცენტმა.

მოკავშირე რესპუბლიკებში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი და არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი შემდეგია:

მოკავშირე რესპუბლიკები	სულ ამომრჩევლები	არჩევნებში მონაწილეობა მიიღო	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.725.696	78.683.883	99,95
უკრაინის სსრ	29.488.316	29.481.232	99,98
ბელორუსიის სსრ	5.346.550	5.344.434	99,96
უზბეკეთის სსრ	4.769.190	4.768.841	99,99
ყაზახეთის სსრ	6.264.564	6.263.398	99,98
საქართველოს სსრ	2.643.145	2.643.060	99,99
აზერბაიჯანის სსრ	2.194.501	2.194.408	99,99
ლიტვის სსრ	1.856.727	1.855.301	99,92
მოლდავეთის სსრ	1.864.015	1.862.582	99,92
ლატვიის სსრ	1.593.258.	1.590.601	99,83
ყირგიზეთის სსრ	1.246.959	1.246.539	99,97
ტაჯიკეთის სსრ	1.158.487	1.158.436	99,99
სომხეთის სსრ	1.063.553	1.063.288	99,98
თურქმენეთის სსრ	914.965	914.903	99,99
ესტონეთის სსრ	892.433	886.903	99,38

კავშირის საბჭოს არჩევნების შედეგები

კავშირის საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შექმნილია 791 საარჩევნო ოლქი. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში. კავშირის საბჭოს დეპუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 139.210.431 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა 99,47 პროცენტს. წინააღმდეგ ხმა მისცა 746.563 კაცმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 815 საარჩევნო ბიულეტენი.

ყველა დასახელებულმა კანდიდატმა მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად.

კავშირის საბჭოს არჩევნების შედეგები მოკავშირე რესპუბლიკებში მოყვანილია ქვემოთ:

მოკავშირე რესპუბლიკები	კანდიდატებისათვის მიცემული ხმის რაოდენობა	
	აბსოლუტური ციფრებით	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.105.309	99,26
უკრაინის სსრ	29.413.239	99,77
ბელორუსიის სსრ	5.332.600	99,78
უზბეკეთის სსრ	4.754.004	99,69
ყაზახეთის სსრ	6.229.802	99,46
საქართველოს სსრ	2.640.588	99,91
აზერბაიჯანის სსრ	2.189.614	99,78
ლიტვის სსრ	1.853.451	99,90
მოლდავეთის სსრ	1.859.318	99,82
ლატვიის სსრ	1.585.562	99,68
ყირგიზეთის სსრ	1.239.990	99,47
ტაჯიკეთის სსრ	1.155.318	99,73
სომხეთის სსრ	1.061.883	99,87
თურქმენეთის სსრ	910.187	99,48
ესტონეთის სსრ	879.566	99,17

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შედეგები

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შექმნილია 652 საარჩევნო ოლქი. აქედან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 375 საარჩევნო ოლქი მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, 220 — ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, 40 — ავტონომიური ოლქებისაგან, 10 — ეროვნული ოკრუგებისაგან. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 139.391.455 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა 99,60 პროცენტს, წინააღმდეგ ხმა მისცა 564.155 კაცმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 706 საარჩევნო ბიულეტენი.

ყველა დასახელებულმა კანდიდატებმა მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არიან დეპუტატებად.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შედეგები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკები	კანდიდატებისათვის მიცემული ხმის რაოდენობა	
	აბსოლუტური ციფრებით	პროცენტობით
რუსეთის სფსრ	78.279.687	99,49
უკრაინის სსრ	29.419.223	99,79
ბელორუსიის სსრ	5.335.346	99,85
უზბეკეთის სსრ	4.752.605	99,66
ყაზახეთის სსრ	6.227.005	99,42
საქართველოს სსრ	2.641.118	99,93
აზერბაიჯანის სსრ	2.189.283	99,78
ლიტვის სსრ	1.853.301	99,90
მოლდავეთის სსრ	1.860.915	99,83
ლატვიის სსრ	1.587.675	99,80
ყირგიზეთის სსრ	1.238.443	99,36
ტაჯიკეთის სსრ	1.151.795	99,45
სომხეთის სსრ	1.061.663	99,85
თურქმენეთის სსრ	911.491	99,62
ესტონეთის სსრ	881.905	99,36

ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქებსა და ეროვნულ ოკრუგებში ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რიცხვმა აღნიშნული ავტონომიებიდან შეადგინა 12.057.479 კაცი, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 12.052.744 კაცმა, ანუ 99,96 პროცენტმა, აქედან დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 11.968.855 კაცმა, ანუ 99,30 პროცენტმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 83.848 კაცმა. არჩევნების დებულების 88-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 41 ბიულეტენი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალები და არჩევნების დებულების 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევა ყველა საარჩევნო ოლქში.

სულ არჩეულია 1.443 დეპუტატი. აქედან 791 კავშირის საბჭოს დეპუტატი და 652 ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

1962 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი

შ. გოგიძე

კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი და ორგანიზატორი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საერთო სახელმწიფო საქმეებით დიდი დატვირთვის მიუხედავად, როგორც პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი და მოსკოვის საბჭოს დეპუტატი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსკოვის კომიტეტის, საქალაქო საგუბერნიო პარტიული კონფერენციების პარტიული და საბჭოთა აქტივის თათბირების მუშაობაში, მოსკოვის საბჭოს საქმიანობაში.

ვ. ი. ლენინი 1920 წლის თებერვალში არჩეულ იქნა მოსკოვის საბჭოს დეპუტატად ორი ორგანიზაციისაგან: № 3 სახელმწიფო საკონდიტრო ფაბრიკისაგან (ამჟამად ფაბრიკა „ბოლშევიკი") და ნიკოლაევსკის რკინიგზის სადგურ ხოვრინოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.[1]

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოსკოვის საბჭოს მუშა დეპუტატებს არ ჰქონდათ მუშაობის გამოცდილება. ვ. ი. ლენინი თავისი რჩევითა და მითითებებით სისტემატურად ეხმარებოდა მათ. დიდი ბელადი სიტყვებით გამოდიოდა მოსკოვის საბჭოს პლენუმებზე, მუშათა და წითელარმიელთა კრებებზე, მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობებში, დადიოდა ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ვ. ი. ლენინის მუშაობა, როგორც დეპუტატისა, იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს დეპუტატი, — ხალხის მსახური. ლენინს თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა ყოველდღიური კავშირი ჰქონოდა მშრომელებთან, გაეთვალისწინებინა ამომრჩეველთა მოთხოვნები და საჭიროებანი, ანგარიში ჩაებარებინა მათთვის თავისი მუშაობის შესახებ.

1918 წლის მარტში, საბჭოთა მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში გადმოსვლის შემდეგ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა უშუალოდ დაკავშირებული იყო მოსკოვთან. დედაქალაქის ცხოვრება და საარსებო საჭიროებანი მას მუდამ ჰქონდა მხედველობის ცენტრში. მისი ინიციატივით სახალხო კომისართა საბჭომ არაერთხელ განიხილა მოსკოვის კეთილმოწყობისა და მომარაგების საკითხები. მაშინ საბინაო მშენებლობის გაშლის შესაძლებლობა არ იყო, და ლენინი იძლეოდა მითითებას, რომ სწორად გამოეყენებინათ ძველი სახლები, ჩაესახლებინათ მუშები მდიდრების ბინებში, უზრუნველეყოთ, რომ საბინაო ფონდის განაწილებაში მონაწილეობა თვით მუშებს მიეღოთ.

ვ. ი. ლენინი ხშირად ათვალიერებდა ქალაქის სხვადასხვა რაიონებს. აინტერესებდა პირადად ენახა თუ როგორ ცხოვრობენ „ჩვენი პროლეტარები". ხშირად ლენინი ფეხით მიდიოდა კრემლიდან სოკოლნიკამდე, სადაც 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის იანვრამდე სატყეო სკოლაში მკურნალობდა და ისვენებდ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 670.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. კ. კრუპსკაია. სოკოლნიკებში ილიჩი მიდიოდა ყოველთვის სხვადასხვა გზით და სხვებისაგან შეუმჩნევლად ფეხითვე ბრუნდებოდა კრემლში.

ერთ-ერთი ასეთი გასეირნებიდან დაბრუნების შემდეგ ლენინი უყვებოდა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს: „როგორ უხალისოდ ცხოვრობენ ჩვენი ამხანაგები, შეხედეთ რამდენად უღმერთოდ დაბალი ოთახებია, თითქოს სახლები მიწაში ამოსულები არიან, ფანჯრები შეთხუპნულია ტალახით; სახლები დაქანებული, ღობეები ან იქცევიან ანდა სრულებით არ არის. ეს პირდაპირ საშინელებაა. ეზოებში გაუვალი ტალახია, არსად ხე, არსად სიმწვანე... ეჭვი არ არის ჩვენ მალე გადავალთ კვარტალების მშენებლობაზე, მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა შევაკეთოთ ის სახლები რომლებიც გვაქვს, და გავაკეთოთ ყველაფერი რათა გავზარდოთ საცხოვრებელი ფართობი ყველა მშრომელისათვის“.

ძველი ბოლშევიკი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წევრი ს. მ. ბირიუკოვი იგონებს, რომ „ომის დღეებში 1918 წელს ვლადიმერ ილიჩი ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად უცებ მოგვევლინა მოსკოვის საბჭოში. მოსკოვში მოგზაურობით ახალი შთაბეჭდილების ქვეშ დაგვიწყო საუბარი იმაზე თუ რა უწესრიგობა შეამჩნია ქალაქში. ყველაზე მეტად მას აღელვებდა და აღშფოთებდა, რომ სხვადასხვა ჯურის სპეკულანტები და მძარცველები კვლავ ფუფუნებაში ცხოვრობენ, რომ მათ მომარაგებული აქვთ სურსათის, სათბობისა და საქონლის მარაგი, ამდროს კი მუშათა ბავშვები შიმშილობენ და იყინებიან. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ: — ამბობდა ლენინი — „ყველაფერი მუშებს, ყველაფერი მშრომელებს“.

ლენინმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომს წინადადება მისცა ენერგიულად შესდგომოდა მუშების სარდაფებიდან და ქოხმახებიდან ამოყვანის საქმეს. მოეხდინათ კონფისკაცია: ვაჭრებისათვის, ქარხნის პატრონებისათვის, ბურჟუაზიისათვის ჩამოერთვათ ზედმეტი პროდუქტები, ავეჯი, ტანსაცმელი, სათბობი და გადაეცათ გაჭირვებული მუშებისათვის.. შეესახლებინათ მუშები ჩამორთმეულ ბინებში. მოკლე დროის განმავლობაში მოსკოვის 500 ათასმა მცხოვრებმა მიიღო კარგი საცხოვრებელი ფართობი.[1]

მოსკოვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის გამოსვლას 1920 წლის 6 მარტს მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე კეთილმოწყობის საკითხებზე. მოსკოვის მუშებისა და მოსკოვის საბჭოს წინაშე ამბობდა ლენინი „...დგას ამოცანა — გავწმინდოთ მოსკოვი იმ ჭუჭყისა და გაერანებისაგან, რომელშიც ის მოჰყვა. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს, რომ მაგალითი გავხდეთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის,.. უნდა ვაჩვენოთ ეს მაგალითი აქ, მოსკოვში, მაგალითი, როგორიც არაერთხელ უჩვენებია მოსკოვს“.[2]

1921 წლის 24 ოქტომბერს ლენინმა ხელი მოაწერა მცირე სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე გამოყოფილ იქნა თანხები მოსკოვის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იმავე დღეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარ ნ. ა. სემაშკოსათვის გაგზავნილ ბარათში ლენინი წერდა: „მოსკოვში უნდა მივაღწიოთ სანიმუშო (ან, დასაწყისისათვის თუნდაც რიგიან) სისუფთავეს, რადგან წარმოდგენაც კი არ შეიძლება უფრო მეტი უმსგავსობისა, ვიდრე „საბჭოთა“ ჭუჭყია „პირველ“ საბჭოთა სახლებში“.[3]

ვ. ი. ლენინის მითითება საბრძოლო პროგრამა გახდა ქალაქის კომუნალუ-

---

[1] ს. მ. ბ ი რ უ კ ო ვ ი, „მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი“, 1958 წ., გვ. 16 (რუს.).
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 499.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 560.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მეურნეობის ყველა მუშაკისათვის. მოსკოვის კეთილმოწყობისათვის გამოიყო საკმაო თანხები და ძალები. ხდებოდა შენობების შეკეთება, სწორდებოდა ხიდები, ტრამვაის ხაზი, წყალსადენი და კანალიზაცია.

ვ. ი.ლენინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მოსკოვის მუშების სურსათის მომარაგებისათვის. 1921 წლის 30 ივლისს ვ. ი. ლენინმა მოსკოვის საბჭოს გადასცა ერთი ვაგონი სურსათი. მოსკოვის გუბკომუნის[1] თავმჯდომარეს და მოსკოვის დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს ვ. ი. ლენინი წერდა „გთხოვთ, ჯერ ერთი, რაც შეიძლება სწრაფად, სრულიად გაუჭიანურებლად, მიიღოთ ეს ვაგონი; მეორე, გაუგზავნოთ იგი მოსკოვის იმ მუშებს, რომლებსაც ყველაზე უფრო უჭირთ, ამასთან აუცილებლად აცნობოთ მათ, რომ ეს სტავროპოლის მუშებისა და გლეხების საჩუქარია“;[2]

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. იგი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარ ნ .ა. სემაშკოსთან ერთად, პირადად ათვალიერებდა ჰოსპიტლებს, საავადმყოფოებს, სანგამტარებს, სადეზინფექციო კამერებს. იძლეოდა მთელ რიგ მნიშვნელოვან შენიშვნებს.

სამოქალაქო ომის წლებში, როცა სურსათის მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა, ვ. ი. ლენინი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს, რომ საუკეთესო პროდუქტები გაეგზავნათ ჰოსპიტლებში, საავადმყოფოებში, სანატორიუმებში, საბავშვო დაწესებულებებში. იგი განსაკუთრებით ზრუნავდა ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის.

ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს ამოცანად უსახავდა მეტი ემუშავნათ სამეურნეო მშენებლობის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის პრაქტიკულ საკითხებზე. მაგალითად, 1920 წელს მოსკოვის საბჭოს საქმიანობის მიმოხილვას რომ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა არეებზე, იქ, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მოსკოვის საბჭოს აღმასკომმა განიხილა 8 ეკონომიური და 45 ორგანიზაციული საკითხი, მიაწერა: „სიმახინჯეა პირიქით უნდა იყოს“.[3]

ლენინი აღაშფოთა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის 1918 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებამ, რომლითაც მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელები ცდილობდნენ თავიდან მოეხსნათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ შეასრულეს სახკომსაბჭოს არაერთგზის დადგენილება რევოლუციური მოძრაობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთათვის მოსკოვში ძეგლების დადგმის შესახებ. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „სინდისის ქვეშ უნდა გითხრათ, ეს დადგენილება შედგენილია პოლიტიკურად ისე უვიცად და ისე სულელურად, რომ გულის არევას იწვევს... „პრეზიდიუმი იძულებულია პასუხისმგებლობა მოიხსნასო“ ასე ჭირვეული ქალიშვილები იქცევიან და არა სრულასაკოვანი პოლიტიკოსები. პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნით, არამედ სამმაგად გააძლიერებთ“.[3]

ვ. ი. ლენინი დაწესებულებისაგან, აპარატის მუშაკებისაგან მოითხოვდა განსაკუთრებული გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინათ მშრომელთა განცხადებებისა და წერილებისადმი. მას მიაჩნდა, რომ მშრომელთა საჩივრები ამა თუ იმ დაწესებულების ცუდ მუშაობაზე არსებითად ქვემოდან კონტროლია.

---

[1] მოსკოვის საგუბერნიო სამომხმარებლო კომუნა, მოსკოვის ისტორია, ტ. VI, გვ. 258, (რუს.).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული XXXV, გვ. 195 (რუს,).

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 388.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინმა სახკოსაბჭოს საქმეთა მმართველს სპეციალური განკარგულება მისცა მისთვის მოეხსენებინათ ყველა საჩივარი, რომლებიც მთავრობის დაწესებულებებისა და ცალკე პირების შესახებ სახკომსაბჭოში შემოდიოდა და გულდასმით ადევნებდა თვალყურს მათზე დადებული თავისი რეზოლუციების შესრულებას.

ვ. ი. ლენინი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების შეურიგებელი მტერი იყო, ულმობელ ბრძოლას ეწეოდა მათთან. „საბჭოთა ადმინისტრაციის მანქანა, — წერდა იგი, — აკურატულად, პატიოსნად, სწრაფად უნდა მუშაობდეს“. ბოროტ ბიუროკრატებს სასტიკ ადმინისტრაციულ სასჯელს უნდა ვადებდეთ, თანამდებობიდან ვაყენებდეთ, ბოლოს, სამართალში ვაძლევდეთ მათ, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ ფართო მასები ჩაებათ აპარატის გაუმჯობესების საქმეში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, პრაქტიკულად ეჩვენებინათ მათთვის ბიუროკრატიზმის დაძლევის გზები და საშუალებები.

ვ. ი. ლენინი ამავე დროს დედაქალაქის მომავალზეც ფიქრობდა. მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმის შედგენისას — მან არქიტექტორებს მისცა ბევრი ძვირფასი რჩევა, რომლებიც გამსჭვალული იყო უბრალო ადამიანთა საჭიროებისათვის ზრუნვით. უკვე იმ წლებში მოსკოვში შექმნილი იყო სპეციალური ორგანოები რათა ეხელმძღვანელათ ქალაქის მშენებლობისათვის ამასთან ერთად გახსნილი იყო არქიტექტურული სახელოსნო მოსკოვის საამშენებლო გეგმის დასამუშავებლად. ვ. ი. ლენინი სისტემატურად იყო დაინტერესებული მათი მუშაობით.

ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ ახალი საბინაო მშენებლობა განვითარებულიყო სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ვორობიოვის გორის (ახლანდელი ლენინის გორის) რაიონში, დიდი ყურადღება მიაქცია საქალაქო მეურნეობის, ტრანსპორტის, მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხებს. ამასთან იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უნდა დაეცვათ ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები, ყოველივე ძვირფასი, რაც კი შეუქმნია რუსი ხალხის შემოქმედებითს გენიას.

ვ. ი. ლენინი შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა ქალაქის გამწვანებას. მოსკოვის ახალ დაგეგმარებისას ლენინს აუცილებლად მიაჩნდა გაეთვალისწინებინათ ევროპის დედაქალაქების გამოცდილება: ლონდონის — ჰაიდ პარკის მწვანე მასივით, პარიზისა — ელისეს მინდვრებით, ვენისა მისი თვალწარმტაცი რინგით. ვ. ი. ლენინი ზრუნავდა იმისათვის, რომ მოსკოვის მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ესუნთქათ ჟანგბადით გაჟღენთილი ჰაერი, ამიტომ რჩევას იძლეოდა გაეთვალისწინებინათ მდინარე მოსკოვის ნაპირების გამწვანება.

„როცა ლენინს ვუსმენდი, — იგონებდა არქიტექტურის აკადემიკოსი ი. ვ. ჟოლტოვსკი, რომელსაც უსაუბრია მასთან ამ საკითხებზე,— ნათლად წარმომიდგებოდა ხოლმე, თუ რა მშვენიერი ქალაქი უნდა გამხდარიყო მომავალი მოსკოვი“.[1]

ვ. ი. ლენინი არა მარტო ასწავლიდა მასებს, არამედ თვითონაც სწავლობდა ხალხისაგან, ყურადღებით ისმენდა რიგითი მუშებისა და გლეხების ხმას.

ლენინი სისტემატურად ესაუბრებოდა მუშებს, გლეხებს,წითელ არმიელებს, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს, — იგი დიდ მნიშვნელობას

[1] მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, ნაწ. 2, 1957, გვ. 320 (რუს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიჭებდა იმას, რომ სცოდნოდა მშრომელთა აზრი და მოთხოვნილებანი. ამ საუბრებში ვ. ი. ლენინი ხშირად ამოწმებდა იმ იდეებსა და გეგმებს, რომლებიც მას ესახებოდა, და ეძებდა მათ დადასტურებას ფაქტებით, იგი ორგანულად ითვისებდა მასების კოლექტიურ აზრსა და გამოცდილებას.

პარტიის XI ყრილობაზე ლენინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მასებთან პარტიის კავშირის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობას. „ხალხის მასაში, — ამბობდა იგი, — ჩვენ მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვმართოთ, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეგნებული აქვს“.[1]

ლენინი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მშრომელთა წერილებს და განცხადებებს. „ეს ხომ ნამდვილი ადამიანური დოკუმენტებია ,ამას ხომ ვერც ერთ მოხსენებაში ვერ მოისმენთ!“ — ეუბნებოდა ვ. ი. ლენინი გაზეთ „ბედნატას“ რედაქტორს ვ. ა. კარპინსკის, რომელიც მას გლეხთა წერილებს უჩვენებდა.

მასებთან ვ. ი. ლენინის კავშირის მაჩვენებელია მისი გამოსვლები მუშათა და გლეხთა კრებებზე, მიტინგებზე. მას თავის მოვალეობად მიაჩნდა სისტემატურად გამოსულიყო მშრომელების წინაშე. იგი მასებს ელაპარაკებოდა ისევე როგორც წერდა მათთვის, ჩვეულებრივი ენით. ვ. ი. ლენინს ხშირად ეუბნებოდნენ, რომ მისი გამოსვლები გასაგებია, და ერთხელ მან თქვა: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ როცა გამოვიდოდი „როგორც ორატორი“, მუდამ ვფიქრობდი მუშებსა და გლეხებზე, როგორც ჩემს მსმენელებზე. მინდოდა რომ მათ გაეგოთ ჩემი ნათქვამი. სადაც არუნდა ლაპარაკობდეს კომუნისტი, იგი მასებზე უნდა ფიქრობდეს, მათთვის უნდა ლაპარაკობდეს“.[2] განსაცვიფრებელი იყო ლენინის გამოსვლების სისადავე და სიღრმე, შეურყეველი ლოგიკა, ყოველ სიტყვაში ეგრძნობოდა მოფიქრება, რწმენა, რომელიც ყოველგვარ სიტყვიერ სამკაულზე უფრო დამაჯერებელი იყო. „მისი სიტყვა, — იგონებს ა. მ. გორკი, — ყოველთვის იწვევდა უცილობელი სიმართლის ფიზიკურ შეგრძნებას“. ლენინის სიტყვა ღრმად სწვდებოდა მასების შეგნებას, აღაგზნებდა მათ ენთუზიაზმით და მოქმედების სურვილით.

ვ. ი. ლენინს რევოლუციური დღესასწაულების საზეიმო დღეებში უყვარდა მუშებთან ყოფნა. მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების ძველი მუშები იგონებენ თუ როგორ ეწვეოდა ხოლმე მათ ვ. ი. ლენინი რათა მათთან ერთად შეხვედროდა ახალ წელს, გამოსულიყო სიტყვით საზეიმო საღამოებზე, რომელნიც ქალთა საერთაშორისო დღის,პირველი მაისისა და დიდი ოქტომბრის დღესასწაულებთან დაკავშირებით ეწყობოდა.

ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისათვის დღესასწაულის დღეებში ვ. ი. ლენინმა დაათვალიერა მოსკოვის რამოდენიმე საწარმო. 6 ნოემბერს ლენინი გამოვიდა თავის ამომრჩევლებთან ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშათა კრებაზე. თავის სიტყვაში ლენინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა წყობილების წარმატებების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ის ეყრდნობა „ქვეყნად ყველაზე სასწაულებრივ ძალას — მუშათა და გლეხთა ძალას“.[3] 7 ნოემბერს ლენინი ორჯერ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 357.
[2] მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, ნაწ. 2, 1957, გვ, 471 (რუს.).
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ქარხანა „დინამოს“ მუშების და ნამოვნიჩესკის რაიონის მშრომელთა კრებაზე.

სკკპ წევრი 1904 წლიდან, ტრიოხგორნაია მანუფაქტურის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი ვ. ი. ემელიანოვი იგონებს, რომ „სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი გამოსვლა 1921 წ. 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავზე.

ამ კრებას მე თავმჯდომარეობდი. მოხსენებას საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ აკეთებდა ამხანაგი კალანტაი. უცბად მე მაცნობეს:

— ილიჩი ჩამოვიდა.

თურმე ლენინი ეზოდან შემოსულა და, რომ არ შეეწყვეტინებინა მომხსენებლისათვის სიტყვა თავმდაბლურად ფარდის უკან დამდგარა. ამხანაგმა კალანტაიმ გაიგო თუ არა ვლადიმერ ილიჩის მოსვლა სწრაფად დაამთავრა თავისი გამოსვლა.

— სიტყვა ეძლევა მოსკოვის საბჭოს წევრს ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ფაბრიკიდან ამხანაგ ლენინს, — მკვეთრად და ხმამაღლა გამოვაცხადე მე.

ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმისა თუ იმ მომენტში რა მოხდა დარბაზში. ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი ოვაცია და შეძახილები დამსწრეთა მხრივ.

იმის შიშით, რომ არ გამოგვრჩენოდა არც ერთი სიტყვა ყურადღებით ვუსმენდით ჩვენს ბელადს. ყოველი მისი სიტყვა ჩვენს გულს ხვდებოდა და გვიღვიძებდა ერთს მისწრაფებას — წავსულიყავით შორს კომუნიზმის მწვერვალებისაკენ“.[1]

სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა ხალხი გმირობას იჩენდა როგორც ფრონტზე ისე ზურგში. ლენინისა და პარტიის მოწოდებაზე „რევოლუციურად გაეშალათ მუშაობა“ მუშათა კლასმა უპასუხა კომუნისტური შაბათობების მოწყობით. პირველი მასობრივი შაბათობა 1919 წლის 10 მაისს მოაწყეს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშებმა.

სტატიაში „დიადი თაოსნობა“ ვ. ი. ლენინმა კომუნისტური შაბათობა დაახასიათა როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, კომუნიზმის პირველი ყლორტები. „ეს არის, — წერდა იგი, — დასაწყისი ბურჟუაზიის დამხობაზე უფრო ძნელი, უფრო არსებითი, უფრო ძირითადი, უფრო გადამწყვეტი გადატრიალებისა. ...თუ მშიერ მოსკოვში 1919 წლის ზაფხულში მშიერმა მუშებმა, რომლებმაც განიცადეს იმპერიალისტური ომის მძიმე ოთხი წელიწადი, შემდეგ წელიწადნახევარი კიდევ უფრო მძიმე სამოქალაქო ომისა, შესძლეს დაეწყოთ ეს დიადი საქმე, როგორღა იქნება შემდეგი განვითარება, როცა ჩვენ გავიმარჯვებთ სამოქალაქო ომში და მოვიპოვებთ მშვიდობას“.[2] — კომუნიზმი, — მიუთითებდა ლენინი, — იწყება იქ, სადაც თავს იჩენს რიგითი მუშების ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად თვითეული ფუთი პურის, რკინისა და იმ სხვა პროდუქტების დასაცავად, რომლებიც მთლიანად მთელი საზოგადოების წილად მოდის. ლენინი თვითონ მონაწილეობდა შაბათობაში, რომელიც მოეწყო კრემლში 1920 წლის 1 მაისს.

ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა უბრალოდ, მომჭირნეობით. უზარმაზარი სახელ-

---

[1] მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, ნაწ. 2, 1957, გვ. 505 (რუს.).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 479—499.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოს მეთაურს ზოგჯერ საჭმელიც აკლდა. 1921-1922 წლებში მთელი რუსეთი შიმშილობდა. მუშები და გლეხები თავიანთი უანგარო სიყვარულის გამოსახატავად თავად იკლებდნენ და თავიანთ საყვარელ ადამიანს უგზავნიდნენ სურსათ-სანოვაგეს. ვ. ი. ლენინი გულწრფელ მადლობას უხდიდა მათ, მაგრამ საჩუქრებს საბავშვო სახლებში და საავადმყოფოებში გზავნიდა.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის სიტყვით მიმართავდა მოსკოვის საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატებს. „მოსკოვის საბჭოს არჩევნებმა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი 1918 წლის 23 აპრილს მოსკოვის საბჭოს სხდომაზე, — გვიჩვენეს, რამდენად აძლევენ თავისთავს ანგარიშს მიმდინარე მოვლენების შესახებ მუშები, რომლებმაც შეიგნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს არა საეღლუმო სამკაულს, არამედ მათ საკუთარ სასიცოცხლო საქმეს“.[1]

1920 წლის 21 თებერვალს მოსკოვის საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერს მიმართვას:

„მუშა ქალებს“

„ჩვენ გვინდა, რომ მუშა ქალმა მუშა მამაკაცთან თანასწორობა მოიპოვოს არა მარტო კანონით, არამედ ცხოვრებაშიც. ამისათვის საჭიროა, რომ მუშა ქალებმა სულ უფრო და უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საწარმოთა მართვა-გამგეობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მეტი მუშა ქალები მოსკოვის საბჭოში! დაე მოსკოვის პროლეტარიატმა დაამტკიცოს, რომ იგი მზად არის გააკეთოს და აკეთებს ყველაფერს, რათა იბრძოლოს გამარჯვებამდე, იბრძოლოს ძველი არათანასწორუფლებიანობის, ქალის ძველი, ბურჟუაზიული დამცირების წინააღმდეგ. პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა სრული თავისუფლება ქალებისათვის“.[2]

1918 წელში დაჭრამ და შემდგომმა დაძაბულმა მუშაობამ ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობა შეარყია. ექიმების რჩევით ლენინი ისვენებდა და მკურნალობდა გორკაში. მშრომელები უამრავ წერილებს უგზავნიდნენ საყვარელ ბელადს, უსურვებდნენ მალე გამოჯანმრთელებას რომ შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მთელი ქვეყნის მუშები გახარებული იყვნენ იმით, რომ ლენინს კვლავ შეეძლო მუშაობა. 1922 წ. 3 ოქტომბერს გამოქვეყნებული იქნა ცნობა ვ. ი. ლენინის გამოჯანმრთელების შესახებ. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა გაუგზავნა მას შემდეგი წერილი:

„ჩვენო ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ, ჩვენ მოსკოვის საბჭოს წევრებმა პლენუმზე გავიგეთ, რომ თქვენ უკვე შეუდექით ჩვენი პროლეტარული ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელობას.

გვიხარია, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო თქვენი გამოჯანმრთელება და გელით თქვენ ჩვენთან პლენუმზე“.[3]

1922 წლის 20 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე. ეს იყო ლენინის უკანასკნელი გამოსვლა ხალხის წინაშე.

ვ. ი. ლენინმა თავის მგზნებარე სიტყვაში დაასურათა ქვეყნის მდგომარეობა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების შემდეგ, მიუთითა ხალხის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 274.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 447.
[3] მოსკოვის ისტორია, ტ. VI, 1957, გვ. 264, (რუს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე მდგარ ამოცანებზე, მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე, ოფუ-წოდა ყაირათიანად გაძღოლოდნენ მეურნეობას. ლენინმა განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი პარტიის როლს სოციალისტური საზოგადოების აშენებაში.

ვ. ი. ლენინმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ „სოციალიზმი აღარ არის საკითხი შორეული მომავლისა ან რაიმე განყენებული სურათისა,...ჩვენ ყველანი ერთად... გადავწყვეტთ ამ ამოცანას რადაც უნდა დაჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთიდან გვექნება სოციალისტური რუსეთი“.[1]

დიდი ლენინის ამ შესანიშნავ წინასწარმეტყველურ სიტყვებს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები, რომლებმაც ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისა და მისი პოლიტიკისადმი ყველა საბჭოთა ადამიანის სიყვარულისა და ნდობის ღრმა გრძნობები გამოხატეს.[2] ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველობა აღსრულდა და, კომუნისტური პარტიის ნებისყოფით საბჭოთა ხალხის ენერგიით შეიქმნა უძლეველი სოციალისტური სახელმწიფო. ამჟამად სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა არა მარტო მთლიანად არამედ საბოლოოდ. ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

1922 წლის 3 დეკემბერს შედგა ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრებაზე მოხსენებით: „ლენინის როლი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში და საბჭოების არჩევნების ამოცანები“ გამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი, რომელსაც ბრწყინვალე სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით. კრებამ მოსკოვის საბჭოს დეპუტატებად ვ. ი. ლენინთან ერთად აირჩია 12 კომუნისტი.

მუშა ამომრჩევლებმა ვ. ი. ლენინს ამაღელვებელი წერილით მიმართეს: „ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ წილად გვხვდა დიდი პატივი გაგვეგზავნე შენ, ჩვენო დიდო მასწავლებელო, მოსკოვის საბჭოში, როგორც ჩვენი წარმომადგენელი. გასული წლების მაგალითიდან გამომდინარე ჩვენ ვაცხადებთ, რომ გამოვავლენთ მთელ ჩვენს ნებისყოფასა და ძალას რათა ჩვენი დეპუტატის ღირსნი ვიყვნეთ“.[3]

ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ძველი ბოლშევიკი მუშა სერგო ვოლკოვი იგონებს: „როდესაც ჩვენთან ქარხანაში, ტარდებოდა საბჭოების არჩევნები, ჩვენ ვირჩევდით მოსკოვის საბჭოს წევრად ვლადიმერ ილიჩს, სიას ვაკრავდით ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, მუშები უყურებდნენ და ამბობდნენ: „რაკი ილიჩი სიაში პირველია ე. ი. სია სწორია. ჩვენი საბჭოს წევრები არ შეარცხვენენ ილიჩის სახელს, ხმას მივცემთ მთელ სიას ერთსულოვნად. და ყოველთვის როცა კი კანდიდატების სიის დასახელება იწყებოდა ყველა სმენად გადაიქცეოდა; როგორც კი ყურს მოკრავდნენ. ლენინის სახელს ატყდებოდა ტაში“.[4]

1922 წლის დეკემბერში მოსკოვის საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნები ჩატარდა მშრომელთა მაღალი აქტივობით. თუ 1921 წლის დასაწყისში მოსკოვის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 51 პროცენტი, 1922 წლის იანვარში მონაწილეობდა უკვე 58 პროცენტი, ხოლო 1922 წლის დეკემბერში 70 პროცენტი.

1920 წელს მოსკოვის საბჭოს შემადგენლობაში იყო ესერების მენშევიკების და ანარქისტების 40-ზე მეტი წარმომადგენელი. შემდეგი არჩევნებისათვის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 524.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ბ ი ო გ რ ა ფ ი ა, გვ. 679.
[3] გაზ. „პრავდა“, 1922 წლის 5 დეკემბერი.
[4] მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, ნაწ. 2, გვ. 506 (რუს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათმა რიცხვმა საკმაოდ იკლო. 1922 წლის არჩევნების დროს მოსკოვის საბჭოში კონტრევოლუციის არც ერთი წარმომადგენელი არ იქნა არჩეული. ქალაქის მუშები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს მხოლოდ ერთ პარტიას — თავის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. მოსკოვის პროლეტარიატის განწყობილება კარგად გამოხატეს როგოჟსკი — სიმონოვსკის რაიონის მუშებმა. თავიანთ რეზოლუციაში ისინი წერდნენ: „უყოყმანოდ მხოლოდ პარტიისა გვჯერა, ყოველთვის წავალთ იმ გზით, რომელსაც მიგვითითებს კომუნისტური პარტია. გაუმარჯოს ბელადსა და ამხანაგს ლენინს“.[1]

ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშებმა რამოდენიმეჯერ აირჩიეს ვ. ი. ლენინი მოსკოვის საბჭოს დეპუტატად. უკანასკნელად ის არჩეულ იქნა 1923 წლის ნოემბერში. ამომრჩეველთა კრებამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა:

„მოსკოვის საბჭოში არჩევნების დღეს, იმ დროს როდესაც ჩვენ როგორც ერთი ადამიანი ფეხდაფეხ მივდევთ ჩვენ პარტიას, მხურვალე სალამს უთვლით ამხანაგ ლენინს“.[2]

ამომრჩევლების დავალებით მუშათა დელეგაცია წავიდა გორკაში ლენინისათვის მანდატის გადასაცემად. „ვლადიმერ ილიჩმა, — იგონებს „ტრიოხგორკის“ მუშა ე. ს. კოსარევი, — მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა ვფიქრობ რომ თქვენ ნდობას გავამართლებ“.[3]

ეს იყო ვ .ი. ლენინთან ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშების უკანასკნელი შეხვედრა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ 1924 წლის 2 თებერვალს მოსკოვის საბჭოს პლენუმმა დაადგინა: „1. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სამუდამოდ დარჩეს მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში, როგორც მოსკოვის მშრომელთა დეპუტატი.

2. № 1 საწევრო ბილეთი რომელიც მიკუთვნილი ჰქონდა ვლადიმერ ილიას ძეს, მომავალში არ გამოეწეროს მოსკოვის საბჭოში არჩეულ სხვა რომელიმე დეპუტატს“.[4]

ეს დადგენილება ურყევად სრულდება.

* * *

ვ. ი. ლენინმა ცხადყო საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ნამდვილი დემოკრატიის, არსი და უდიდესი მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ ხალხის უფართოესი მასები „მუდმივ და უცილობელ, ამასთან გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში“.[5] საბჭოთა ხელისუფლებამ, წერდა იგი, რუსეთის პროლეტარიატსა და მშრომელთა მთელ გიგანტურ უმრავლესობას მისცა არნახული თავისუფლება და დემოკრატია, რაც არ არის შესაძლებელი არც ერთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში.

„პროლეტარული დემოკრატია, აღნიშნავდა ლენინი, — მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია; საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა“.[6]

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა ფორმალურ გამოცხადებას ჯერდება, სოციალისტური დემოკრატია ნამდვილად უზრუნველყოფს ყველა მშრომელისათვის მინიჭებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას.

---

[1] „რაბოჩაია მოსკვა“, № 55, 1923 წ. 11 მარტი.

[2] „ლენინი მოსკოვში“, „მოსკოვსკი რაბოჩი“, 1957, გვ. 236.

[3] მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, სახელმწიფო გამომცემლობა. 1955, გვ. 104 (რუს.).

[4] „ლენინი მოსკოვში“, 1959 წ. გვ. 255 (რუს.).

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, გვ. 587.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში საარჩევნო კანონი უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას არჩევნებში, მტკიცედ იცავს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს. არჩევნები ჩვენში ნათლად ავლინებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, გვიჩვენებს კომუნისტებისა და უპარტიოების მტკიცე ურღვევი ბლოკის ძალას, საბჭოთა ხალხის ერთგულებას და სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, მხურვალე მხარდაჭერას ჩვენი მთავრობის პოლიტიკისადმი.

საბჭოების მეშვეობით მილიონობით ადამიანი გადის სახელმწიფო მართვის სკოლას, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. გასულ წელს ჩვენს ქვეყანაში მარტო ადგილობრივ საბჭოებში არჩეული იყო ერთი მილიონ 822 ათასი დეპუტატი. ოც მილიონზე მეტი მშრომელი აქტიურად მონაწილეობს საბჭოების საქმიანობაში, ეკონომიური და პოლიტიკური მშენებლობის საკითხების გადაჭრაში. აი, სწორედ ეს არის დემოკრატიის ნამდვილი გაფურჩქვნა.

საყოველთაოდ გავრცელდა საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიც არის მუდმივი კომისიები, აღმასკომის საზოგადოებრივი, სახალხო-საზოგადოებრივი ინსპექციები, შტატგარეშე ინსტრუქტორების ჯგუფები და სხვა.

საბჭოთა დემოკრატიის განვითარებასთან ერთად იზრდება დეპუტატის როლიც .მათ ბუნებრივია, უფრო მაღალ მოთხოვნილებებს უყენებენ. საბჭოთა დეპუტატი ხალხის მსახურია. ამიტომ დიდია მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე.

პარტიამ XXII ყრილობაზე მიღებული პროგრამით დასახა ამოცანა, რომ სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიარონ ქალაქის და სოფლის მშრომელთა სულ ახალმა და ახალმა მილიონებმა. ამიტომ საბჭოების ყველა არჩევნების დროს განახლდება დეპუტატთა შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მესამედი, სისტემატურად განახლდება საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობაც.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია, რომ საბჭოების მუშაკები და მათი დეპუტატები რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშს ამომრჩევლებს, რომ ხორციელდებოდეს ამომრჩეველთა უფლება — ვადამდე გამოიწვიონ დეპუტატები, რომლებიც ვერ ამართლებენ ნდობას, რომ დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანი და პირადი თვისებები ფართოდ და ყოველმხრივ განიხილებოდეს კრებებზე და პრესაში.

თანდათანობით იქმნება სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ახალი ტიპი, რომლისათვისაც სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეების მართვაში მონაწილეობა აღარ წარმოადგენს პროფესიას. ეს კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ განხორციელდეს გადასვლა საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმართველობაზე, როდესაც მართვის ფუნქციებს, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, ყველა ასრულებს რიგრიგობით.

თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს სრული უფლებით შეუძლია თქვას: **სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ!** ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ქარცეცხლში წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახლა **საერთო სახალხო** სახელმწიფოდ გადაიქცა. მილიონობით საბჭოთა მოქალაქე პრაქტიკულად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის საქმეების მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

საბჭოების დეპუტატები ვ. ი. ლენინის, როგორც დეპუტატის მუშაობის მეთოდების და სტილის შესწავლის საფუძველზე საბჭოების საქმიანობას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აიყვანენ კომუნიზმის მშენებლობის მოთხოვნათა დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური ქვეყნების საარჩევნო სამართალი

ა. კარანაძე

ამ რამდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირში შედგა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებმა იმ განსაკუთრებულ პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის ახალ პროგრამაში მეცნიერულადაა დასაბუთებული ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კონკრეტული გზები. საბჭოთა ხალხმა, რომელიც სახელოვანი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვის ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, არჩევნებში გადაწყვიტა თუ ვისთვის მიენდო მოცემულ ეტაპზე ამ დიდი საქმის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა. როგორც ყოველთვის, მშრომელებმა დეპუტატებად აირჩიეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, მოწინავე მუშები, სახელგანთქმული კოლმეურნეები, ღვაწლმოსილი მეცნიერები და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, მამაკაცები და ქალები, კომუნისტები და უპარტიონი.

ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები გარდა საბჭოთა კავშირისა ჩატარდა აგრეთვე ზოგიერთ სხვა სოციალისტურ სახელმწიფოში. არჩევნები აქაც კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის გადაწყვეტილებათა ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობდა[1]. „თუ რა ზეგავლენას ახდენს კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის მითითებები სოციალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემაზე ამას უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მაგალითი გვიჩვენებს, სადაც უკვე მოქმედებაში შევიდა პრინციპი საბჭოების შემადგენლობის ერთი მესამედის სისტემატური განახლების შესახებ. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითი, სადაც XXII ყრილობის უშუალო ზეგავლენის შედეგად ჩატარდა საარჩევნო სამართლის შემდგომი დემოკრატიზაცია, რაც კერძოდ ამომრჩეველთა ნორმების შემცირებაში გამოიხატა: სახალხო კრებაში ამომრჩეველთა ნორმა შემცირებულია 30.000 ამომრჩეველიდან 25.000-მდე;[2] შესაბამისად შემცირდა ნორმები აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის.[3] სკკპ XXII ყრილობის ზეგავლენა საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე პრაქტიკულად გამომჟღავნდა 1961 წლის 3 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შემდგარი არჩევნების დროს, რომელმაც მშრომელთა უდიდესი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა.[4] თანახმად რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ცნობისა კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო

---

[1] Родина пред изборы, Работническо дело, 13 декември, 1961 г.

[2] Осма редовна сесия на Народнот събрание, Реч на др. Димитр Ганева, Работническо дело, 5 ноември 1961 г.

[3] Димитр Калев, По-нататъшно развитие на нашата социалистическа демокрация, Отечествен фронт, 10 ноември 1961 г.

[4] Rudè pravo, 5. Prosince 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომრჩეველთა 99,22 პროცენტმა, აქედან 99,98 პროცენტმა მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის სახალხო ფრონტის კანდიდატებს.[1]

საარჩევნო სამართალი, საარჩევნო სისტემა — სახელმწიფოებრივი დემოკრატიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია და სოციალისტურ ქვეყნებში ჩატარებულმა არჩევნებმა მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ გამოაშკარავა სოციალისტური დემოკრატიის უდიდესი უპირატესობები ბურჟუაზიული ყალბი დემოკრატიის წინაშე.

სოციალისტური სახელმწიფოების საარჩევნო სამართალი მოიცავს სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნაში მოქალაქეთა მონაწილეობის, აგრეთვე დეპუტატებისა და ამომრჩევლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალი ძირითადი კანონის სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალისტურ ქვეყნებში მშრომელი ხალხი განახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას, მის მიერ არჩეული, მისი კონტროლის ქვეშ მყოფი და მის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.[2] სოციალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემები თავიდან ბოლომდე აგებული არიან სახალხო სუვერენიტეტის ლენინურ პრინციპებზე. პერიოდულად ჩატარებული არჩევნები სოციალისტურ ქვეყნებში წარმოადგენენ ხალხის სახელმწიფოებრივი ნების გამომჟღავნებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნის საშუალებას, ამ ორგანოების საქმიანობაზე მშრომელთა უზენაესი კონტროლის მეთოდს.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემებისა სოციალისტური სახელმწიფოების საარჩევნო სისტემები მიზნად ისახავენ რაც შეიძლება ფართო მასები მიიზიდონ არჩევნებში, უზრუნველყონ მაქსიმალურად დემოკრატიული, ჭეშმარიტად სახალხო--წარმომადგენლობითი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნა. სოციალისტური საარჩევნო სამართალი და მის მიერ ნორმირებული, მის საფუძველზე მოქმედი საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფენ, რომ წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ, თანმიმდევრულად და სრულად განხორციელებდნენ მშრომელთა ნებასურვილს, მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ხალხის ინტერესებით.[3]

ჭეშმარიტად დემოკრატიული, ხალხის სუვერენიტეტის, მისი ნებასურვილის ნამდვილად გამომხატველი საარჩევნო სამართალი პირველად მსოფლიო ისტორიაში საბჭოთა სახელმწიფოში განმტკიცდა.

მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელთა გადალახვა დასჭირდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იძულებული იყო კონტრრევოლუციის ასალაგმავად დაეწესებინა რიგი შეზღუდვებისა, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების უკვე პირველ ფაზაში განმტკიცებული საარჩევნო სამართალი ადრე არსებულ ყველა საარჩევნო სისტემასთან შედარებით წარმოადგენდა დემოკრატიის გიგანტურ გაფართოებას. რევოლუციის შედეგად განმტკიცებული პროლეტარიატის დიქტატურა — ექსპლოატირებულთა დემოკრატიას წარმოადგენდა. ეს იყო წყობილება, დემოკრატიული მშრომელთათვის და დიქტატორული კონტრრევოლუციის მიმართ.

რევოლუციის განვითარების კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, საბ-

[1] Konecnè vysledky voleb soudcü okresnich soudü, Rudè právo, 6. Prosince 1961.

[2] Ustava Ceskoslovenskè Socialisticke Republicky, Ce 2, Orbis, Praha, 1961.

[3] H. Engelbert, Das Wahlrecht in sozialistischen Staaten, in: Das Wahlrecht der sozialistischen Staaten Europas, Berlin, 1958, S. 5.

8845

ჭოთა ხელისუფლებამ საარჩევნო უფლება ჩამოართვა ექსპლოატატორულ არაშრომით ელემენტებს და რეალურად, სრულად მიანიჭა იგი ხალხს, მშრომელებს, ე. ი. მოსახლეობის სწორედ იმ ნაწილს, რომელსაც ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემა ფორმალურად ანიჭებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, სინამდვილეში კი ათასი ხრიკებისა და ფანდების მეშვეობით უზღუდავს მისი ნამდვილი ნების გამომჟღავნების საშუალებას.

საბჭოების სახელმწიფო ახალ, უმაღლესი ტიპის დემოკრატიას, სოციალისტურ დემოკრატიას წარმოადგენდა. საარჩევნო უფლება მიუხედავად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა ენიჭებოდა ყველა მშრომელს, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდებოდა 18 წელი.

ვლაპარაკობთ რა საბჭოთა სახელმწიფოში დაწყებით პერიოდში არსებული საარჩევნო შეზღუდვების შესახებ, საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ მათი პრინციპული სხვაობა ბურჟუაზიული საარჩევნო ცენზებისაგან, რომლებიც კაპიტალისტთა კლასმა სახელმწიფო აპარატის მშრომელი მასებისაგან მოწყვეტის მიზნით შეიმუშავა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვები დემოკრატიული ხასიათის შეზღუდვებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან მიმართული იყვნენ კონტრევოლუციონერთა ანტიხალხური ზრახვების წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ დროებითი ხასიათი ჰქონდათ და 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენს სახელმწიფოში განმტკიცდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, ფარული კენჭისყრით.

ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე განვითარდა საარჩევნო სამართალი საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში. აღმოცენდა რა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებით ეტაპზე პირველ სახალხო-დემოკრატიულ წარმომადგენლობით ორგანოებთან ერთად, იგი გამოხატავდა რევოლუციური ბრძოლების განვითარების ობიექტურ პირობებს, კლასთა ძალების არსებულ კონკრეტულ თანაფარდობას.

განვითარების ამ ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები იქმნებოდნენ არა საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით, არამედ ყალიბდებოდნენ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტების მიერ, ფრონტებში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების წევრთა დელეგირების, წარგზავნის საფუძველზე.

ასეთი წესით შეიქმნა, მაგალითად, 1945 წელს სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ხელისუფლების პირველი მოწვევის ეროვნული კრება, 1947 წელს პოლონეთში — კრაიოვა რადა ნაროდოვა და ჩინეთში სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომლებიც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფუნქციებს ასრულებდნენ. ამავე ქვეყნებში დროის გარკვეულ მონაკვეთში (პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მაგალითად 1954 წლამდე) დელეგირების გზითვე იქმნებოდნენ აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საარჩევნო სისტემის განვითარების შემდეგ ეტაპზე განმტკიცდა არჩევნების პროპორციული სისტემა, რომლის თანახმად ანტიფაშისტურ ფრონტში შემავალ ყოველ პარტიას ჰქონდა უფლება წამოეყენებინა თვითეულ საარჩევნო ოლქში მისი კანდიდატების ერთიანი სია. ამომრჩევლები კენჭს უყრიდნენ სიას მთლიანად, თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევდა მხოლოდ ერთი რომელიმე პარტიის სიას, მანდატები ნაწილდებოდა პარტიათა შორის პროპორციულად, მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით.[1]

[1] შად. Н. А. Теплова, Избирательная система европейских стран народной демократии, Госюриздат. Москва, 1956 г., стр. стр. 5–6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბების ადრინდელ წესთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო, უფრო დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. იგი ქმნიდა ცალკეული პარტიების ავტორიტეტულობის შემოწმების პირობებს, წარმოადგენდა მოსახლეობის მხრივ მათი პოლიტიკის მხარდაჭერის გამომჟღავნების საშუალებას. მაგრამ ეს სისტემა ხასიათდებოდა ერთი სერიოზული ნაკლით—იგი არ იძლეოდა ამომრჩევლებსა და დეპუტატს შორის უშუალო, სისტემატური კონტაქტის დამყარების, ამომრჩევლების მიერ დეპუტატის უკან გამოწვევის უფლების განხორციელების საშუალებას.

ეს შესაძლებელი გახდა სახალხო — დემოკრატიული საარჩევნო სისტემის განვითარების შემდგომ ეტაპზე, რომელიც სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციებისა და შესაბამისი საარჩევნო კანონების დამტკიცებით დაიწყო.[1]

სახალხო—დემოკრატიულმა კონსტიტუციებმა და ახალმა საარჩევნო კანონებმა განამტკიცეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო ხმის უფლება ფარული კენჭისყრით.[2]

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო სამართალს ცალკეულ სოციალისტურ სახელმწიფოებში გარკვეული სპეციფიურობა ახასიათებს, იგი ყველგან საჭირო პირობებს ქმნის სახელმწიფო მმართველობაში მშრომელი მასების უშუალო ჩაბმისათვის.

სოციალისტურ სახელმწიფოებში განმტკიცებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება. ყოველ მოქალაქეს, დამოუკიდებლად რასობრივი, ეროვნული კუთვნილებისა, სარწმუნოებისა და სოციალური წარმოშობისა, წარსული საქმიანობისა და ქონებრივი მდგომარეობისა — გარდა ჭკუაშეშლილებისა და იმ პირებისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე[3] — გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ ძირითადი კანონი ანიჭებს თანასწორ საარჩევნო უფლებას.

მოქალაქენი აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ 18 წლის ასაკიდან. პასიური საარჩევნო უფლება 18 წლის ასაკიდან მოქალაქეებს ენიჭებათ ყველა სახალხო რესპუბლიკაში, გარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა, პოლონეთისა, ჩეხოსლოვაკიისა (21 წლიდან) და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა (23 წლიდან). სსრ კავშირში პასიური საარჩევნო უფლებით მოქალაქენი სარგებლობენ — სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში —18 წლიდან, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში — 21 წლიდან, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს — 23 წლის ასაკიდან.

საბჭოთა სახელმწიფოსაგან განსხვავებით სახალხო—დემოკრატიული რესპუბლიკების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ აქ საარჩევნო სისტემა არ ითვალისწინებდა და არ ითვალისწინებს ექსპლოატატორული ელემენტებისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევას.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში ექსპლოატატორული კლასები არ სარგებლობდნენ საარჩევნო უფლებებით. წარმომადგენლობითი ორგანოები იქმნებოდნენ საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, მოსახლეობის იმ კატეგორიებს, რომლებიც მონაწი-

---

[1] მოცემული პერიოდიზაცია პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი არ არის.

[2] გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტარდება საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნები პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპების განხორციელებით. იხ. Handbuch der Volkskammer der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S. 31, აგრეთვე Dokumente zur Stadtsordnung der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1959, S. 454, u. f. f.

[3] საარჩევნო უფლების ჩამორთმევის ასეთი წესი სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობას იღებდნენ არჩევნებში, არ ჰქონდათ თანასწორი საარჩევნო უფლებები, ხელისუფლების ორგანოთა უმრავლესობა ყალიბდებოდა მრავალსაფეხურიანი არჩევნების გზით.

აღნიშნავდა რა ამ გარემოებას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეს ღონისძიება არ წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებელ ნიშანს, რომ საკითხი ექსპლოატატორებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ „წმინდა რუსული“ საკითხია, მას უნდა მიუდგეთ რუსეთის რევოლუციის განვითარების განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით. საარჩევნო უფლების შეზღუდვა და ჩამორთმევა არ წარმოადგენს საკითხს საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იგი არ შედის როგორც აუცილებელი პირობა მუშათა კლასის დიქტატურის ცნებაში.

თუმცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში საარჩევნო უფლება მოქალაქეებს არ ჩამოერთმევათ მათი სოციალური კუთვნილების მიხედვით,[1] მაგრამ სახალხო-დემოკრატიული საარჩევნო სამართლისათვის სულ ერთი არ არის მოქალაქის პოლიტიკური კუთვნილება და სიმპათიები.[1]

ანტიდემოკრატიულ, ანტისახალხო ელემენტებს და ორგანიზაციებს იგი უხშობს არჩევნებში მონაწილეობის ყოველგვარ შესაძლებლობას, ქმნის იურიდიულ გარანტიებს რეაქციის კონტრრევოლუციური ზრახვების წინააღმდეგ. ძირითადი კანონების თანახმად არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მიისწრაფვიან საზოგადოებრივი ცხოვრების ჰეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნისაკენ.

პოლიტიკური ნიშნის მიხედვით საარჩევნო უფლებები ყველგან ჩამორთმეული აქვთ პროფაშისტურ ელემენტებს, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროიაპონურ და პროამერიკულ ელემენტებს.

სოციალისტურ სახელმწიფოებში ხორციელდება თანასწორი საარჩევნო უფლება. ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც ფორმალურად ხშირად ამომრჩეველთა სრულ თანასწორობას აცხადებს სინამდვილეში კი უთანასწორობას ამყარებს, სოციალისტურ ქვეყნებში არჩევნებში ყველა თანაბარი უფლებებით მონაწილეობს. თანასწორი საარჩევნო უფლება აქ უზრუნველყოფილია თვითეული ამომრჩევლისათვის მხოლოდ ერთი ხმის მინიჭებით, წარმომადგენლობის ერთიანი მტკიცე ნორმების დაწესებითა და დაცვით. კანონმდებლობა აწესებს, რომ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს, ყველა ამომრჩევლის ხმა თანაბარია. სოციალისტური საარჩევნო სისტემებისათვის უცხოა ყოველგვარი შეზღუდვები რასობრივი ან ეროვნული კუთვნილების, სქესის, სარწმუნოების და სხვა ნიშნების მიხედვით. ყველა ეროვნების, ყველა პროფესიის წარმომადგენლები თანასწორი უფლებებით მონაწილეობენ არჩევნებში. ქალი მამაკაცის თანასწორუფლებიანია, სამხედრო მოსამსახურენი — სამოქალაქო მოსახლეობისა.

სოციალისტური საარჩევნო სისტემისათვის უცხოა ე. წ. „საარჩევნო გეოგრაფია“, რომლის გამოყენებით ბურჟუაზიულ ქვეყნებში იქმნება ამომრჩეველთა არათანაბარი რაოდენობის საარჩევნო ოლქები, ამომრჩეველთა ხმები კი იყოფა მმართველი წრეების პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად.

სოციალისტურ ქვეყნებში ყველა მოქალაქე სარგებლობს თანაბარი იურიდიული უფლებით აირჩიოს სასურველი კანდიდატი, თვითონ იყვეს არჩეული.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც მუშათა კლასის ხვედრითი წონა

---

[1] სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად საარჩევნო უფლება წლების მანძილზე ჩამორთმეული ჰქონდათ ყოფილ მემამულეებს, ბანკირებს, მრეწველებს, კერძო მესაკუთრეებს, რომლებიც საწარმოში 5-ზე მეტ მუშახელს იყენებდნენ, კულაკებს და იმ პირებს, ვისაც ჩადენილი აქვთ დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არჩევნებში არ მონაწილეობენ ყოფილი მემამულენი, რომლებმაც ოფიციალურად არ განაცხადეს თავიანთი კლასობრივი კუთვნილების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით მცირეა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მისი საკმარისი რაოდენობით წარდგენისათვის საარჩევნო კანონმდებლობა გარკვეულ უპირატესობას აძლევს მსხვილი საწარმოო ცენტრების მშრომელებს. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დროს ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით სარგებლობს უპირატესობით, რომელიც გამოიხატება შეფარდებით 4:1, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების არჩევნებისათვის კი დაწესებულია შეფარდება 8:1.[1]

სოციალისტური სახელმწიფოების უმრავლესობაში განმტკიცებულია პირდაპირი საარჩევნო უფლება. ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ თავის წარმომადგენლებს შესაბამის ორგანოებში, ისინი თვითონ ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

პირდაპირი საარჩევნო უფლების განმტკიცებით სოციალისტურ ქვეყნებში მყარდება უშუალო კონტაქტი დეპუტატსა და ამომრჩეველს შორის, მჭიდრო კავშირი მოსახლეობასა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებს შორის, უზრუნველყოფილია აგრეთვე მშრომელების მიერ ამ ორგანოებზე კონტროლის გაწევის საშუალება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საარჩევნო სისტემის თავისებურებას ამ მხრივ წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ზოგიერთი რგოლის ჩამოყალიბება მრავალსაფეხურიანი არჩევნებით. კანონის თანახმად სრულიად ჩინეთის, ისე როგორც პროვინციის, მაზრის და იმ ქალაქების სახალხო წარმომადგენელთა კრებები, სადაც არსებობს რაიონული დაყოფა, აირჩევიან საფეხურით ქვევით მდგომი ადგილობრივი ორგანოების მიერ ე. ი. 2,3 და 4-საფეხურიანი არჩევნებით.

მშრომელთა ნებასურვილის თავისუფლად გამომჟღავნების ერთ-ერთ ძირითად გარანტიას და პირობას წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოების კონსტიტუციებით ფიქსირებული არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარების წესი. არჩევნების საიდუმლოების დარღვევა, ფარული კენჭისყრის ფაქტიურად უარყოფა — ჩვეულებრივი მოვლენაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. სოციალისტურ სახელმწიფოებში პირიქით ფარული კენჭისყრა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების არჩევნების ჩატარების ერთერთ ფორმას, რომელიც ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს თავისუფლად გამოამჟღავნონ დამოკიდებულება დეპუტატობის კანდიდატისადმი, მისცენ ხმა სასურველ კანდიდატს. ფარული კენჭისყრა წარმოადგენს ამომრჩევლების მიერ არჩევითი ორგანოს მიმართ, თვითეული მისი წევრის მიმართ კონტროლის ეფექტურ საშუალებას, წამოყენებული კანდიდატების ავტორიტეტულობის შემოწმების მეთოდს.

არჩევნების საიდუმლოების უზრუნველყოფის მიზნით სოციალისტური სახელმწიფოების კანონმდებლობა ითვალისწინებს არჩევნების ჩატარებისათვის შესაფერისი შენობების გამოყოფას, სპეციალური იზოლირებული ჯიხურების მოწყობას, საარჩევნო ყუთების აუცილებელ დალუქვას, მათ გახსნას განსაკუთრებული წესების დაცვით და მხოლოდ არჩევნების დამთავრების შემდეგ.

ამომრჩევლის ნებასურვილის უშუალოდ და დამოუკიდებლად გამომჟღავნების უზრუნველსაყოფად აკრძალულია საარჩევნო ხმის გადაცემა, მოქალაქე პირადად მონაწილეობს კენჭისყრაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საარჩევნო სისტემის თანახმად სოფლის რაიონებში საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია არჩევნების ღია წესით (ხელის აწევით) ჩატარება.[2]

---

[1] მუშათა კლასი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს არჩევნებში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც.

[2] საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საარჩევნო სამართლის თავისებურებანი გარდა ზოგიერთი სხვა მომენტისა დაკავშირებული არიან იმ გარემოებასთან, რომ ჩინელი ხალხის ისტორიაში საყოველთაო არჩევნები პირველად ჩატარდა 1953—1954 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში დეპუტატობის კანდიდატის წამოყენება და მისი გამარჯვება არჩევნებში, როგორც წესი, მონოპოლიების ნებასურვილზე და ფინანსურ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული, სოციალისტურ ქვეყნებში კი ეს დამოკიდებულია არა ფულსა და ქონებაზე, არამედ ადამიანის პირად ღირსებაზე, მშრომელებისადმი მის ერთგულებაზე. დეპუტატობის კანდიდატს სოციალისტურ სახელმწიფოებში თვით მშრომელები წარმოაყენებენ თავისივე რიგებიდან: საზოგადოებრივ და პარტიულ ორგანიზაციებში, პროფესიულ კავშირებში, ახალგაზრდობის და ქალთა კავშირებში, კულტურულ საზოგადოებებში, მშრომელთა საერთო კრებებზე წარმოებებში, დაწესებულებებში, კოოპერატივებში, სოფლებსა და შეიარაღებული ძალების ნაწილებში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დეპუტატობის კანდიდატები არჩევნებში გამოდიან სახალხო ფრონტების კანდიდატთა ერთიანი ბლოკით, საბჭოთა კავშირში — კომუნისტთა და უპარტიოთა ერთიანი ბლოკით.

სოციალისტურ ქვეყნებში თვითონ მშრომელები ატარებენ საგიტაციო კამპანიას. თვითეულ მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლება გასწიოს აგიტაცია სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ, ისე როგორც არასასურველის წინააღმდეგ. ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე წარმოებს არჩევნების ორგანიზაცია. არჩევნების ჩატარების წესები, რომლებიც ფიქსირებულია საარჩევნო დებულებებით, ქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს მშრომელების მიერ საარჩევნო უფლებების განხორციელებისათვის.

საარჩევნო დებულებების თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს ევალებათ დროულად შეადგინონ და გამოაქვეყნონ ამომრჩეველთა სიები. თვითეულ მოქალაქეს გარანტირებული აქვს უფლება გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში მისი შეუტანლობის ფაქტი, ისე როგორც კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ საქმეში დაშვებული ყველა სხვა შეცდომა.

მაშინ როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში საარჩევნო კამპანიას სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკები და ბურჟუაზიული პარტიული ბოსები ხელმძღვანელობენ, სოციალისტურ სახელმწიფოებში არჩევნებს თავიდან ბოლომდე უშუალოდ მშრომელები ატარებენ. მშრომელთა წარმომადგენლებისაგან იქმნება საარჩევნო კომისიები, რომლებიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ არჩევნებს, აწარმოებენ საარჩევნო მოწმობების გაცემას, დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციას,ხმების დათვლას და ა. შ. საარჩევნო კომისიების მთელი მუშაობა მიმდინარეობს მშრომელთა თვალწინ, მათი ყოველდღიური მეთვალყურეობით.

სოციალისტურ სახელმწიფოებში საარჩევნო ოლქები იქმნება კანონით გათვალისწინებული ნორმების ზუსტი დაცვით. დებულებები ითვალისწინებენ საარჩევნო ოლქების დროულად შექმნას ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. საარჩევნო უბნები იქმნება იმ ანგარიშით, რომ თვითეულმა ამომრჩეველმა შეუფერხებლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

საარჩევნო დებულებები ითვალისწინებენ, რომ ხმების დათვლის დროს საარჩევნო კომისიების სამუშაო ოთახებში დაიშვებიან მშრომელთა სპეციალური წარმომადგენლები და პრესის მუშაკები. მაშასადამე ამ სტადიაზედაც ამომრჩევლები ანხორციელებენ კონტროლს.

სოციალისტურ სახელმწიფოთა საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო დებულებები ქმნიან ყველა პირობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას როგორც თვით არჩევნების, ისე არჩეული ორგანოების დემოკრატიზმი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობა, მაგალითად ბათილად თვლის ჩატარებულ არჩევნებს იმ ოლქებში, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა. ასეთ შემთხვევაში ორი კვირის შემდეგ კვლავ დაინიშნება არჩევნები, რათა მათში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველთა უმრავლესობამ და, უზრუნველყოფილ იქნას არჩევითი ორგანოს ჭეშმარიტად წარმომადგენლობითი ხასიათი.

არჩევნები ჩვეულებრივ ტარდება გამოსასვლელ დღეს, უმეტესად წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პერიოდში, როცა მოსახლეობის უმრავლესობა შედარებით ნაკლებად არის დატვირთული ყოველდღიური საქმიანობით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არჩევნები მშრომელი მასების ძარცვასა და ექსპლოატაციის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული, წარმოადგენს ხალხის პოლიტიკური დეზორიანტაციისა და მოტყუების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს. სოციალისტურ ქვეყნებში კი არჩევნების ჩატარებას განუხრელად თან ახლავს მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივიზაცია, ხოლო ამ საფუძველზე კი მათი შეგნების, მათი მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება.

ვმსჯელობთ რა რომელიც არ უნდა იყოს საარჩევნო სამართლის დემოკრატიზმზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამომრჩევლებსა და დეპუტატებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. უზრუნველყოფს თუ არა საარჩევნო სამართალი მუდმივ მჭიდრო კონტაქტს ამომრჩეველთა და არჩეულთა შორის, უნარჩუნებს თუ არა იგი მშრომელებს, ამომრჩევლებს უზენაესი კონტროლის უფლებას, აყენებს თუ არა დეპუტატს ხალხისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში? იმის მიხედვით, თუ როგორ პასუხობს საარჩევნო სამართალი ამ მოთხოვნილებებს, წყდება საკითხი მისი დემოკრატიულობის ან ანტიდემოკრატიულობის შესახებ.

სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობა მჭიდრო კავშირს ამყარებს დეპუტატსა და ამომრჩეველს შორის, დეპუტატს აყენებს ხალხისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში. ამომრჩევლის უფლებები დეპუტატის მიმართ არ ამოიწურება მხოლოდ არჩევით. ეს მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება მყარდება ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ამომრჩეველთა განაწესების საშუალებით. განაწესი მშრომელთა ინტერესების დოკუმენტალურ ფიქსაციას, მათი მოთხოვნებისა და სურვილების აღნუსხვას წარმოადგენს. დეპუტატობის კანდიდატი, თუ დეპუტატი ვალდებულია განუხრელად იხელმძღვანელოს განაწესით, გაატაროს ცხოვრებაში ამომრჩეველთა სამართლიანი მოთხოვნები.

დეპუტატის წმინდათა წმინდა ვალია მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ხალხთან, მასებთან, რომლებმაც იგი აირჩია, სისტემატურად აძლევდეს მათ ინფორმაციას წარმომადგენლობითი ორგანოსა და საკუთარი საქმიანობის შესახებ. სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები და კანონები ადგენენ დეპუტატების რეგულარულ ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე.

დეპუტატებს და ამომრჩევლებს შორის მჭიდრო კავშირის საწინდარს სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმოადგენს პირველ ყოვლისა დეპუტატების სოციალური მდგომარეობა. აქ დეპუტატი უპირველესად ყოვლისა მშრომელია, რომელიც არჩევნების შემდეგაც განაგრძობს ყოველდღიურ საქმიანობას გარკვეულ წარმოებაში ან დაწესებულებაში, თავის ამომრჩეველთა შორის და მუდამ იმყოფება მშრომელების კონტროლის ქვეშ.

კანონმდებლობის თანახმად ამომრჩევლებს ყოველთვის შეუძლიათ გაიწვიონ დეპუტატი, რომელიც არ ამართლებს მათ ნდობას და აირჩიონ ღირსეული.

ბურჟუაზიული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს კავშირს ამომრჩეველთა და არჩეულ დეპუტატთა შორის. აქ ამომრჩევლებს როგორც წესი არ გააჩნიათ დეპუტატის უკან გამოწვევის უფლება. მთავრდება თუ არა არჩევნები, ამომრჩევლებისაგან ბურჟუაზიული დეპუტატის ყოველგვარი დამოკიდებულება იკარგება. არავითარ უფლებებს ამომრჩეველი არჩეულის მიმართ აღარ ინარჩუნებს. პირიქით ამიერიდან დეპუტატს გააჩნია უფლებები ამომრჩეველთა მიმართ, რომლებსაც იგი ჩვეულებრივ მფარველი მონოპოლიებისა და პირადი ინტერესების შესაბამისად გამოიყენებს. ყოველგვარი კავშირი ამომრჩევლებსა და დეპუტატს შორის წყდება, უკანასკნელს შეუძლია გააკეთოს რაც სურს, უფრო ზუსტად, რაც სურს მათ, ვინც იზრუნა და ხარჯი გაიღო მისი კანდიდატურის წამოყენებაზე, რეკლამირებაზე, პოპულარიზაციაზე და გამარჯვებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამის გამო არჩევნები ბურჟუაზიულ ქვეყნებში რიგითი ამომრჩევლებისათვის სრულიად უცხო საქმეს წარმოადგენს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგალითად 1954 წელს კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ამომრჩეველთა ნახევარზე მეტს, 1955 წელს ინგლისში პარლამენტის არჩევნების დროს საარჩევნო უფლების ვანხორციელებაზე უარი თქვა ამომრჩეველთა ერთმა მეოთხედმა და ა. შ.

სოციალისტურ ქვეყნებში არჩევნები მშრომელთა ღვიძლი საქმეა, სწორედ ამიტომ მათი ჩატარება საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცევა ხოლმე.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნები საბჭოთა კავშირში, ისე როგორც სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ჩატარდა ახალ პირობებში, ახალ ისტორიულ პერიოდში, რომელსაც შუქი მოჰფინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. მან ერთხელ კიდევ ნათელყო მშრომელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა მარქსისტულ-ლენინური პარტიების და მათი ავანგარდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი, იმ დიადი პოლიტიკისადმი, რომელიც ხალხთა შორის მშვიდობას, კეთილდღეობასა და სიხარულს ისახავს მიზნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

პროფ. მ. სტროგოვიჩი
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი.

I. სკკპ ახალი პროგრამა — მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა მეცნიერულ ნაწარმოებს, შეიცავს უმნიშვნელოვანეს დებულებებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის, სოციალისტური კანონიერების და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

უთმობს რა დიდ ყურადღებას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების პიროვნების თავისუფლებისა და უფლებების უზრუნველყოფას სკკპ პროგრამა მიუთითებს სოციალისტურ მართლმსაჯულებაზე, როგორც კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებების გარანტიაზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებაზე, რაც ხელს უწყობს მართლწესრიგის დარღვევათა აღმოფხვრას, დამნაშავეობის ლიკვიდაციას, მისი გამომწვევი ყველა მიზეზის აღკვეთას.

პროგრამაში ნათქვამია: „მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით. იგი ემყარება ნამდვილად დემოკრატიულ საფუძვლებს: მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობასა და ანგარიშგებას, მათი ვადამდე გაწვევის უფლებას, სასამართლო საქმეთა განხილვის საჯაროობას, სასამართლოებში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობას, ისე რომ სასამართლო, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები უაღრესი სიზუსტით იცავდნენ კანონიერებას, ყველა პროცესუალურ ნორმას. მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები კვლავაც განვითარდება და გაუმჯობესდება“.

ამ დებულებებიდან გამომდინარეობს საჭიროება რიგი ღონისძიებებისა, მიმართულს იქითკენ, რომ განმტკიცდეს მართლმსაჯულება, გაუმჯობესდეს მისი ორგანიზაცია და განხორციელება, უფრო ეფექტური გახდეს სასამართლოს მოღვაწეობა, აღმოიფხვრას ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, საერთოდ აყვანილ იქნეს მართლმსაჯულება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის მოთხოვნისა და პირობების შესაბამისად. ღონისძიებების ნაწილი ამ დარგში შეიძლება გატარდეს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამავე დროს საჭიროა კანონმდებლობის სრულყოფა, მისი განვითარება, ახალი კანონების მომზადება და მიღება სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და იურიდიული მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინების საფუძველზე.

სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების შესახებ კანონმდებლობის განვითარება და სრულყოფა უნდა შეესაბამებოდეს კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების იმ მიმართულებას, რაზეც მითითებულია სკკპ პროგრამაში. ეს ნიშნავს, რომ კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ უნდა ვითარდებოდეს მართლმსაჯულების შემდგომი დემოკრატიზაციის, მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაფართოების, სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების, ამ საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების გზით. 1958 წლის დეკემბერში მიღებულმა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლებმა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საფუძვლებმა, ასევე ამ საერთო-საკავშირო კანონების შესაბამისად მიღებულმა მოკავშირე რესპუბლიკების კანონებმა სასამართლო წყობილების შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა განავითარეს კანონმდებლობა სასამართლო წყობილების და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების შესახებ ამ მიმართულებით. მაგრამ ამით დაკმაყოფილება ცხადია, არ შეიძლება. საჭიროა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და განვითარება სკკპ პროგრამის მითითებათა შესაბამისად.

აქ წარმოიშობა მრავალი საკითხი, რაც მოითხოვს განსჯასა და განმარტებას. ამ სტატიაში მე შევეხები მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

II. არის ერთი საკითხი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო რადიკალური ხასიათის, რომელიც ჩემი აზრით უკვე მომწიფდა და წამოყენებულია ცხოვრების, პრაქტიკის მიერ. ეს არის საკითხი სასამართლოს შემადგენლობაში სახალხო მსაჯულების რიცხვის გაზრდის შესახებ უფრო რთულ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, ისეთი საქმეების, რომელთა გამო სამართალში მიცემულს მოელის მძიმე სასჯელი, საქმეების, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და ა. შ.

ამჟამად ყველა სასამართლოში ყველა საქმის განხილვისას პირველ ინსტანციაში სასამართლოს შემადგენლობაა — ერთი მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლი). პრესაში იყო წინადადება სახალხო მსაჯულების რიცხვის გაზრდის შესახებ (მაგ. ფ. მ. ბურლაცკის სტატიაში — Вопросы государства в проекте Программы КПСС, გამოქვეყნებული ჟურნალ „Коммунист"-ის 1961 წ. № 13-ში).

არ არის საეჭვო, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულების როლის ამაღლების ამოცანა — ძალზე აქტუალურია. სახალხო მსაჯულები — სრულუფლებიანი მოსამართლეებია, რომლებიც საქმეს წყვეტენ თავისი რწმენით, თავისი სინდისით, დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. სასამართლოს შემადგენლობაში მუდმივი მოსამართლე ხელმძღვანელობს სასამართლო განხილვას. აძლევს სახალხო მსაჯულებს საჭირო განმარტებებს, მაგრამ საქმის გადაწყვეტისას მას არა აქვს რაიმე უპირატესობა სახალხო მსაჯულების წინაშე, არა აქვს უფლება მათზე ზემოქმედების მოხდენისა, განსასჯელი საკითხების ამა თუ იმგვარი გადაწყვეტის იძულებისა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307 მუხლი (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები) ადგენს შემდეგ წესს: „ყოველი საკითხის გადაწყვეტის დროს არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლია ხმის მიცემისაგან თავი შეიკავოს. **თავმჯდომარე ხმას ბოლოს აძლევს**" (ხაზი გასმულია ჩემს მიერ მ. ს.).

ამ წესის დაცვა ყოველ ცალკე შემთხვევაში ძნელია გაკონტროლდეს, სათათბირო ოთახის საიდუმლოების გამო, მაგრამ იგი მტკიცედ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ცხადია, რომ სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა მაგალითად ექვსამდე მნიშვნელოვნად განამტკიცებს სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას.

ამავე მიზანს შეიძლება ემსახუროს შემოღება სავალდებულო წესისა, რომ სახალხო მსაჯულებს განემარტოს მათი უფლება — მოვალეობა და ჩამოერთვას მათ წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქმეს გადაწყვეტენ კანონის, სინდისის მიხედვით, და არავითარ გარეშე ზეგავლენასა და ზემოქმედებას არ მოექცევიან. ასეთი განმარტება და სათანადო წერილობითი ხელწერილის მიღება უნდა წარმოებდეს ყოველი სახალხო მსაჯულის მიმართ, როდესაც იგი შეუდგება მისი მოვალეობის შესრულებას კანონით განსაზღვრული ვადით, ამასთან ეს უნდა კეთდებოდეს საკმაოდ საზეიმო ვითარებაში, ამ აქტის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის შეფასების ვითარებაში. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ შემთხვევებს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი, როდესაც სახალხო მსაჯულები სამსჯავრო გამოძიებისას იჩენენ პასიურობას, ხოლო საქმის გადაწყვეტისას ყველაფერში ეთანხმებიან მუდმივ მოსამართლეს, ფიქრობენ რა, რომ მისთვის, როგორც იურის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისათვის უფრო ნათელია თუ სად არის სიმართლე, ხშირად ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომ სასამართლოს რევიზიის ან ამათუიმ სასამართლო საქმის პროცესში განსჯისას საყვედური საქმის უსწოროდ გადაწყვეტისა, უდანაშაულო პირის მსჯავრდებისა ან ბრალეულის გამართლებისათვის, ზედმეტად რბილი ან ზედმეტად მკაცრი სასჯელის შეფარდებისათვის მარტოოდენ მუდმივი მოსამართლის მისამართით გაისმის, თითქოს და ის მარტო ერთი წყვეტდეს საქმეს.

ვფიქრობ, სახალხო მსაჯულები ანგარიშს უნდა აბარებდნენ თავიანთ ამომრჩევლებს ისევე, როგორც მოსამართლეები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახალხო მსაჯულების აქტიობა და დამოუკიდებლობა სულ მუდამ იზრდება, რომ სახალხო მსაჯულებათ ირჩევენ მოწინავე, განათლებულ, შეგნებულ ადამიანებს.

მაგრამ წარმატება უნდა განმტკიცდეს და მნიშვნელოვნად გაფართოვდეს, სახალხო მსაჯულების რიცხვის გაზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას ამ მიმართულებით. ეს ღონისძიება უფრო მეტ მოქალაქეს მიიზიდავს მართლმსაჯულების განხორციელებაში, აამაღლებს სასამართლო განაჩენების ხარისხს და მათ ავტორიტეტს ხალხის თვალში.

III. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებმა (1958 წ.) და მის შესაბამისად მიღებულმა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა გააფართოვეს და განავითარეს სისხლის სამართლის პროცესის ისეთი პრინციპები, როგორიცაა სასამართლო პროცესების საჯაროობა, ზეპირობა, უშუალობა და შეჯიბრებითობა, განამტკიცეს უდანაშაულობის პრეზუმპცია, მაგრამ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მხარეთა პროცესუალური თანასწორობის ცალკეული შეზღუდვები. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298 მუხლის თანახმად, დაზარალებული მონაწილეობს სასამართლო კამათში მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეებზე, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ საქმეებზე მას ასეთი უფლება არა აქვს, თუმცა სამსჯავრო გამოძიების დროს იგი სარგებლობს მხარის ყველა უფლებით, ხოლო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი საკასაციო წესით.

ვფიქრობ, რომ დაზარალებულის უფლებათა ასეთი შეზღუდვა არ არის გამართლებული, მას უნდა მიეცეს უფლება სასამართლო კამათში მონაწილეობისა.

შემდეგ, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი მოქმედი კანონის ძალით სარგებლობენ მხარის ყველა უფლებით პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არა აქვთ სხვა მხარეებისათვის კუთვნილი უფლება განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 337 მუხლი, რომელიც ასახავს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 44-ე მუხლს არ მიუთითებს საზოგადოებრივ ბრალმდებელზე იმ პირთა შორის, რომელთაც განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ, საზოგადოებრივი დამცველის მიმართ ეს საკითხი კანონის ტექსტში გაურკვეველია, მითითებულია, რომ განაჩენი შეუძლია გაასაჩივროს „სამართალში მიცემულმა, მისმა დამცველმა...“ და ა. შ. ეს შეიძლება იმგვარად იქნეს გაგებული, რომ საზოგადოებრივ დამცველს, რომელიც სამართალში მიცემულის დამცველია, და არა სხვა ვინმე, შეუძლია განაჩენის გასაჩივრება. მაგრამ მაშინ ძნელია გაგება თუ რატომ არის ასეთი სხვაობა დაშვებული საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველს შორის — პირველს არ შეუძლია განაჩენის გასაჩივრება, ხოლო მეორეს შეუძლია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ავტორები „Научно-практического Комментария к Основам уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик“ თვლიან, რომ საფუძვლების 44-ე მუხლში მოცემული ჩამოთვლა პირებისა, რომელთაც განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ, ამომწურავი არ არის, ამიტომ „საკითხი საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლების შესახებ გაასაჩივრონ განაჩენი, შეიძლება გადაწყდეს რესპუბლიკური კანონმდებლობით".[1] მაგრამ რესპუბლიკების სსსკ ამ საკითხზე მხოლოდ ასახავენ საფუძვლების 44-ე მუხლს, ისე რომ მას არაფერს უმატებენ.

ვფიქრობთ საჭიროა ამ საკითხში სრული გარკვეულობის შეტანა, საფუძვლების 44-ე მუხლში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 337 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებში პირდაპირი მითითების შეტანით საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის უფლებაზე გაასაჩივრონ განაჩენი (შესაბამისად უნდა შეიცვალოს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 346 მუხლი იმ პირების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვისას).

ამასთან ერთად აღვნიშნავთ რომ საზოგადოებრივი ბრალმდებელთა და საზოგადოებრივი დამცველთა ინსტიტუტები შემდეგში უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს, ეს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ძალზე მნიშვნელოვანი და ქმედითი ფორმაა.

IV. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფა უნდა გამოიხატოს ისეთი საპროცესო ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც შეეძლოთ უზრუნველყონ სისხლის სამართლის საქმეების სწორი გადაწყვეტა, საქმეების გამოკვლევასა და გადაწყვეტაში მოსალოდნელი შეცდომების თავიდან აცილება. ასეთი ღონისძიებები ბევრია, შეეხებიან სხვადასხვაგვარ პროცესუალურ ფორმებს, პროცესუალურ ინსტიტუტებს, პროცესუალურ სტადიებს. შევჩერდებით მხოლოდ ერთს ამგვარ საკითხზე.

სკკპ XXII ყრილობაზე ამხ. ა .ნ. შელეპინმა, ლაპარაკობდა რა სამართლის მეცნიერებაში ა. ი. ვიშინსკის მიერ განვითარებულ მცდარ დებულებებზე, აღნიშნა, რომ „მის მიერ შემუშავებული „თეორია" სახელმწიფო დანაშაულის გამო საქმეებზე ბრალდებულის ჩვენების გადამწყვეტ დამამტკიცებელ საბუთად ცნობის შესახებ, არსებითად ამართლებდა სასამართლო-საგამომძიებელო პრაქტიკაში თავის დროზე არსებულ თვითნებობის მასიურ ფაქტებს".[2] აქ ნაგულისხმებია შემდეგი დებულება, რომელსაც შეიცავს ა. ი. ვიშინსკის მონოგრაფია „Теория судебных доказательств в Советском праве". (პირველი გამოცემა — 1941 წ. მეორე — 1946, მესამე — 1950 წ.), ლაპარაკობდა რა სახელმწიფო, კონტრრევოლუციურ დანაშაულის შესახებ საქმეებზე ბრალდებულის ჩვენების როგორც დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობაზე, ა. ი. ვიშინსკი ამტკიცებდა, რომ „ამდაგვარ საქმეებზე ბრალდებულების განმარტება აუცილებლად იღებს ძირითადი დამამტკიცებელი საბუთის უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობის ხასიათს",[3] და შემდეგ „...არ შეიძლება არ ვცნოთ ამდაგვარ საქმეებზე ამ სახის დამამტკიცებელი საბუთის დამოუკიდებელი მნიშვნელობა".[4]

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ა. ი. ვიშინსკის მტკიცებით კონტრრევოლუციური დანაშაულის შესახებ საქმეებზე ბრალდება შეიძლება დაემყაროს მარტოოდენ ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებას, თუნდაც სხვა დამამტკიცებელი საბუთები ბრალდებულის ბრალეულობისა არ არსებობდნენ.

და მართლაც, უკეთუ კონტრრევოლუციურ დანაშაულთა შესახებ საქმეებზე ბრალდებულის მიერ აღიარება თავისი ბრალისა არის „გადამწყვეტი დამამტკიცებელი საბუთი" — ეს ნიშნავს, რომ საქმე შეიძლება გადაწყდეს მარტოოდენ ამ აღიარების საფუძველზე; უკეთუ მას აქვს „დამოუკიდებელი მნი-

[1] იხ. Научно-практический комментарий к Основам уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик, госюриздат. изд. второе, М 1961, стр. 283.

[2] „Правда", 1961 წ., 27 ოქტომბერი.

[3] А. Я. Вышинский, Теория судебных доказательств в советском праве изд., 3, Госиздат, М, 1950, стр. 264.

[4] იქვე, გვ. 265.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელობა“ — ნიშნავს, რომ იგი არ საჭიროებს სხვა დამამტკიცებელი საბუთებით გამაგრებას.

უდავოდ ამდაგვარი კონცეპცია გამოწვეული იყო პიროვნების კულტის პერიოდში კანონიერების დარღვევის გარემო პირობებით და მოწოდებული ამ დარღვევათა გასამართლებლად. სწორედ ამაში იყო ამ კონცეპციის აზრი — ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ საქმეებზე საკმარისია ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების მიღება, რათა ბრალდება დამტკიცებულათ ჩაითვალოს და ბრალდებულს მძიმე სისხლის სამართლის სასჯელი შეეფარდოს. ასეთი შეხედულება ხელს უწყობდა უდანაშაულო ადამიანების უსაფუძვლო პასუხისგებაში მიცემასა და მსჯავრდებას.

ა. ი. ვიშინსკი ამ დებულებას მიაკუთვნებდა შეთქმულების, ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმეებს,[1] მაგრამ იგი გავრცელებული იქნა აგრეთვე სხვა დანაშაულთა შესახებ საქმეებზეც, ასე მაგალითად, პროკურორებისათვის სახელმძღვანელოში „Государственный обвинитель в Советском суде“.[2] 1954 წ., ა. ი. ვიშინსკის ზემოთმოყვანილი დებულება გავრცელებულია აგრეთვე საქმეებზე მექრთამეობის შესახებ. განსაკუთრებული სიმკვეთრით და მკაფიოდ ბრალდებულის აღიარების (არა ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, არამედ როგორც საერთო წესი, ყველა საქმეზე) გადაფასება გამოხატულია 1950 წ. გამოქვეყნებულ ა. ნ. ვასილევის სტატიაში „Тактика допроса обвиняемого,“ რომელშიც გამოძიების ამოცანად დასმულია ბრალდებულის აღიარების მიღება.

მთელი სტატია — ბრალის აღიარების, როგორც ყველაზე უკეთესის, უფრო მისაღები დამამტკიცებელი საბუთის, თავისებური აპოთეოზია. ავტორი პათეტიკურად წერს მასზე თუ „როგორი მორალური კმაყოფილების გრძნობით ადგენს გამომძიებელი საბრალდებო დასკვნას, როდესაც მას აქვს ბრალდებულის გამოტყდომა დანაშაულის ჩადენაში“, რის შემდეგ მოყვანილია ფრთხილი დანათქვამი — „თავის თავად იგულისხმება, თუ ეს გამოტყდომა შეესაბამება სინამდვილეს და საქმის მთელ მასალას“.[3] ეს დანათქვამი არავითარ რეალურს არ იძლევა — გამომძიებლის ამოცანა ბრალდებულის აღიარების მიღებისას ხომ სწორედ მასში მდგომარეობს, რომ დარწმუნდეს—შეესაბამება იგი სინამდვილეს თუ არა, სწორედ ეს შეადგენს გამოძიების სიძნელეს ასეთ შემთხვევებში.

შემდეგ ავტორი ურჩევს გამომძიებლებს ბრალდებულის დაკითხვისას გამოიჩინონ „აქტიობა ბრალდებულის გამოტყდომის მისაღებათ“.[4] ამისათვის ერთ-ერთ საშუალებათ ავტორი თვლის „ბრალდებულის ჩაგონებას, რომ გამომძიებლისათვის საქმეზე ყოველივე ცნობილია“.[5] ამის შემდეგ ა. ნ. ვასილევი მიუთითებს, რომ ბრალდებულის აღიარება უნდა იყოს „ისე დამაგრებული, რომ ბრალდებული თავს გრძნობდეს შეკრულად ამ აღიარებით და მასზე ადვილად უარი არ ჰყოს გამომძიებელთან და სასამართლოში შემდგომი დაკითხვებისას: უკანასკნელი საქმისათვის განსაკუთრებით ტრაღიკულია“.[6] თუმცა ავტორი დანათქვამს მიმართავს, რომ ბრალის აღიარების გარდა საჭიროა მისწრაფება ბრალდებულის მამხილებელი სხვა დამამტკიცებელი საბუთების მოსაპოვებლად, მაგრამ ცხადია, რომ სასამართლოში სამართალში მიცემულის მიერ უარის თქმა წინასწარ გამოძიებაზე აღიარებულ ბრალისა, შეიძლება „ტრაღიკული“ იყოს საქმისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდება მარტოოდენ გამოტყდომას ემყარება, თუ რომ გამოტყდომა დასტურდება სხვა ობიექტური დამამტკიცებელი საბუთებით, არა-

---

[1] იქვე, გვ. 263, 264.

[2] Государственной обвинитель в советском суде. Госюриздат, М. 1954, стр. 266.

[3] „Социалистическая законность“, 1950, № 2, стр. 13.

[4] იქვე, გვ. 19.

[5] იქვე, გვ. 18.

[6] „Социалистическая законность“, 1950, № 4, стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი „ტრაღიკული“ არ იქნება სამართალში მიცემულის უარყოფა თავისი გამოტყდომისა.

ბრალდებულის გამოტყდომის მცდარმა, მანკიერმა გადაფასებამ, მისი როგორც საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად მიჩნევამ დიდი ვნება მიაყენა მართლმსაჯულებას, კანონიერებას, ადამიანებს. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ასეთი უსწორო შეხედულება, სამწუხაროდ, განაგრძობს გავლენის მოხდენას გამოძიების ზოგიერთ მომუშავეებზე ამჟამადაც, თუმცა იგი იდევნება, უარყოფილია სისხლის სამართლის პროცესის თეორიითა და პრაქტიკით. ეს ჩანს, მაგალითად, ბრალდებულის გამოტყდომის შესახებ იმ მწვავე დისკუსიიდან, რომლის გაშლაც დაიწყო დაახლოებით 1956 წლიდან, და იმ დიდი წინააღმდეგობიდან, რაც გაეწია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ახალი კოდიფიკაციისას წინადადებას — შეტანილი ყოფილიყო კანონში წესი, რომელიც აკრძალავდა ბრალდების დამყარებას სხვა დამამტკიცებელი საბუთებით დაუდასტურებელ მარტოოდენ ბრალდებულის გამოტყდომაზე, ამჟამად ამ წესს ითვალისწინებს მხოლოდ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს გამოხატულია რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის 77-ე მუხლიც შეიცავს შემდეგ დებულებას: „ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარება შეიძლება საფუძვლად დაედვას ბრალდებას მხოლოდ აღიარების დადასტურებისას საქმეზე არსებული დამამტკიცებელი საბუთების კრებადობით“.

ეს აზრი სხვა ფორმით გამოხატულია ყირგიზეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლში: „ბრალდებულის ჩვენება, მათ შორის მის მიერ თავისი ბრალის აღიარებაც, აუცილებლად უნდა შემოწმდეს და შეფასდეს საქმის მთელი დამამტკიცებელი საბუთების კრებადობით“.

მაგრამ უმრავლეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ასეთ წესს არ შეიცავს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლში ბრალდებულის ჩაგონების შესახებ ნათქვამია: „ბრალდებული დაიკითხება მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ, და აგრეთვე სხვა ყველა მისთვის ცნობილი საქმის გარემოებათა შესახებ“. და მეტი არაფერი.

ჩემის აზრით, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ინტერესიდან გამომდინარე, ყველა პირობაა იმისათვის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში გამაგრებული იქნეს წესი მარტოოდენ ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებაზე ბრალდების დაფუძნების დაუშვებლობის შესახებ. მე შემოვიტანდი წინადადებას მიღებული ყოფილიყო ფორმულირება, რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულის მსგავსად, მაგრამ სხვაგვარად გამოთქმული, მაგალითად ასეთი: „ბრალდება არ შეიძლება დაემყაროს მხოლოდ ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარებას, უკეთუ ეს აღიარება არ არის დადასტურებული საქმეზე შეკრებილი სხვა დამამტკიცებელი საბუთებით“.

* * *

ასეთია ზოგიერთი — მხოლოდ ზოგიერთი — საკითხები ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა.[1]

როგორც კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ასევე მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპროცესო სამართლის აქტუალური პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას. ეს დამუშავება უნდა წარმოებდეს განუხრელად სკკპ პროგრამის მიერ დასმულ მიმართულებით, სახელდობრ საგამომძიებლო და

[1] ამდაგვარ მთელ რიგ საკითხებზე შესაძლებლობა მქონდა გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი სტატიაში „Развитие законодательства о судоустройстве и судопроизводстве,“ რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Советская юстиция“, 1961, № 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო ორგანოების საქმიანობაში კანონიერების სულ უფრო მეტად განმტკიცების, სასამართლო წარმოების მეტი დემოკრატიზაციის, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირების, მოქალაქეების პროცესუალური გარანტირების გაძლიერების მიმართულებით.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს გადაჭრით იქნეს აცილებული და მთლიანად აღმოფხვრილი ა. ი. ვიშინსკის მცდარი, მანკიერი კონცეპციები, წარმოშობილი სტალინის პიროვნების კულტის გარემო პირობებით და მასთან დაკავშირებული სოციალისტური კანონიერების დარღვევახი და მოწოდებული ამ დარღვევათა გასამართლებლად, ერთი ასეთი კონცეპციის, ბრალდებულის მიერ თავისი ბრალის აღიარების საკითხის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი, გაზ. „Известия"-ს 1962 წლის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია ა. ბოვინის ძალზე საინტერესო, არსებიად სწორი სტატია „Истина и правосудие", რომელშიც განხილულია მცდარი შეხედულებანი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში ობიექტური ჭეშმარიტებისა და ბრალდებულის უფლებათა პროცესუალური გარანტიების საკითხზე.

ძალზე მცდარია და მავნე ა. ი. ვიშინსკის მიერ 1937 წ. ფორმულირებული დებულება, რომ ბრალდებულის დამნაშავეთ ცნობისათვის არ არის სავალდებულო ჭეშმარიტების სრულად და აუცილებლად დადგენა — საკმარისია მისი ბრალეულობის „მაქსიმალური აღმოჩენა". როგორც ამ სტატიაშია ნაჩვენები ეს დებულება გავრცელდა და შენიღბული სახით 1959 წელშიც იყო გამოთქმული.

მცდარი იყო 1940 წ. ა. ი. ვიშინსკის მიერ წამოყენებული დებულება, რაც შემდეგ არაერთხელ ყოფილა გამეორებული, რომ გარკვეულ პირობებში ბრალდებულს შეიძლება დაეკისროს მისი გამამართლებელი გარემოებების დამტკიცების მოვალეობა,[1] რაც მიუხედავად ყველა დანათქმებისა რასაც მიმართავდა ვიშინსკი, ნიშნავდა ბრალდებულის მსჯავრდების შესაძლებლობას იმის საფუძველზე, რომ მან ვერ შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. არსებობს კიდევ კანონიერების დარღვევისათვის ხელისშემწყობი სხვა მცდარი დებულებებიც, რომლებიც გაკრიტიკებული და აცილებული უნდა იქნენ სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკიდან.

კანონმდებლობის სრულყოფის და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში (ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ყველა დარგში, საბჭოთა საქართველოს ყველა არეში) კანონიერების განმტკიცებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში სწავლულმა იურისტებმა — თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა ერთად უნდა იმუშაონ მათს წინაშე დასმული პრინციპების გადასაწყვეტად.

---

[1] იხ. А. Я. Вышинский, Теория судебных доказатсльств. в советском праве, изд. з-е. Государст. 1950, стр. 242—247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ადვოკატურა ახალი ამოცანების წინაშე

მ. კომახიძე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონების მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1961 წლის 27 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება აწესრიგებს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობას.

დებულება, განსხვავებით ორი ათეული წლის წინად მიღებულ სსრ კავშირის ადვოკატურის დებულებისაგან, ითვალისწინებს საბჭოთა ადვოკატურის განვლილ წლების განმავლობაში შექმნილ და პრაქტიკით გამართლებულ გამოცდილებებს, ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებიც წამოიჭრა სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში.

დებულებაში მთლიანად არის ასახული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი გაშლისა და გაფართოებისაკენ.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით ადვოკატს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საქმეში, მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიიდან, ამჟამად, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად დაშვებულია ადვოკატის მონაწილეობა საქმეში წინასწარი გამოძიების სტადიიდან.

დებულების პირველი მუხლის შესაბამისად წინასწარ გამოძიების დროს და სასამართლოში ბრალდებულთა, დაზარალებულთა, მაძიებელთა და მოპასუხეთა დაცვის განხორციელების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვა იურიდიული დახმარების გასაწევად, რესპუბლიკაში მოქმედებენ საქართველოს სს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიები, ადვოკატთა საქმიანობას მხოლოდ ის პირები ეწევიან, რომლებიც გაერთიანებული არიან ადვოკატთა კოლეგიებში. ადვოკატთა კოლეგიები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ თავისი დებულება.

წინად მოქმედი დებულებებისაგან განსხვავებით ადვოკატთა კოლეგიები დებულების მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად ასრულებენ რა მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, ხელს უწყობენ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას და საბჭოთა კანონების პროპაგანდას, ამით ადვოკატთა კოლეგიები ასრულებენ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს.

ძველი დებულებით ადვოკატთა კოლეგიები არ იყვნენ ვალდებული კოლმეურნეობებისათვის აღმოეჩინათ იურიდიული დახმარება, ახლა ადვოკატთა კოლეგიები ვალდებული არიან კოლმეურნეობებს გაუწიონ იურიდიული მომსახურება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების (გარდა რსფსრ და უკრაინის სსრ) იუსტიციის სამინისტროების გაუქმების შემდეგ, რომელთაც ძველი დებულებით დაკისრებული ჰქონდათ ადვოკატთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვოკატთა კოლეგიები საერთო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გარეშე დარჩნენ.

ახალი დებულებით, ეს საკითხი გადაწყვეტილია და ადვოკატთა კოლეგიების საერთო ხელმძღვანელობას და მათი საქმიანობის კონტროლს, დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, ანხორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ადვოკატთა კოლეგიის წევრებისა და მათი უფლება-მოვალეობისადმი მიძღვნილია დებულების სპეციალური თავი, რომელშიც სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული ადვოკატის უფლებანი და მოვალეობანი.

ახალი დებულების მე-8 მუხლის საფუძველზე ადვოკატთა კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნას სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. ამ მუხლით დაწესებულია აგრეთვე სტაჟირების გავლა იმ პირთათვის, რომელთაც არა აქვს მუშაობის გამოცდილება იურიდიული სპეციალობის მიხედვით.

მაშასადამე, ახალი დებულების შესაბამისად ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღება მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი და ამჟამად უკვე აღარ არსებობს საჭიროება ადვოკატთა კოლეგიის წევრად იურიდიული განათლების არა მქონე და იურიდიული (საშუალო) სკოლა დამთავრებული პირების მიღების, როგორც ეს დაშვებული იყო ძველი დებულებით.

დებულების შესაბამისად ადვოკატთა კოლეგიაში წევრად მიღება, აგრეთვე კოლეგიიდან ამორიცხვა და გარიცხვა წარმოებს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ.

თავის მუშაობაში ადვოკატი უნდა იყოს საბჭოთა კანონიერების ზუსტი და განუხრელად შემსრულებელი, მორალურად სუფთა და უმწიკვლო ყოფაქცევით მაგალითის მიმცემი. აქედან გამომდინარე და აგრეთვე იმ მიზნით, რათა შემდგომ ამაღლდეს საბჭოთა ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურის როლი და ავტორიტეტი დებულების მე-10 მუხლი აწესებს, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება მიღებულ იქნას ის პირი, რომელსაც აქვს ნასამართლობა, მიცემული არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან სამართალში, ან ვერ უპასუხებს თავისი მორალური მონაცემებით საბჭოთა ადვოკატის წოდებას.

ახლებურად არის ჩამოყალიბებული დებულების მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც ადვოკატთა კოლეგიის წევრს არ შეუძლია ერთდროულად დაიკავოს საშტატო თანამდებობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში. ამავე მუხლით, გამონაკლის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლია ნება დართოს ადვოკატს შეითავსოს პედაგოგიური ან მეცნიერული სამუშაო და რესპუბლიკის შორეულ, მთიან რაიონებში, სადაც ადვოკატს არა აქვს დატვირთვა ანდა, სადაც იურიდიული მომსახურების გაწევა უახლოესი რაიონიდან დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში საშტატო თანამდებობა.

ადრე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით ახალი დებულების მიერ გამონაკლისის სახით შორეულ, მთიან რაიონებში საშტატო თანამდებობის შეთავსების დაშვება გამოწვეულია საქართველოს სს რესპუბლიკის თავისებურებით. საქართველოს სს რესპუბლიკაში არის ისეთი რაიონები, სადაც ადვოკატს არა აქვს საშუალო დატვირთვა. ამის შედეგად ასეთ რაიონებში იურიდიული კონსულტაციები შენარჩუნებული ვერ იქნა. ასეთი რაიონების იურიდიული მომსახურების გაწევა უახლოეს რაიონებიდან დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან და ფაქტიურად ისეთი რაიონების მოსახლეობა, როგორიცაა: ლენტეხის, ხულოს, შუახევის, ქედის, ჯავის და ა. შ. იურიდიული მომსახურების გარეშე რჩებოდნენ.

წინად მოქმედი დებულება, თუმცა გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც, ადვოკატს ნებას რთავდა შეეთავსებინა არჩევითი თანამდებობა სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების ახალმა დებულებამ სამართლიანად არ გაიზიარა ასეთ შემთხვევის დროს შეთავსების დაშვება, რადგან ჩვენს სინამდვილეში მიუღებელია, რომ ადვოკატმა პარტიულ, საბჭოთა ან სასამართლო ორგანოებში არჩევითი თანამდებობის დაკავების შემდეგ კვლავ გააგრძელოს ადვოკატურაში მუშაობა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების დებულებები ითვალისწინებენ .ადვოკატის მიერ არჩევით ორგანოებში შეთავსებით მუშაობას.

ასეთ შემთხვევებში, ადრე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების ახალი დებულების მე-12 მუხლი ერთგვარ უპირატესობას აწესებს, როცა ითვალისწინებს, რომ ადვოკატებს, რომლებიც გავიდნენ ადვოკატთა კოლეგიიდან არჩევით თანამდებობაზე გადასვლისა ან სასწავლებელში წასვლის გამო, უფლება ეძლევათ არჩეულ თანამდებობაზე მუშაობის დამთავრების და სასწავლებელში ყოფნის შემდეგ დაუბრუნდნენ შესაბამის ადვოკატთა კოლეგიას.

ახლა დებულებაში საკმაოდ ფართოდ არის ჩამოყალიბებული ადვოკატის უფლებანი მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სწორად დასაცავად, აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ადვოკატს არა აქვს უფლება ამა თუ იმ საქმეზე მიიღოს დავალება ან უარი განაცხადოს დაცვაზე, როდესაც მას ასეთი უკვე მიღებული აქვს.

ადვოკატის უფლებანი და მოვალეობანი, როდესაც იგი მონაწილეობს სამოქალაქო სამართლის ან სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს განისაზღვრება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლწარმოების საფუძვლების 23-ე მუხლის შესაბამისად ადვოკატს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე, თუ ეს მან იკისრა.

კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად დებულების მე-15 მუხლის თანახმად ადვოკატი მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ იცავდეს საბჭოთა კანონებს, კეთილსინდისიერად უწევდეს იურიდიულ დახმარებას მოქალაქეებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მას მიმართავენ, იყენებდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებასა და ხერხს, რათა დაიცვას მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ამგვარად, ადვოკატს დიდი უფლებები და მოვალეობები აქვს საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეში. ამიტომ დებულების მე-17 მუხლი აწესებს, რომ ადვოკატს უფლება აქვს იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით მიმართოს თხოვნით, საწარმოებს, დეწესებულებებს, ორგანიზაციებს მიაწოდონ მას დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც აუცილებელია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებზე იურიდიული დახმარების გასაწევად, ხოლო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავის მხრივ ვალდებული არიან მოთხოვნისთანავე გაუგზავნონ იურიდიულ კონსულტაციას საჭირო დოკუმენტები და ცნობები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილია ე. წ. ადვოკატის საიდუმლოების საკითხი. ადვოკატს უფლება არა აქვს გაახმაუროს ცნობები, რომლებსაც მიაწვდიან მას იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცავი პირის ინტერესებიდან და ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე დებულების მე-16 მუხლში აღნიშნულია, რომ ადვოკატს არ შეუძლია დავალება მიიღოს: თუ იგი მოცემულ საქმეზე ადრე იურიდიულ დახმარებას უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მეორე პირის ინტერესებს, რომელმაც მიმართა დაცვისათვის; თუ იგი ადრე მოცემულ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, მოკვლევის მომხდენი პირი,ექსპერტი ან მოწმე; როცა საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელთანაც ადვოკატს ახლო ნათესაური დამოკიდებულება აქვს.

სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1932 წლის 27 აგვისტოს № 179 დადგენილების შესაბამისად დაწესდა, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრები უნდა სარგებლობდნენ სოციალური დაზღვევით საერთო საფუძველზე.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დებულების 22-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადვოკატი სარგებლობს უფლებით, მიიღოს დახმარება დროებით შრომის უუნარობისას და პენსია საერთო საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

ახალ დებულებაში, საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი გაფართოების შესაბამისად გადაწყვეტილია საკითხი ადვოკატთა კოლეგიის ორგანოების შესახებ.

დებულების 25-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების უმაღლესი ორგანოა ადვოკატთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს კოლეგიის წევრთა არანაკლებ 2/3-სა. რიგ გარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნას ადვოკატთა კოლეგიის წევრთა შემადგენლობის 1/3 მოთხოვნით, კოლეგიის პრეზიდიუმის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადებით.

ადვოკატთა საერთო კრება ფარული კენჭისყრით ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს და სარევიზიო კომისიას სამი წლის ვადით.

დებულებით საგრძნობლად გაფართოებულია ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების უფლებები. იმ ფუნქციებთან ერთად, რომელსაც საერთო კრება წინათ მოქმედი დებულებით ასრულებდა, ახალი დებულებით საერთო კრებას მინიჭებული აქვს ასევე უფლება განსაზღვროს კოლეგიის წევრთა საერთო რაოდენობა, ღია კენჭისყრით ვადაზე ადრე გამოიწვიოს პრეზიდიუმის ან სარევიზიო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ამართლებს ნდობას, დაამტკიცოს ადვოკატთა კოლეგიის შტატები და ხარჯთაღრიცხვა, დააწესოს ადვოკატთა გამომუშავების ანარიცხების ოდენობა არა უმეტეს 25 პროცენტისა.

ამრიგად, საერთო კრება, როგორც ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანო თვითონვე განაგებს ადვოკატთა კოლეგიის ყოველგვარ საქმიანობას და, კერძოდ კოლეგიის ფულადი სახსრების, როგორც შემოსავალს, ისე გასავალს და სხვა არავინ უფლებამოსილი არ არის თავის შეხედულებით, საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა გაადიდოს ან შეამციროს.

დებულების შესაბამისად ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი არის კოლეგიის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო; რომელიც თავის შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ აწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონ საადვოკატო საქმიანობა მათი ძირითადი სამუშაოსათვის ზიანის მიუყენებ-
ლად.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს გარდა იმ ფუნქციებისა, რაც მას მინიჭებული ჰქონდა ადრე მოქმედი დებულებით, უფლება აქვს განაზოგადოს და გაავრცელოს იურიდიული კონსულტაციებისა და ადვოკატების დადებითი მუშაობის გამოცდილება და მისცეს მეთოდური მითითებები, მიიღოს ზომები ადვოკატთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მოიწვიოს ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრება.

ახალი დებულებით საკმაოდ ფართოდ არის ჩამოყალიბებული ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის უფლებებიც.

ადვოკატთა კოლეგიების დებულება ითვალისწინებს სარევიზიო კომისიის არსებობას, რომელმაც უნდა ჩაატაროს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია და საჭირო შემთხვევაში საკითხი დააყენოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე გამოვლინებულ დარღვევათა შესახებ სათანადო ღონისძიების მისაღებად.

ახალი დებულებით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმზე დაკისრებული ფუნქციების ზუსტად და სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად, დიდი უფლებები აქვს მინიჭებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს. დებულების 34-ე მუხლის თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის იმ დადგენილებათა შესრულება, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ დებულებას, და მისცეს მითითება აღნიშნულ დადგენილებათა გადასინჯვის შესახებ.

ახალ დებულებაში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი იურიდიული კონსულტაციის, როგორც ადვოკატურის ძირითად რგოლის ორგანიზაციასა და საქმიანობას.

დებულება ითვალისწინებს, რომ ადვოკატთა მუშაობის ორგანიზაციისათვის ქალაქებში, რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იქმნება იურიდიული კონსულტაციები, რომელთა შემადგენლობას და ადგილსამყოფელს ადგენს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი. თითოეული იურიდიული კონსულტაცია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

დებულების შესაბამისად იურიდიული კონსულტაციის მუშაობას ხელმძღვანელობს კონსულტაციის გამგე, რომელსაც ნიშნავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი კოლეგიის წევრთა შემადგენლობიდან.

კონსულტაციის გამგეს აგრეთვე შეუძლია აწარმოოს საადვოკატო საქმიანობა ძირითადი სამუშაოსათვის ზიანის მიუყენებლად.

ადრე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით ახალ დებულებაში სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული იურიდიული კონსულტაციის გამგის უფლებამოვალეობანი.

წინათ მოქმედ დებულებაში არაფერი არ იყო ნათქვამი ადვოკატთა წახალისების შესახებ, ამავე დროს დებულებაში სპეციალური კარი ქონდა მიძღვნილი ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

ახალ დებულებაში, საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ადვოკატთა წახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისების საკითხს, განსხვავებით ადრე მოქმედი დებულებისაგან, და ახლებურად არის დამუშავებული თავი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

წინად მოქმედი დებულების ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით ახალი დებულების 39-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ადვოკატთა მიერ თავისი მოვალეობის სანიმუშოდ და წარმატებით შესრულებისა და აგრეთვე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ღონისძიებები: მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქარი.

აღნიშნულ დებულებაში დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან ერთად ადვოკატთა წახალისების სახეების დაწესებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და სტიმულის მიმცემ როლს შეასრულებს.

დებულების შესაბამისად ადვოკატი შინაგანაწესის დარღვევისათვის, თავისი მოვალეობისადმი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის და სხვა ისეთი მოქმედებისათვის რაც სახელს უტეხს საბჭოთა ადვოკატს შეიძლება მიცემულ იქნას დისციპლინურ პასუხისგებაში.

ადრე მოქმედ დებულებასთან შედარებით ახალი დებულებით შემცირებულია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებანი.

დებულების 41-ე მუხლის შესაბამისად დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებად ითვლება: შენიშვნა, საყვედური და სასტიკი საყვედური. ადვოკატის სამუშაოდან გადაყენება 6 თვის ვადით, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება ახალმა დებულებამ არ გაიზიარა, რადგან პრაქტიკაში მისი გამოყენება ადვოკატისათვის ქმნიდა ერთგვარ სიძნელეებს. დისციპლინური ზემოქმედების ამ ღონისძიების გამოყენების დროს ადვოკატი ფაქტიურად ირიცხება ადვოკატურაში, მაგრამ სამუშაოზე არ დაიშვება, ამ მოკლე დროით სხვა სამუშაოზე ვერ ეწყობა, ასე, რომ დაწესებული 6 თვის განმავლობაში ადვოკატს მატერიალურ დახმარებას არავინ უწევს, ის ერთგვარ სიძნელეებში ვარდება და ამიტომ ამ ღონისძიებას კი რასაკვირველია აღმზრდელობითი ან გამასწორებელი ხასიათი ფაქტიურად ეკარგება.

ახალი დებულებით შეცვლილია, აგრეთვე დისციპლინური საქმის აღძვრის წესი. თუ ძველი დებულების შესაბამისად ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმე აღიძვრებოდა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ, ახალი დებულებით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის უფლებათა გაფართოების შესაბამისად ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმე აღიძვრება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ. მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატზე დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნას გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გავლის შემდეგ.

დებულების 45-ე მუხლის შესაბამისად თუ ადვოკატი სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ გადაცდომას, ის დისციპლინური სასჯელის არამქონედ ითვლება.

ადვოკატი, რომელიც დისციპლინური სასჯელის დადების შემდეგ დაადგა გამოსწორების გზას და სანიმუშოდ ასრულებს თავის მოვალეობას იურიდიული კონსულტაციის კოლექტივისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს ადვოკატს ვადამდე ადრე მოუხსნას დისციპლინური სასჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულების 46-ე მუხლის შესაბამისად თუ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი მივა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების სასჯელის ღონისძიებების გამოყენება არასაკმარისია, მაშინ ადვოკატის მიმართ გამოიყენება უკიდერესი ღონისძიება, კოლეგიიდან გარიცხვა.

ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხვის უკიდურესი ღონისძიება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატმა ჩაიდინა დანაშაული, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით; როდესაც ადვოკატმა ჩაიდინა ისეთი გადაცდომა, რაც სახელს უტეხს საბჭოთა ადვოკატის წოდებას, და როდესაც ადვოკატი სისტემატიურად არღვევს შინაგანაწესს და თავის პროფესიულ მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებს.

ასეთია საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების ახალი დებულების ზოგიერთი თავისებურებანი.

ეჭვს გარეშეა, რომ ახალი დებულების მიღება ადვოკატების მიერ მისი პრაქტიკაში ზუსტად და განუხრელად გატარება ხელს შეუწყობს საბჭოთა სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების შემდგომ კიდევ უფრო განმტკიცებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხისათვის

შ. ჩიკვაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის იანვრის პლენუმმა ერთერთ ამოცანად დასახა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ სოფლის მეურნეობა დამოკიდებული არ იყოს ბუნების კაპრიზებზე. გარანტირებული მოსავლის მიღების ყველაზე საიმედო საშუალება, სანამ ამინდის მართვა არ გვისწავლია, არის ირიგაცია, ე. ი. მორწყვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება ისახავს ირიგაციის ბაზაზე დასამუშავებლად გამოვიყენოთ შუა აზიის, რუსეთის, სფსრ-ისა და უკრაინის სსრ სამხრეთი ნაწილის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მილიონობით ჰექტარი მიწა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მიუთითებდა რა საირიგაციო სამუშაოთა აუცილებლობაზე ამბობდა: „ირიგაცია საშუალებას მოგვცემს ყოველთვის მივიღოთ საჭირო რაოდენობით ისეთი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორიც არის ბამბა, ბრინჯი, სიმინდი, საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის წარმოება“.[1]

წყალთა მეურნეობის წარმატებით განვითარების, წყლის რესურსების სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად გამოყენების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა კანონმდებლობას წყლის შესახებ.

სსრ კავშირს და მოკავშირე რესპუბლიკების ამჟამად მოქმედი წყლის კანონმდებლობა საკმაოდ მოძველდა და იგი არ შეესაბამება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანებს.

წყლის კანონმდებლობის საკითხები დღევანდლამდე არასაკმაოდ შუქდებოდა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც. ამ დარგში ძალიან ცოტაა თეორიული ხასიათის შრომები. 1948 წელს გამოცემული პროფ. ლ. ი. დემბოს შრომა „საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ძირითადი პრობლემები“[2] წარმოადგენს წყალთა მეურნეობის უფლებრივ ურთიერთობის საკითხის მონოგრაფიული გამოკვლევის პირველ ცდას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამჟამად პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს წყალთა მეურნეობის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით კანონმდებლისა და აგრეთვე მეცნიერების წინაშე დაისვა მთელი რიგი გა-

---

[1] См. Газета „Известия“ 20 января 1961 г.

[2] См. Л. И. Дембо „Основные проблемы Советского водного законодательства 1948 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჭრელი საკითხები, რომელთა შესწავლას და მეცნიერულ გამორკვევას ცხოვრებაც მოითხოვს.

ისე როგორც საბჭოთა სამართალის სხვა დარგში, წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის ურთიერთშეფარდების საკითხს.

უნდა მომზადდეს წყლით სარგებლობის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები, რომელმაც უნდა განამტკიცოს და განავითაროს წყლის მოქმედი კანონმდებლობის ყველა ის ნორმები და დებულებანი, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს. ამასთან ერთად, განაზოგადოს მოკავშირე რესპუბლიკების წყალის მეურნეობის გამოცდილება, ასახოს მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და გაითვალისწინოს წყალთა მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ძირითადი გზები.

ძირითად საფუძვლებში უნდა შევიდეს ისეთი ნორმები, რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული საერთო საკავშირო წყლის მეურნეობის განვითარების ცენტრალიზებულ დაგეგმვასთან. აგრეთვე ის ნორმები, რომელთა არსი დამოკიდებული არ არის ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნულ, გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებებზე.

საკითხი, რომელთა შეტანა მიზანშეწონილია წყლით სარგებლობის ძირითად საფუძვლებში, მოცემულია პროფ. ა. ა. რუსკოლის 1957 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სამთო და წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ზოგიერთი საკითხი".[1] ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით პროფესორ ა. რუსკოლის მიერ წარმოდგენილ საერთო საკავშირო წყლის კანონმდებლობის სქემას, მაგრამ ჩვენი აზრით, იგი საჭიროებს ზოგიერთ დამატებას. კერძოდ, საერთო საკავშირო კანონმდებლობაში რეგლამენტირებულ უნდა იქნეს წყლის რესურსების ერთობლივად გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი რესპუბლიკათაშორისო ურთიერთობის ძირითადი დებულებანი. ასეთი ურთიერთობანი რეალურად არსებობენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სწორად და მიზანშეწონილად განვითარების საქმეში.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის წარმოშობილ ურთიერთობიდან წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

წყლის რამდენიმე წყაროს კომპლექსური გამოყენების ეფექტურობა ხშირად იწვევს წყლის რესურსების რესპუბლიკათაშორისო გადანაწილების აუცილებლობას, რაც, უდაოა, გამომდინარეობს რამდენიმე რესპუბლიკის ინტერესებიდან. კერძოდ, მდინარე სულაკის (დაღესტნის ასსრ) დინების ნაწილის მდინარე ალაზნის (საქართველოს სსრ) აუზში გადაგდების შემთხვევაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში იქმნება როგორც ენერგეტიკისათვის, ისე მოსარწყავად წყლის ამ რესურსების გამოყენების პირობები. ეს გადაგდება მოგვცემს უფრო მეტ სახელმწიფოებრივ სარგებლობას, ვიდრე გვაძლევს მდინარე სულაკის წყლის ბუნებრივ კალაპოტში დატოვება. კანონმდებლობა ამ საკითხზე პასუხს არ იძლევა. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისას „საფუძვლე-

[1] См. А. А. Рускол „Вопросы кодификации" Госюриздат 1957 г. стр. 220—226

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი“ უნდა გამოდიოდეს მოცემული ღონისძიების ეკონომიური ეფექტურობიდან წყლის ამ რესურსების კომპლექსური გამოყენების გათვალისწინებით.[1]

კანონმდებლობა პასუხს არ იძლევა იმ საკითხზე, თუ რომელ უფლებრივ სტატუსს ექვემდებარება ურთიერთობანი, როცა ერთი რესპუბლიკა წყლის რესურსებს იყენებს ენერგეტიკისათვის წყლის ბუნებრივი დინების შეწყვეტით სხვა რესპუბლიკაში, ამ უკანასკნელის ირიგაციის ინტერესების საზიანოდ. „საფუძვლებში“ უნდა განმტკიცდეს დებულება, რომლის თანახმადაც პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეორე რესპუბლიკის ირიგაციის ინტერესები, ვიდრე ენერგეტიკისა და სხვა სახის წყლის მოხმარების ინტერესები პირველ რესპუბლიკაში. კერძოდ, ეს საკითხი ეხება ზემო ალაზნის აუზის პრობლემას, რომლის გადაწყვეტისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს საირიგაციო საჭიროებანი მდინარე სულაკის (დაღესტნის ასსრ) აუზში, აგრეთვე მდინარე იორის (საქართველოს სსრ) დინების სრული მოწესრიგების საკითხი მდინარე იორის აუზში აზერბაიჯანის სსრ ფარგლებში რწყვის საჭიროების მხედველობაში მიღებით.

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის ფარგლებში პროექტდება მდინარე ალაზანზე ენერგეტიკული კვანძის მშენებლობა, რაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყლის ჰორიზონტის ამაღლებასა და მდინარე ალაზნის ორივე ნაპირზე მიწის საკმაო დიდი ფართობების დაჭაობებას გამოიწვევს.

გარდაბნის სარწყავი სისტემა საქართველოს სსრ ფარგლებში რწყავს 12.440 ჰექტარს, ხოლო აზერბაიჯანის სსრ ფარგლებში — 4.000-მდე ჰექტარს. მაგრამ ამ სისტემის ექსპლოატაციის დროს წარმოშობილი უფლებრივი საკითხები კანონმდებლობის წესით არ არის განმტკიცებული. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი უნდა აისახოს „საფუძვლებში“.

ვ. ი. კორეცკი არ იზიარებს იმ ავტორების აზრს, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნის საკითხში გადამწყვეტ როლს „საფუძვლებში“ მიაკუთვნებენ.[2]

მისი აზრით „საფუძვლებში“ წყლის კანონმდებლობის ძირითადი საკითხების თავმოყრა არ შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისაკენ მიმართულ უკანასკნელი წლების ჩვენი კანონმდებლობის საერთო საფუძვლებს. ვ. ი. კორეცკი წინადადებას იძლევა რესპუბლიკური წყლის კოდექსებისათვის შეიქმნას ერთტიპიანი სტრუქტურა სხვა საწყისებზე, სახელდობრ **წყლის ფონდისა და წყლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ერთობლიობის საფუძველზე** (ხაზგასმა ჩვენია — შ. ჩ.).[3] ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვ. ი. კორეცკის ასეთ აზრს. წყლის ფონდისა და წყლის კანონმდებლობის

---

[1] საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი წყალთა სამეურნეო ურთიერთობანი (საბჭოთა კავშირის წყლის რესურსების გამოყენების მხრივ საერთო ინტერესები აქვს თორმეტ მომიჯნავე სახელმწიფოსთან) წესრიგდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

[2] См. Л. И. Дембо „Основные проблемы советского водного законодательства“ 1948 г. стр. 128—134; А. А. Рускол „Некоторые вопросы кодификации горного и водного законодательства“. АН СССР, 1957 г. стр. 218—220: У. Илебаев „Право сельскохозяйственного водопользования в Киргизской ССР“ 1959 г. стр. 9.

[3] В. И. Корецкий „Вопросы кодификации советского водного законодательства“. 1961 г. стр. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი პრინციპების ერთობლიობა იყო, არის და კვლავაც იქნება ბაზა წყლის კოდექსების სტრუქტურისათვის. მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ შეცვალონ „წყლის კანონმდებლობის საფუძვლები“. ვ. ი. კორეცკი „წყლის კანონმდებლობის საფუძვლების“ მიღებაზე უარის თქმის აუცილებლობას კიდევ იმით ასაბუთებს, რომ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწათსარგებლობის საფუძვლები“ მოიცავენ ყველა მთავარ ინსტიტუტებსა და საერთო პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელი არიან, როგორც მიწის, ისე წყლის კანონმდებლობისათვის. საკითხის ამგვარი გადაჭრა, ვ. ი. კორეცკის აზრით, გამორიცხავს ერთი და იმავე საკითხების გამეორების აუცილებლობას.

მაშასადამე, ვ. ი. კორეცკი ერთ შემთხვევაში ფიქრობს, რომ „საფუძვლებში“ წყლის კანონმდებლობის ძირითადი საკითხების თავმოყრა არ შეესაბამება მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოებისაკენ მიმართულ უკანასკნელი წლების ჩვენი კანონმდებლობის ზოგად საფუძვლებს, სხვა შემთხვევაში კი „მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებში“ უშვებს წყლის კანონმდებლობის ძირითადი საკითხების თავმოყრას, ამასთან ივიწყებს წყლის კანონმდებლობის საფუძვლების მიღების წინააღმდეგ მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების განუხრელი გაფართოების შესახებ თავისივე მოსაზრებებს.

შემდგომ ვ. ი. კორეცკიმ უარყო თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკური წყლის კანონმდებლობა შეიძლება მიღებული საკავშირო საფუძვლების გარეშე და თავის ახალ შრომათი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საერთო საკავშირო და რესპუბლიკური წყლის კანონმდებლობა კოდიფიცირებული უნდა იქნეს ერთდროულად.[1] ჩვენი აზრით აღნიშნული მოსაზრებაც არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით მართებულად, ვინაიდან პრაქტიკულად რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფილი კოდიფიკაცია არ შეიძლება საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლებით გადაწყვეტილი პრინციპული საკითხების გაუთვალისწინებლად.

„საფუძვლების“ უქონლობა უარყოფითად მოქმედებს მოკავშირე რესპუბლიკების მიერ წყლის კანონმდებლობის საკოდიფიკაციო სამუშაოებზე. ამაში გვარწმუნებს ამჟამად არსებული უზბეკეთის სსრ მიწა-წყლის კოდექსის, ბელორუსიის სსრ მიწისა და წყალ-სამელიორაციო კოდექსის, უკრაინის სსრ მიწის კოდექსის, რსფსრ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კანონის, სომხეთის სსრ სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის კანონის და სხვ პროექტები. საკითხების ჯგუფი, რომლებსაც ზემოთჩამოთვლილი კანონები მოიცავენ, სხვადასხვაგვარია და ზოგჯერ არ შეიცავს იმ პრინციპულ დებულებებს, რომელთა გათვალისწინება მათში აუცილებელი იყო. ასე მაგალითად, უზბეკეთის სსრ მიწა-წყლის კოდექსის პროექტში თითქმის არაფერია ნათქვამი მელიორაციაზე, ხოლო სომხეთის სსრ სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის კანონის პროექტში, როგორც თვით კანონის სახელწოდებიდანაც ჩანს, მოსაწესრიგებელი საკითხების წრე შემოფარგლულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობით.

---

[1] См. В. И. Корецкий „О структуре и содержании республиканских водных кодексов“. 1962 г. стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის წყლის კანონმდებლობა უნდა აიგოს წყლის კანონმდებლობის საფუძვლების ზუსტი შესაბამისობით.

ამ საკითხში ჩვენ უნდა ვისარგებლოთ რესპუბლიკების წყლის კოდექსებში „საფუძვლების“ პრინციპული დებულებების ტექსტუალური გადმოღების შეღწეული მეთოდით, რათა თავიდან ავიცილოთ სხვაობა „საფუძვლების“ დებულებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსების ნორმებს შორის.

რესპუბლიკის წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ფორმის საკითხი მრავალჯერ იყო და არის როგორც მეცნიერების ისე პრაქტიკის მუშაკთა შესწავლისა და განხილვის საგანი. წყლის კანონმდებლობის მიწა-წყლის ერთიანი კოდექსის ფორმით კოდიფიკაციის მომხრეებსა და ორი დამოუკიდებელი კოდექსის — წყლისა და მიწის კოდექსების გამოცემის მომხრეებს შორის მიღწეულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტა, რომ წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის ფორმის არჩევა უნდა მიეკუთვნოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას და გადაწყდეს ამა თუ იმ რესპუბლიკის თავისებურებათა მიხედვით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პ. ს. რომაშკინი მიწისა და მიწა-წყლის კოდექსების კოდიფიკაციის ფორმის საკითხს აგრეთვე აყენებს რესპუბლიკების თავისებურებათა მიხედვით.[1] ასეთივე აზრი გამოთქვა აკადემიკოსმა ხ. ს. სულაიმანოვამ „უზბეკეთის სსრ წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხებზე“ მოხსენების თეზისებში.[2]

ჩვენ გვგონია, რომ წყლის მეურნეობის კანონმდებლობის საკითხებში არსებული ძირითადი განსხვავებანი და თავისებურებანი არავითარ შემთხვევაში არ იძლევიან საფუძველს მოვახდინოთ მიწისა და წყლის კანონების კოდიფიკაცია ერთ კოდექსად.

ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ ს. ბაისალოვის მიერ „შუა აზიისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის შესახებ“ სტატიაში დამოუკიდებელი წყლის კოდექსის მიღების სასარგებლოდ მოყვანილ მოსაზრებებს[3] ჩვენი წარმოდგენით, ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლი ითვალისწინებს მიწისა და წყლის ორი დამოუკიდებელი „საფუძვლების“ გამოცემას, იმას მოწმობს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებმა წყლის დამოუკიდებელი კოდექსების კოდიფიკაციის გზით უნდა იარონ.

უფრო მეტიც. უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ მიწა-წყლის კოდექსების, ბელორუსიის სსრ მიწისა და წყალ-სამელიორაციო კოდექსის მომზადებული პროექტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ თვითეული მათგანის სახით ჩვენ გვაქვს ორი დამოუკიდებელი კოდექსი, რომლებსაც საერთო ის აქვთ, რომ ერთ ყდაში არიან მოთავსებული.

ჩვენ შეიძლება შემოგვედაონ და მიგვითითონ მიწა-წყლის კოდექსების პროექტების „საერთო დებულებებზე“, სადაც მიწათსარგებლობის საკითხებ-

---

[1] См. П. С. Ромашкин, жур. „Советское государство и право“ 1958 г. № 4. стр. 18.

[2] См. Х. С. Сулайманова, Тезисы докладов „О научных основах кодификации водного законодательства Союза ССР и союзных республик“. Москва 1961 г. стр. 27.

[3] См. С. Байсалов, Жур. „Советское государство и право“, № 1, 1961 г. стр. 132—134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად განიხილება წყალსარგებლობის საკითხებიც. ჩვენ ასეთ შემოდავებას ვერ გავიზიარებთ. რომ ეს უფრო დასაჯერებელი იყოს, ანალიზს გავუკეთებთ ამ „საერთო დებულებებს". ავიღოთ „ბელორუსიის სსრ მიწისა და წყალსამელიორაციო კოდექსის პროექტის „საერთო დებულებანი". პროექტის „საერთო დებულების" არც ერთ მუხლში არ არის ჩამოყალიბებული საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები. „საერთო დებულებების" სულ ჩვიდმეტი მუხლიდან მხოლოდ ორშია — 1 და 4 მუხლებში — მოხსენებული სიტყვა „წყალი", ყველა დანარჩენი მუხლი აწესრიგებს საადგილმამულო ურთიერთობას. კერძოდ, „საერთო დებულებების" 1 მუხლში მითითებულია, რომ წყალი, ისე როგორც მიწა, საერთო სახალხო საკუთრებაა, ხოლო მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ წყალთა მმართველობა, ისე როგორც მიწებისა, მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გამგებლობას და სახელმწიფო მართველობის ორგანოებს. ჩვენ განზრახული არა გვაქვს სადავოდ გავხადოთ 1 და 4 მუხლების დებულებანი, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს არ შეიძლება გამოვიყენოთ წყლისა და მიწის კოდექსების ერთ საერთო კოდექსად გაერთიანების ბაზად. თუ კი სხვა გზას ავირჩევთ, მაშინ მიწა-წყლის კოდექსებში ასეთივე წარმატებით შეიძლება განხილულ იქნეს ტყეების, წიაღების გამოყენების უფლებრივი საკითხები, რადგანაც კონსტიტუციის მე-6 მუხლშია ნათქვამი, რომ მიწა, წყალი, წიაღი, ტყე და ა. შ. წარმოადგენენ საყოველთაო სახალხო საკუთრებას.

უფრო მეტიც. ჩვენ ტექნიკურად ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა შედგეს ერთიანი „საერთო დებულებანი" მიწა-წყლის კოდექსისათვის, როცა სახეზე იქნება ორი დამოუკიდებლად არსებული „საფუძვლები" — მიწისა და წყლის კანონმდებლობისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წყლის კანონმდებლობის „საფუძვლების" დამოუკიდებელ კანონად გამოყოფა სრულებითაც არ ნიშნავს მიწათსარგებლობასა და წყალსარგებლობას შორის კავშირის არ არსებობას. მაგრამ ეს კავშირი იმდენად განუყოფელი როდია, რომ აუცილებელი იყოს მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის ერთი კანონით რეგულირება.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი, რომელიც წყლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის განხორციელებისას უნდა გადაიჭრას, არის იმ ურთიერთობათა წრის საკითხი, რომელიც უნდა მოწესრიგდეს მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსებში.

1941 წელს უზბეკეთის სსრ-ში მიღებულ წყლის კანონით მოწესრიგებულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის საკითხები. ამ საკითხში ძირითადი მომენტი იყო ის მოსაზრება, რომ წყალთა მეურნეობის პრობლემები, ფართო გაგებით, ეხება საერთო საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებებისა და საწარმოების ინტერესებს. ეს იმ დროს, როცა საერთო საკავშირო კანონი მაშინ არ არსებობდა. მაშასადამე, წყლის კანონის მარტო სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის სფეროთი შემოფარგვლა ნაკარნახევი იყო პრაქტიკული მოსაზრებებით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ პროფ. ა. ა. რუსკოლის წინადადებას, რომელიც ფიქრობს, რომ „რესპუბლიკების წყლისა და წყალ-სამელიორაციო კოდექსები უნდა აწესრიგებდნენ მხოლოდ სასოფლო-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო წყალსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგანაც სწორედ ამ დარგშია საჭირო ადგილობრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინება".[1]

ეჭვი არ არის, რომ წყალთა მეურნეობის სხვა დარგებს შორის სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია და სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება.

მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ წყლის არსებული რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების, წყალთა სამეურნეო ობიექტებისა და მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლობისა და ექსპლოატაციის საუკეთესოდ ორგანიზაციის მიზნით საკოდიფიკაციო მუშაობა უნდა ვაწარმოოთ წყალსარგებლობის ყველა სახის მომწესრიგებელი კომპლექსური უფლებრივი აქტის შედგენისა და გამოცემის მიმართულებით.

ჯერ კიდევ 1958 წ. საქართველოს სს რესპუბლიკაში კომპლექსური უფლებრივი აქტის სახით მიღებულ იქნა დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალსარგებლობის შესახებ, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს. მაგრამ იგი როდი ამოსწურავს საქართველოს სს რესპუბლიკაში წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში აღმოცენებულ ყველა საკითხს.

ჩვენს რესპუბლიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა არხებში აწყობენ ყრუ ზღუდარებს, რათა გაიტაცონ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის წყალი, თხრიან არხების პირებს და თვითნებურად იტაცებენ წყალს ნებადაურთველ ადგილებში უმთავრესად საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად, აფუჭებენ და ამტვრევენ ფარების საკეტებსა და ამწე მექანიზმებს, არხების განსხვისების ზოლებზე თესავენ და შენობებს აგებენ.

ამავე დროს ადგილი აქვს რწყვის წყაროებიდან წყლის თვითნებურად აღებას სამრეწველო მიზნებისათვის, წისქვილებისა და ენერგეტიკული დანადგარებისათვის წყალთა მეურნეობის ორგანოებთან შეთანხმების გარეშე, ადგილი ჰქონდა სამრეწველო ორგანიზაციების მიერ ჩანადენი წყლებით წყლის გაჭუჭყიანების შემთხვევებს.

საქარველოს სსრ-ში წყალსარგებლობის დებულება არ ითვალისწინებს სანქციებს ყველა ამ დარღვევისათვის.

წყლის რესურსების მდგომარეობისათვის წყალთა მეურნეობის ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის გადიდების მიზნით დებულებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მათი განსაკუთრებული უფლება წყალთა სარგებლობისა და წყალთა სამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა დაცვის წესების ბოროტი დამრღვევებისათვის სასჯელის დადებისა (ჯარიმის სახით).

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსების შემდეგი სანიმუშო სტრუქტურა.

კარი I — საერთო დებულებანი

ამ კარში ადგილი უნდა დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

ა) წყალზე განსაკუთრებული სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

ბ) საერთო საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნას წყლის კანონმდებარეობაში.

---

[1] См. А. А. Рускол, „О научных основах кодификации земельного законодательства СССР", М. 1955 г. стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) წყალსარგებლობის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს.

დ) წყალსარგებლობის უფლების წარმოშობის და შეწყვეტის საფუძვლებს.

ე) წყლის რესურსების მართვა და წყლის ზედამხედველობა.

ვ) წყალსარგებლობის უფლების გამიჯვნა სოციალისტური სამართლის სხვა მომიჯნავე დარგებისაგან.

კარი II — წყლებით სარგებლობის უფლება

ამ კარში რეგლამენტირებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) საერთო წყალსარგებლობის უფლებრივი რეჟიმი; ბ) სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობის უფლებრივი რეჟიმი; გ) სამრეწველო მიზნით წყლების გამოყენების უფლებრივი რეჟიმი; დ) კომუნალური წყალსარგებლობის უფლებრივი რეჟიმი; ე) თევზის მეურნეობისათვის წყალსატევების გამოყენების უფლებრივი რეჟიმი; ვ) მიწისქვეშა წყლების უფლებრივი რეჟიმი; ზ) წყალსარგებლობის სხვა სახეები.

კარი III სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობა

ამ კარში რეგლამენტირებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები: ა) მიწათმოსარგებლეთა უფლება სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებასა და წყლის რესურსების სარგებლობაზე; ბ) დაშრობითი მელიორაცია; გ) წყლით მოსარგებლეთა შრომითი მონაწილეობა სამელიორაციო სამუშაოებში.

კარი IV წყალთა სამეურნეო ნაგებობათა უფლებრივი რეჟიმი

ამ კარში რეგლამენტირებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) წყალსამეურნეო ნაგებობათა საკუთრების უფლების შესახებ;

ბ) წყალთა სამეურნეო ნაგებობათა მართვა და მათზე ზედამხედველობა;

გ) წყალთა სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია, გადატანა;

დ) წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამომყენებელი ორგანოების საწარმოო და უფლებრივი საფუძვლები;

ე) მიწების გამოყოფა წყალთა მეურნეობისა და სანაპირო დამცავი ზოლების საჭიროებისათვის;

ვ) წყალთა სამეურნეო ნაგებობათა და სანაპირო ზოლების წესიერად შენახვა.

კარი V. წყლის რესურსების გამოყენების აღრიცხვა და კონტროლი

ამ კარში რეგლამენტირებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

ა) წყლის კადასტრი.

ბ) წყალსარგებლობის აღრიცხვა და რეგისტრაცია.

გ) კონტროლი წყლის რესურსების გამოყენებაზე.

დ) წყლის რესურსების დაცვა.

კარი VI.

წყალთა სამეურნეო ორგანოების სისტემა და მმართველობის სხვა ორგანოებთან მისი ურთიერთობა.

კარი VII.

პასუხისმგებლობა წყალსარგებლობის წესების დარღვევისათვის.

კარი VIII.

წყალსარგებლობაში წარმოშობილი დავის გადაწყვეტის წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო-წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მ უ ხ ლ ი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო-წარმოების საფუძვლები და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1962 წლის 1 მაისიდან.

მ უ ხ ლ ი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო-წარმოების საფუძვლების სამოქმედო შემოღების წესი და უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საფუძვლებს.

მ უ ხ ლ ი 3. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუთანხმონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე — ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი — მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 დეკემბერი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა სამოქალაქო სასამართლო-წარმოების შესახებ

სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი განისაზღვრება ამ საფუძვლებით და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სხვა კანონებით და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით.

კანონმდებლობა სამოქალაქო სასამართლო წარმოების შესახებ ადგენს იმ დავაზე საქმეების განხილვის წესს, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობიდან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე. საქმეები რომლებიც წარმოიშობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან, და განსაკუთრებული წარმოების საქმეები განიხილება სასამართლო-წარმოების საერთო წესებით გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 2. სამოქალაქო სასამართლო-წარმოების ამოცანები

საბჭოთა სამოქალაქო სასამართლო-წარმოების ამოცანებია სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური

საკუთრების დაცვის, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა.

სამოქალაქო სასამართლო წარმოება ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართლებრივი დარღვევის თავიდან აცილებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 3. სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი

სამოქალაქო საქმეების წარმოება მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებში ხორციელდება სსრ კავშირისა და იმ მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონებით, რომლის სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, ასრულებენ ცალკეულ პროცესუალურ მოქმედებას ან ასრულებენ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საქმეების წარმოება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოში ხორციელდება სსრ კავშირისა და იმ მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონებით, რომლის სასამართლოებმა განიხილეს ან უნდა განეხილათ საქმე ტერიტორიული ქვემდებარეების წესების შესაბამისად.

სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონებით, რომლებიც მოქმედებენ საქმის განხილვის, ცალკეული პროცესუალური მოქმედების შესრულების ან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების საუწყებო ქვემდებარეობა სასამართლო ორგანოებისადმი

სასამართლოებისადმი საუწყებო ქვემდებარეა საქმეები დავაზე, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობიდან, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც დავაში მოქალაქე ან კოლმეურნეობაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი დავის გადაწყვეტა კანონით მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ან სხვა ორგანოების გამგებლობას.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები შეიძლება განიხილონ ამხანაგურმა სასამართლოებმა. ამხანაგურ სასამართლოების საქმიანობის წესი დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სასამართლოების საუწყებო ქვემდებარეა საქმეები საჩივრებზე ამომრჩეველთა სიებში უსწორობის, ჯარიმის დადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედების გამო და სხვა საქმეები, რომლებიც წარმოიშობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და რომლებსაც კანონი სასამართლო ორგანოების კომპეტენციას მიაკუთვნებს.

სასამართლოების საუწყებო ქვემდებარეა განსაკუთრებული წარმოების საქმეები: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა, თუ კანონი არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს, მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობა და მისი გარდაცვლილად გამოცხადება, მოქალაქის ცნობა ქმედითუუნაროდ სულით ავადმყოფის ან ჭკუასუსტობის შედეგად.

სასამართლოს საუწყებო ქვემდებარეა სხვა საქმეებიც, რომლებსაც კანონი მიაკუთვნებს სასამართლო ორგანოების კომპეტენციას.

სასამართლოები განიხილავენ აგრეთვე საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხოელი მოქალაქეები ან უცხოეთის საწარმოები და ორგანიზაციები.

მუხლი 5. სასამართლო დაცვისათვის სასამართლოში მიმართვის უფლება

ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დაცვისათვის.

უარი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე ბათილია.

მუხლი 6. სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება:

1) იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს თავისი უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დასაცავად;

2) პროკურორის განცხადებით;

3) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირულ, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან ცალკეულ მოქალაქეთა განცხადებით იმ შემთხვევებში, როცა კანონით მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მუხლი 7. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ და კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანხორციელებს მხოლოდ სასამართლო და კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე, მიუხედავად მათი სოციალური, ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა, სარწმუნოებისა.

მუხლი 8. სახალხო მსაჯულების მონაწილეობა და კოლეგიურობა საქმეების განხილვაში

სამოქალაქო საქმეებს ყველა სასამართლოში განიხილავენ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები, რომლებიც არჩეული არიან კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში წარმოებს მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანასწორი უფლებებით ყველა საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების დადგენის დროს.

საქმეების განხილვას საკასაციო წესით ახორციელებენ სასამართლოები სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით, ხოლო სასამართლო ზედამხედველობის წესით — სასამართლოს სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით.

მუხლი 9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი დამორჩილება მხოლოდ კანონისადმი

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები სამოქალაქო საქმეებს წყვეტენ კანონის საფუძველზე, სოციალისტური მართლშეგნების შესაბამისად, იმ პირობებში, რომლებიც გამორიცხავენ გარეშე ზემოქმედებას მოსამართლეებზე.

მუხლი 10. ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება

სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის ენაზე, ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, — ეროვნული ოლქის ენაზე ან აღგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

იმ პირებისათვის, რომლებმაც არ იციან ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო-წარმოება, უზრუნველყოფილია უფლება გააკეთონ განცხადებები, მისცენ ახსნა-განმარტება და ჩვენება, გამოვიდნენ სასამართლოში და განაცხადონ შუამდგომლობა დედაენაზე, აგრეთვე ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით, კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო დოკუმენტები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად საქმეში მონაწილე პირებს ჩაბარდებათ თარგმნილი მათ დედაენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მათ იციან.

მუხლი 11. სასამართლოს განხილვის საქვეყნობა

საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს.

დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული განჩინებით იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცნობების გახმაურება საქმის მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმური მხარეების შესახებ.

ყველა შემთხვევაში სასამართლოების გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება.

მუხლი 12. საქმეების გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

სასამართლო ვალდებულია საქმეები გადაწყვიტოს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებათა, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე. სასამართლო იყენებს აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ აქტებს.

სასამართლო კანონის შესაბამისად იყენებს უცხოეთის სამართლის ნორმებს.

თუ არ არის კანონი, რომელიც აწესრიგებს სადაო ურთიერთობას, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას, ხოლო ასეთი კანონის არარსებობის დროს სასამართლო ემყარება საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საწყისებსა და აზრს.

მუხლი 13. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ზედამხედველობა სასამართლო საქმიანობისადმი

სსრ კავშირის სასამართლო ორგანოების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების სასამართლო საქმიანობას კანონით დადგენილ ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისი რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების სასამართლო საქმიანობისადმი.

მუხლი 14. საპროკურორო ზედამხედველობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონების ზუსტ შესრულებას სამოქალაქო სასამართლო-წარმოებაში ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი როგორც უშუალოდ, ისე მისდამი დაქვემდებარებული პროკურორების მეშვეობით.

პროკურორი ვალდებულია სამოქალაქო სასამართლო-წარმოების ყველა სტადიაში თავის დროზე მიიღოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრას კანონის ყოველგვარი დარღვევა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს დარღვევა.

თავის უფლებამოსილებას სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში პროკურორი ახორციელებს ყოველგვარი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებლად, ემორჩილება მხოლოდ კანონს და ხელმძღვანელობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებებით.

მუხლი 15. სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების სავალდებულობა

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის და უნდა აღსრულდეს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების სავალდებულობა არ უსპობს დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მიმართონ სასამართლოს იმ უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად, რომელთა შესახებ დავა სასამართლოს არ განუხილავს და არ გადაუწყვეტია.

მუხლი 16. სასამართლოს მიერ საქმის ნამდვილ გარემოებათა, მხარეების უფლება-მოვალეობათა გამორკვევა .

სასამართლო ვალდებულია არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

სასამართლომ უნდა განუმარტოს საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილოს პროცესუალური მოქმედების ჩადენის თუ არჩადენის შედეგების შესახებ და დაეხმაროს საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებების განხორციელებაში.

მუხლი 17. დამამტკიცებელი საბუთები

სამოქალაქო საქმეზე დამამტკიცებელი საბუთებია ყოველი ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო დაადგენს იმ გარემოებათა არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და მისაგებელს, და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაჭრისათვის.

ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით წერილობითი დამამტკიცებელი საბუთებით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით და ექსპერტთა დასკვნებით.

საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონით უნდა დადასტურდეს მტკიცების გარკვეული საშუალებებით, არ შეიძლება დადასტურდეს მტკიცების რაიმე სხვა საშუალებით.

მუხლი 18. მტკიცებისა და დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის მოვალეობა

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და მისაგებელს.

დამამტკიცებელ საბუთებს წარადგენენ მხარეები და საქმეში მონაწილე სხვა პირები. თუ წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისი არ არის, სასამართლო წინადადებას აძლევს მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წარადგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები ან აგროვებს მას თავისი ინიციატივით.

მუხლი19. დამამტკიცებელი საბუთების შეფასება

სასამართლო დამამტკიცებელ საბუთებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება სასამართლო სხდომაზე საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათს ერთობლიობაში, ხელმძღვანელობს რა კანონითა და სოციალისტური მართლშეგნებით.

არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არა აქვს სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა.

მუხლი 20. სასამართლო დავალებები.

საქმის განმხილველი სასამართლო, სხვა ქალაქში ან რაიონში დამამტკიცებელი საბუთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შეგროვების საჭიროების შემთხვევაში ავალებს შესაბამის სასამართლოს გარკვეული პროცესუალური მოქმედების შესრულებას.

ოქმები და ღავალების შესრულების დროს შეგროვილი მთელი მასალები დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოს.

მუხლი 21. სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, განაჩენის სავალდებულობა

კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართ გამოტანილია განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხებზე, იყო თუ არა ეს მოქმედება და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა.

მუხლი 22. მოსამართლის, პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილეთა აცილება

მოსამართლეს, სახალხო მსაჯულს, პროკურორს, სასამართლო სხდომის მდივანს, ექსპერტსა და თარჯიმანს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში და აცილებულ უნდა იქნენ, თუ ისინი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული არიან საქმის შედეგით, ან არის სხვა გარემოებანი, რომლებიც ეჭვს იწვევენ მათ მიუკერძოებლობაში.

მუხლი 23. სასამართლო ხარჯები

სასამართლო ხარჯები შედგება სახელმწიფო ბაჟისაგან და საქმის განხილვასთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან.

სასამართლო ხარჯების სახელმწიფოს შემოსავალში გადახდისაგან თავისუფლდებიან:

1) მოსარჩელები — მუშები და მოსამსახურეები ხელფასის გადახდევინებისა და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების სარჩელებზე, კოლმეურნეები სარჩელებზე კოლმეურნეობებისადმი შრომის ანაზღაურების შესახებ;

2) მოსარჩელეები საავტორო უფლებიდან გამომდინარე სარჩელებზე, აგრეთვე აღმოჩენის გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების უფლებიდან გამომდინარე სარჩელებზე;

3) მოსარჩელეები ალიმენტების გადახდევინების სარჩელებზე;

4) მოსარჩელეები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლო ხარჯების სახელმწიფო შემოსავალში გადახდევინებისაგან მხარეთა განთავისუფლების სხვა შემთხვევა.

სასამართლოს ან მოსამართლეს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, უფლება აქვს გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო შემოსავალში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

კარი II

საქმეში მონაწილე პირები, მათი უფლებანი და მოვალეობანი

მუხლი 24. მხარეები, მათი უფლებანი და მოვალეობანი

სამოქალაქო პროცესში მხარეებად — მოსარჩელედ ან მოპასუხედ შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმოები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

მხარეები სარგებლობენ თანასწორი პროცესუალური უფლებებით, მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს, განაცხადონ აცილება წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, მონაწილეობა მიიღონ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა, მისცენ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება სასამართლოს, წარადგინონ თავიანთი საბუთები და მოსაზრებანი, გამოთქვან აზრი მეორე მხარის შუამდგომლობის, საბუთისა და მოსაზრების წინააღმდეგ, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, მოითხოვონ სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, დაესწრონ სასამართლო აღმასრულებელი მოქმედებას გადაწყვეტილების აღსრულების დროს, აგრეთვე შეასრულონ სხვა პროცესუალური მოქმედება, რაც გათვალისწინებულია კანონით.

მხარეები მოვალენი არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ თავიანთი კუთვნილი პროცესუალური უფლებებით.

ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებში და განსაკუთრებული წარმოების საქმეებში, სარგებლობენ მხარეთა უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა მოვალეობანი, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა.

მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა ან უარი თქვას სარჩელზე. მოპასუხეს უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ცნოს სარჩელი. მხარეებს შეუძლიათ საქმე დაამთავრონ მორიგებით.

სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

მუხლი 25. საქმეში რამდენიმე მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობა

სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხისადმი. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე პროცესში მეორე მხარის მიმართ გამოდის დამოუკიდებლად.

მუხლი 26. არასათანადო მხარის შეცვლა

სასამართლოს, რომელიც საქმის გარჩევის დროს დაადგენს, რომ სარჩელი წარდგენილია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირისადმი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით და საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადო მოსარჩელით ან მოპასუხით.

თუ მოსარჩელე არ ეთანხმება მოპასუხის შეცვლას სხვა პირით, სასამართლოს შეუძლია ეს პირი ჩაებას მეორე მოპასუხედ.

მუხლი 27. მესამე პირები

მესამე პირები, რომლებიც განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, შეიძლება ჩაბმულ იქნენ საქმეში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ისინი სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა.

მესამე პირები, რომლებიც არ განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, შეიძლება საქმეში ჩაებან მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ გადაწყვეტილებას საქმეზე შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და ვალდებულებაზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ისინი შეიძლება ჩაბმულ იქნან საქმეში მონაწილეობისათვის აგრეთვე მხარეთა, პროკურორის შუამდგომლობის ან სასამართლოს ინიციატივით. მესამე პირები, რომლებიც არ განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს, სარგებლობენ პროცესუალური უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა პროცესუალური მოვალეობანი გარდა უფლებისა შეცვალონ სარჩელის საფუძველი და საგანი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, აგრეთვე უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი ან მორიგდნენ.

მუხლი 28. წარმომადგენლობა სასამართლოში

მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი საქმეები სასამართლოში აწარმოონ პირადად ან წარმომადგენელთა მეშვეობით. არაქმედუნარიან პირთა საქმეებს აწარმოებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

იურიდიულ პირთა საქმეებს სასამართლოში აწარმოებენ მათი ორგანოები ან წარმომადგენლები.

მუხლი 29. პროკურორის მონაწილეობა პროცესში

პროკურორს უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი ან ჩაებას საქმეში პროცესის ყოველ სტადიაში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა.

პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის განხილვაში სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით ან როცა ამ საქმეში პროკურორის მონაწილეობის აუცილებლობას ცნობს სასამართლო.

საქმეში მონაწილე პროკურორი ეცნობა საქმის მასალებს, აცხადებს აცილებებს, წარადგენს დამამტკიცებელ საბუთებს, მონაწილეობს დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, აცხადებს შუამდგომლობას, იძლევა დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც საქმის განხილვის დროს წამოიჭრება, და მთლიანად საქმის არსზე, აგრეთვე ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა პროცესუალურ მოქმედებას.

მუხლი 30. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების, დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სხვა პირების უფლებების დამცველ ცალკეულ მოქალაქეთა მონაწილეობა პროცესში

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, პროფკავშირებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი სხვა პირთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს შეუძლია პროცესში მონაწილეობისათვის ჩაებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, ან ისინი შეიძლება პროცესში ჩაებან საკუთარი ინიციატივით დასკვნის მისაცემად საქმეზე დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელების მიზნით და მოქალაქეთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს თავიანთი წარმომადგენლების სახით და ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს, განაცხადონ აცილებანი, მისცენ ახსნა-განმარტება, წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, მონაწილეობა მიიღონ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა, აგრეთვე შეასრულონ კანონით გათვალისწინებული სხვა პროცესუალური მოქმედება.

კარი III

საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

მუხლი 31. სამოქალაქო საქმეებზე განცხადებების მიღება

მოსამართლე ერთპიროვნულად წყვეტს სამოქალაქო საქმეზე განცხადების მიღების საკითხს.

მოსამართლე უარს ეუბნება განცხადების მიღებაზე:

1) თუ განცხადება არ ექვემდებარება სასამართლო ორგანოების განხილვას;

2) თუ მოსარჩელემ არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის კანონით დადგენილი დავის სასამართლოსგარეშე წინასწარი გადაწყვეტილების წესი;

3) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული და დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება ან სასამართლოს განჩინება, მოსარჩლის მიერ სარჩელზე უარისთქმის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

4) თუ სასამართლოში წარმოებს საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

5) თუ იყო ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება, მიღებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

6) თუ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს;

7) თუ საქმე არ ექვემდებარება ამ სასამართლოს:

8) თუ განცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა პირმა;

9) თუ განცხადება მოსარჩელის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

მოსამართლეს, რომელიც უარს ამბობს განცხადების მიღებაზე, გამოაქვს ამის შესახებ დასაბუთებული განჩინება.

მოსამართლის უარი განცხადების მიღებაზე ამ მუხლის 2, 7, 8 და 9 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით ხელს არ უშლის, რომ განმეორებით მიმართონ განცხადებით სასამართლოს იმავე საქმეზე, თუ აცილებულ იქნება დაშვებული დარღვევა.

მუხლი 32. სარჩელის უზრუნველყოფა

სასამართლოს ან მოსამართლეს საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია მიიღოს ზომები სარჩელის უზრუნველსაყოფად. სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია საქმის ყოველ მდგომარეობაში, თუ უზრუნველყოფის ზომების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

მუხლი 33. სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისათვის

განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე ამზადებს საქმეს სასამართლოს განხილვისათვის, რომლის მიზანია საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფა.

მუხლი 34. სასამართლო განხილვა

სამოქალაქო საქმის განხილვა წარმოებს სასამართლოს სხდომაზე საქმეში მონაწილე პირთა აუცილებელი შეტყობინებით.

სასამართლო ისმენს მხარეთა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ახსნა-განმარტებას, გამოიკვლევს სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, აგრეთვე შეასრულებს სხვა პროცესუალურ მოქმედებას.

სასამართლო კამათისა და პროკურორის გამოსვლის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწვეტილების დასადგენად.

მუხლი 35. სასამართლო განხილვის უშუალობა, ზეპირსიტყვაობა და განუწყვეტლობა

პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს საქმის დამამტკიცებელი საბუთები: მოისმინოს საქმეში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები, გაეცნოს წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს, დაათვალიეროს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. გამონაკლისი ამ წესიდან დასაშვებია მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

საქმის განხილვა წარმოებს ზეპირად და მოსამართლეთა უცვლელი შემადგენლობით. საქმის განხილვის პროცესში ერთ-ერთი მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში საქმის განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს.

სასამართლოს სხდომა ყოველ საქმეზე წარმოებს განუწყვეტლივ, გარდა დასვენებისათვის განკუთვნილ დროისი. დაწყებული საქმის გან-

ხილვის დამთავრებამდე ან მისი მოსმენის გადადებამდე სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს სხვა საქმეები.

მუხლი 36. საზოგადოებრიობის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან მხარეები საქმეში, შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაშვებულ იქნენ სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის, რათა სასამართლოს მოახსენონ სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე იმ ორგანიზაციათა ან კოლექტივების აზრი, რომლებმაც რწმუნება მისცეს მათ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლების უფლებანი და მოვალეობანი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 37. სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებული უნდა იყოს.

სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც განხილულ იქნა სამჯავრო სხდომაზე. გადაწყვეტილებაში ყველა შემთხვევაში აღნიშნული უნდა იყოს:სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებანი, დამამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რომელთა გამოც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ დამამტკიცებელ საბუთს; კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა; სასამართლოს დასკვნა სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ; გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

საქმის გარემოებათა გამორკვევის მიხედვით სასამართლოს შეუძლია გასცდეს მოსარჩელის მიერ განცხადებულ მოთხოვნათა ფარგლებს, თუ ეს საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილ უნდა იქნეს ხმის უმრავლესობით, ჩამოყალიბებული უნდა იყოს წერილობითი სახით და ხელს აწერდეს ყველა მოსამართლე. მოსამართლეს, რომელიც უმცირესობაში დარჩა, უფლება აქვს წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსაკუთრებული აზრი რომელიც დაერთვის საქმეს.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოს — მოკავშირე რესპუბლიკების სახელით.

სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, შეუძლია განსაზღვროს მისი შესრულების წესი, შესრულების განწილვადება ან გადადება, განმარტოს თავისი გადაწყვეტილება ისე, რომ არ შეცვალოს მისი შინაარსი, აგრეთვე გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნაზე, რომელიც განხილული იყო სასამართლოს სხდომაზე, მაგრამ არ გადაუწყვეტია სასამართლოს.

მუხლი 38. სასამართლოს კერძო განჩინებანი

თუ სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვის დროს აღმოაჩენს ცალკეული თანამდებობის პირების ან მოქალაქეების მიერ კანონიერების ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებს, ან არსებით ნაკლოვანებებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში, მას გამოაქვს კერძო განჩინება და უგზავნის შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს ან მშრომელთა კოლექტივებს, რომლებიც მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

თუ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს სასამართლო მხარის ან სხვა პირის მოქმედებაში აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს, იგი ამას აცნობებს პროკურორს ან აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 39. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო გასაჩივრების ან გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ, თუ იგი არ იყო გასაჩივრებული ან გაპროტესტებული. საკასაციო საჩივრის ან საკასაციო პროტესტის შეტანის შემთხვევაში გადაწყვეტილება, თუ იგი არ გაუქმებულა, კანონიერ ძალაში შედის. ზემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებანი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ მათი გამოცხადების შემდეგ.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ კვლავ განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ გახადონ სხვა პროცესში სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და უფლებრივი ურთიერთობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 40. საქმის წარმოების შეჩერება

სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

1) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო უფლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც მხარეა საქმეში;

2) მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

3) მოპასუხის ყოფნისას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში ან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მყოფი მოსარჩელის თხოვნისას;

4) ამ საქმის განხილვის შეუძლებლობისას სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელსაც განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა საფუძვლებიც, რომლებითაც საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება.

მუხლი 41. საქმის წარმოების შეწყვეტა

სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას:

1) თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლო ორგანოებში;

2) თუ მოსარჩელემ არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის დადგენილი წესი დავის წინასწარი სასამართლოსგარეშე გადაწყვეტისა და თუ ამ წესის გამოყენების შესაძლებლობა დაკარგულია;

3) თუ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან სასამართლოს განჩინება, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში და გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან დამტკიცებულია მხარეთა მორიგებით.

4) თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და სასამართლომ მიიღო უარი;

5) თუ მხარეები მორიგდნენ და ეს მორიგება დაამტკიცა სასამართლომ;

6) თუ არსებობს ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

7) თუ მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადაიცეს გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლოს;

8) თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ სადავო სამართლებრივ ურთიერთობას დასაშვებად არ მიაჩნია უფლებამონაცვლეობა.

საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის მეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით არ შეიძლება.

მუხლი 42. სარჩელის განუხილველად დატოვება

სასამართლო სარჩელს განუხილველად ტოვებს:

1) თუ მოსარჩლემ არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის დადგენილი წესი დავის წინასწარი სასამართლოსგარეშე გადაწყვეტისა და თუ ამ წესის გამოყენების შესაძლებლობა დაკარგული არ არის;

2) თუ სარჩელი წარადგინა არაქმედუნარიანმა პირმა;

3) თუ განცხადება მოსარჩელის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა საფუძვლებიც, რომლებითაც სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

მას შემდეგ, რაც აცილებული იქნა პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, მოსარჩელეს უფლება აქვს კვლავ წარადგინოს იგივე სარჩელი საერთო წესით.

მუხლი 43. საქმეების გადაცემა ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოში

საქმეების გადაცემა ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოში წარმოებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე ან განჩინების გასაჩივრების ან გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო საჩივრის წარდგენის ან პროტესტის შეტანის შემთხვევაში — მას შემდეგ, რაც გამოტანილ იქნება განჩინება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ.

თუ სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოებს შორის წარმოიშვა დავა საქმის განხილვის ადგილის შესახებ, საკითხს წყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო.

კარი IV

საქმეების წარმოება საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებში

მუხლი 44. გადაწყვეტილების საკასაციო გასაჩივრებისა და გაპროტესტების უფლება

ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებისა, მოკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შეიძლება გაასაჩივრონ საკასაციო წესით მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა.

პროკურორს შეაქვს პროტესტი სასამართლოს უკანონო ან დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე, დამოუკიდებლად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი ამ საქმეში.

მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს უნდა ჩაბარდეთ მათ საქმეზე შეტანილი საჩივრებისა და პროტესტების ასლები მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დრო და ადგილი.

საჩივრებისა და პროტესტების ასლების ჩაბარების წესს და საკასაციო ინსტანციაში გარჩევის დროისა და ადგილის შეტყობინების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 45. საქმის განხილვა საკასაციო წესით

საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო საქმეში არსებული და მხარეებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირების მიერ დამატებით წარდგენილი მასალებით ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ შეუტანიათ საჩივარი.

სასამართლო არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით.

საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს პროკურორი იძლევა დასკვნას გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ.

მუხლი 46. საკასაციო ინსტანციის უფლებამოსილება

სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს საკასაციო წესით, უფლება აქვს თავისი განჩინებით:

1) დატოვოს გადაწყვეტილება უცვლელად, ხოლო საჩივარი ან პროტესტი — დაუკმაყოფილებლად;

2) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და გაგზავნოს საქმე ახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართ-. ლოში;

3) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან დატოვოს სარჩელი განუხილველად;

4) შეცვალოს გადაწყვეტილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე, რომ არ გადასცეს საქმე ხელახალი განხილვისათვის, თუ საქმეზე საჭირო არ არის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ან დამატებითი შემოწმება, თუ საქმის გარემოებანი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია სრულად და სწორად, მაგრამ დაშვებულია შეცდომა მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებაში.

მუხლი 47. საკასაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

საკასაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის საქმის გადაცემის საფუძვლებია: იმ გარემოებათა არსებული გამორკვევა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის; იმ გარემოებათა დაუმტკიცებლობა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და რომლებიც სასამართლოს დადგენილად მიაჩნია; სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებასთან; მატერიალური სამართლის ნორმების ან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორად გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს საკასაციო წესით და შეწყდეს საქმის წარმოება ან დარჩეს სარჩელი განუხილველად ამ საფუძვლების 41 და 42 მუხლებში აღნიშნული საფუძვლებით.

არ შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება მარტოოდენ ფორმალური მოსაზრებებით.

მუხლი 48. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებათა გასაჩივრება და გაპროტესტება

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებანი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების განჩინებათა გარდა, შეიძლება სასამართლოს გადაწვეტილებისაგან ცალკე გაასაჩივრონ მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა და გააპროტესტოს პროკურორმა მეორე ინსტანციის სასამართლოში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოს განჩინება აბრკოლებს საქმის შემდგომი მსვლელობის შესაძლებლობას.

მუხლი 49. სასამართლო ზედამხედველობის წესით კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვა

კანონიერ ძალაში შესული გადაწვეტილებანი, განჩინებანი და დადგენილებანი შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით პროკურორების, სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების პროტესტებით, რომლებსაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონით.

თანამდებობის პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ზედამხედველობის წესით პროტესტების შეტანის უფლება, შეუძლიათ შეაჩერონ ზედამხედველობის წესით წარმოების დამთავრებამდე სათანადო გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულება.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო საქმეში არსებული და დამატებითი წარმოდგენილი მასალებით ამოწმებს გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას როგორც გაპროტესტებულ, ისე გაუპროტესტებელ ნაწილში, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც აღნიშნული არ არიან პროტესტში.

სასამართლო შებოჭილი არ არის პროტესტის მოსაზრებებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით.

სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს მის მიერ ან ზემდგომი პროკურორის მიერ შეტანილ პროტესტს და აძლევს დასკვნას საქმეზე, რომელიც განიხილება სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის პროტესტით.

მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეგზავნებათ მათ საქმეზე შეტანილი პროტესტის ასლები. საჭირო შემთხვევებში მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს ეცნობებათ საქმის განხილვის დრო და ადგილი.

პროტესტების ასლების გაგზავნის წესს და საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეტყობინების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 50. ზედამხედველობის წესით საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილება

საქმის ზედამხედველობის წესით განმხილველ სასამართლოს თავისი განჩინებით ან დადგენილებით უფლება აქვს:

1) დატოვოს გადაწვეტილება, განჩინება ან დადგენილება უცვლელად, ხოლო პროტესტი — დაუკმაყოფილებლად;

2) გააუქმოს გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება მთლიანად ან ნაწილობრივ და გაგზავნოს საქმე პირველი ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად;

3) გააუქმოს გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან დატოვოს სარჩელი განუხილავად;

4) დატოვოს ძალაში საქმეზე ადრე გამოტანილი ერთ-ერთი გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება;

5) შეცვალოს გადაწვეტილება, განჩინება ან დადგენილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ისე, რომ არ გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად, თუ საქმეზე საჭირო არ არის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ან დამატებითი შემოწმება, თუ საქმის გარემოებანი დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად და სრულად, მაგრამ დაშვებულია შეცდომა სამართლის ნორმების გამოყენებაში.

მუხლი 51. ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გაუქმების საფუძვლები

ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გაუქმების საფუძვლებია მათი დაუსაბუთებლობა ან მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება ზედამხედველობის წესით უნდა გაუქმდეს, ამასთან საქმის წარმოება შეწყდეს ან სარჩელი დატოვებულ იქნეს განუხილველად ამ საფუძვლების 41 და 42 მუხლებში აღნიშნული საფუძვლებით.

მუხლი 52. ზემდგომი სასამართლოების მითითებათა სავალდებულობა

იმ სასამართლოს განჩინებაში ან დადგენილებაში ჩამოყალიბებული მითითებანი, რომელიც საქმეს განიხილავს საკასაციო წესით ან სასამართლო ზედამხედველობის წესით, სავალდებულოა სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განხილვის დროს.

სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს საკასაციო წესით ან სასამართლო ზედამხედველობის წესით, უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად მიიჩნიოს გარემოებანი, რომლებიც არ იყო დადგენილი გადაწყვეტილებაში ან უარყოფილი იყო ამ გადაწყვეტილებით, წინასწარ გადაწყვიტოს საკითხები ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის უტყუარობის ან არაუტყუარობის შესახებ. ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთის უპირატესობის შესახებ სხვათა წინაშე, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი საქმის ხელახალი განხილვის დროს.

ასევე სასამართლოს სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს საკასაციო განჩინების გაუქმებისას უფლება არა აქვს წინასწარ გამოიტანოს დასკვნები, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც შეიძლება გამოიტანოს საკასაციო ინსტანციამ საქმის ხელახალი განხილვის დროს.

მუხლი 53. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვა დაიშვება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვის საფუძვლებია:

1) საქმისათვის არსებითი გარემოებანი, რომლებიც არ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის;

2) თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, ყალბი დოკუმენტები ან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენა;

3) თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია მხარეთა, საქმეში მონაწილე სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი მოქმედება ან მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედობა, რომელიც ჩადენილი იყო ამ საქმის განხილვის დროს;

4) სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების ან სხვა ორგანოს დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანას.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვის ვადებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი V

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

მუხლი 54. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილებები აღსრულდება მათი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გარდა დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებისა, რომლებსაც ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულება წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც მოვალეს ეძლევა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საქმეზე, რომელშიც თუნდაც ერთი მხარე მოქალაქეა, შეიძლება წარდგენილ იქნეს იძულებით აღსრულებისათვის სამი წლის განმავლობაში მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო ყველა დანარჩენ საქმეზე — ერთი წლის განმავლობაში.

ცალკეული კატეგორიების საქმეებზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა ვადები სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის.

მუხლი 55. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების მოთხოვნების სავალდებულობა

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 56. კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილებათა სწორი და დროული აღსრულებისადმი

სასამართლო გადაწყვეტილებათა სწორი და და დროული აღსრულებისადმი კონტროლს ახორციელებს მოსამართლე.

მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედება. ასეთი საჩივრების განხილვის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 57. გადახდევინების მიქცევა მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონებაზე

მოლაქეთაგან გადახდევინება მიიქცევა მოვალის პირად ქონებაზე, აგრეთვე მის წილზე საერთო საკუთრებაში, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში, აგრეთვე საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონებაში.

გადახდევინება დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად შეიძლება მიქცეულ იქნეს აგრეთვე ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა თანაზიარი კუთვნილებაა, და საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონებაზე, თუ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენით დადგენილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს ქონება შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით.

გადახდევინება მოქალაქეთა ანაბრებზე სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში შეიძლება მიქცეულ იქნეს სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილებულია სისხლის სამართლის საქმიდან წარმოშობილი სამოქალაქო სარჩელი, ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტების გადახდევინების სარჩელის გამო (თუ არ არის ხელფასი ან სხვა ქონება, რომელზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა), ან ანაბრის გაყოფის შესახებ, რომელიც მეუღლეთა თანაზიარი ქონებაა.

გადახდევინების მიქცევა მოვალის ხელფასზე ან სხვა შემოსავალზე, პენსიასა და სტიპენდიაზე წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ მრავალეს არა აქვს ქონება ან ეს ქონება არ კმარა სრული გადახდევინებისათვის.

გადახდევინება მოვალის ქონებაზე არ მიიქცევა, თუ გადახდევინების ოდენობა არ აღემატება თვიური ხელფასის ან სხვა შემოსავლის, პენსიის ან სტიპენდიის იმ ნაწილს, რომელზეც კანონით შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

დახმარებაზე სოციალური დაზღვევით, რომელიც გაიცემა დროებითი შრომისუუნარობის გამო, აგრეთვე დახმარებაზე, რომელსაც გასცემენ კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროები, გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტების გადახდევინების შესახებ და იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით.

გადახდევინება სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მიიქცევა პირველ რიგში მოვალის ფულად სახსრებზე, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებებშია, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების სახეობათა ნუსხა, ხელფასის ან სხვა შემოსავლის, პენსიის, მოსწავლეთა სტიპენდიის წილი, რომლებზეც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, აგრეთვე გადახდევინებული თანხების უკმარობის დროს გადახდევინების მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგისობა წესდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 58. ქონებრივი გადახდევინების ნაწილში განაჩენთა, სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგებათა და სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულება

ქონებრივ გადახდევინებათა ნაწილში განაჩენთა, სასამართლო განჩინებათა და დადგენილებათა, სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგებათა, სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა, საზღვაო და საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიების გადაწყვეტილებათა, შრომითი დავის კომისიების გადაწყვეტილებათა, პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ შრომით დავაზე გამოტანილ დადგენილებათა, სანოტარო კანტორების აღსრულებითი წარწერების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არბიტრაჟის ორგანოებისა და სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულება წარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

კარი VI

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო პროცესუალური უფლებები. სარჩელები უცხო სახელმწიფოსადმი, უცხოეთის სასამართლოთა სასამართლო დავალებანი და გადაწყვეტილებანი. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 59. უცხოელ მოქალაქეთა, უცხოეთის საწარმოთა და ორგანიზაციათა სამოქალაქო სამართლის პროცესუალური უფლებები

უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ სსრ კავშირის სასამართლოებს და ისარგებლონ სამოქალაქო პროცესუალური უფლებებით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად.

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ სსრ კავშირის სასამართლოებს და ისარგებლონ სამოქალაქო პროცესუალური უფლებებით თავიანთი ინტერესების დასაცავად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაადგინოს საპასუხო შეზღუდვები იმ სახელმწიფოების მოქალაქეების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებშიც არის საბჭოთა მოქალაქეების, საწარმოების ან ორგანიზაციების სამოქალაქო პროცესუალურ უფლებათა სპეციალური შეზღუდვები.

მუხლი 60. მოქალაქეობის არმქონე პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართლის პროცესუალური უფლებები

სსრ კავშირში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და ისარგებლონ სამოქალაქო პროცესუალური უფლებებით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად.

მუხლი 61. სარჩელები უცხო სახელმწიფოებისადმი. დიპლომატიური იმუნიტეტი

სარჩელის წარდგენა უცხო სახელმწიფოსადმი, სარჩელის უზრუნველყოფა და გადახდევინების მიქცევა უცხო სახელმწიფოს ქონებაზე, რომელიც სსრ კავშირშია, შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების თანხმობით.

სსრ კავშირში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები და შესაბამის კანონებსა და საერთაშორისო შეთანხმებებში აღნიშნული სხვა პირები ექვემდებარებიან საბჭოთა სასამართლოს იურისდიქციას სამოქალაქო საქმეებზე მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით ან შეთანხმებებით შესაბამის სახელმწიფოებთან.

იმ შემთხვევებში, როცა უცხო სახელმწიფოში არ არის უზრუნველყოფილი საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მისი ქონებისათვის ან საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის ისეთივე სასამართლო ხელშეუხებლობა, როგორიც ამ მუხლის თანახმად უზრუნველყოფილია უცხო სახელმწიფოებისათვის, მათი ქონებისათვის ან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის სსრ კავშირში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ ამ სახელმწიფოს, მისი ქონების ან ამ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიმართ გამოიყენონ საპასუხო ღონისძიებანი.

მუხლი 62. უცხოეთის სასამართლოების სასამართლო დავალებათა აღსრულება და სსრ კავშირის სასამართლოების მიმართვა დავალებებით უცხოეთის სასამართლოებისადმი

სსრ კავშირის სასამართლოები ასრულებენ მათთვის დადგენილი წესით გადაცემულ უცხოეთის სასამართლოების დავალებებს ცალკეული პროცესუალური მოქმედების წარმოების შესახებ (უწყებებისა და სხვა დოკუმენტების ჩაბარება, მხარეთა და მოწმეთა დაკითხვა, ექსპერტიზის წარმოება და ადგილზე დათვალიერება და სხვ.), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

1) დავალების აღსრულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სუვერენიტეტს ან საფრთხეს უქმნის სსრ კავშირის უშიშროებას;

2) დავალების აღსრულება არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში.

უცხოეთის სასამართლოების დავალებათა აღსრულება ცალკეული პროცესუალური მოქმედების წარმოების შესახებ ხდება საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

სსრ კავშირის სასამართლოებს შეუძლიათ მიმართონ უცხოეთის სასამართლოებს დავალებებით ცალკეული პროცესუალური მოქმედების აღსრულების შესახებ. უცხოეთის სასაშართლოებთან საბჭოთა სასამართლოების ურთიერთობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო შეთანხმებები.

მუხლი 63. სსრ კავშირში უცხოეთის სასამართლოებისა და არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა აღსრულება

სსრ კავშირში უცხოეთის სასამართლოებისა და არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა აღსრულების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შესაბამისი შეთანხმებები უცხო სახელმწიფოებთან ან საეროაშორისო კონვენციები, რომელთა მონაწილეა სსრ კავშირი. უცხოეთის სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება წარდგენილ იქნეს იძულებითი აღსრულებისათვის სსრ კავშირში სამი წლის განმავლობაში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

მუხლი 64. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

იმ შემთხვევებში, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეიცავენ ეს საფუძვლები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

იგივე დებულება გამოიყენება მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკა, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონეგი, საქართველოს სსრ უმაღლესი საგჭოს პრეზიდიუმის გრძანეგულეგეგი

გრძანეგულეგა სსრ კავშირის უმაღლესი საგჭოს პრეზიდიუმისა

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22 და 44 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვილებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22 მუხლში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წელი, № 1, მუხლი 6; 1961 წელი, № 19, მუხლი 207, № 27 მუხლი 291) და ჩამოყალიბდეს ამ მუხლის ტექსტი შემდეგნაირად:

„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის — გამოყენება სახელმწიფო დანაშაულისათვის „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონების მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო ცალკეულ, სსრ კავშირის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, — აგრეთვე ზოგიერთ სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვისაც.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირთ, რომელთაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებიათ თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებული იქნას ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის მეოთხე ნაწილის 3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, მოქმედებისათვის, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის, ყაჩაღობისათვის, ქრთამის აღებისათვის, მიცემისათვის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის ზემოქმედების ზომების შეფარდების შესახებ

„მილიციის მუშაკთა ან სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების 1 მუხლთან დაკავშირებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წელი, № 8, მუხლი 83) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განემარტოს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულების დროს მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის დაპატიმრების, გამასწორებელი სამუშაოების ან ჯარიმის შეფარდება არის ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა. ადმინისტრაციული ზემოქმედების აღნიშნული ზომების შეფარდება არ გამოიწვევს ნასამართლობას, არ წარმოადგენს სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს და არ წყვეტს მუშაობის სტაჟს.

2. მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის მასალებს ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე მის მიერ ამ მასალების მილიციის ორგანოებიდან ან სახალხო რაზმელთა შტაბიდან მიღებიდან ერთი დღეღამის განმავლობაში იმ პირის გამოწვევით, რომელმაც ურჩობა გასწია, და საჭირო შემთხვევაში — მოწმეების გამოწვევით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომის შეფარდების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი შეიძლება გააუქმოს ან შეცვალოს თვით სახალხო მოსამართლემ მხოლოდ პროკურორის პროტესტის გამო, აგრეთვე შესაბამისი ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარემ.

დამრღვევის პიროვნებისა და მის მიერ დარღვევის ჩადენის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით მასალები მის შესახებ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების შეფარდების გარეშე შეიძლება გაეგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივს ან ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

3. სახალხო მოსამართლის დადგენილება დაპატიმრების შეფარდების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. დაპატიმრებულ პირთა მოთავსება ხდება წინასწარი პატიმრობის კამერებში ან საპატიმროებში მათი ფიზიკურ სამუშაოებზე გამოყენებით. პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში მათ ხელფასი არ ეძლევათ. იმ შემთხვევაში თუ პატიმარი თავს არიდებს ფიზიკურ შრომას სახალხო მოსამართლის დადგენილებით მას გადახდება პატიმრობაში ყოფნის დროს კვების ღირებულება.

დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

გამასწორებელ სამუშაოებს როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომას დამრღვევი მოიხდის თავის მუდმივ სამუშაო ადგილზე. სახელმწიფოს შემოსავალში დამრღვევის ხელფასიდან ხდება დაკავები სახალხო მოსამართლის დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით ხელფასის ხუთიდან ოც პროცენტამდე ფარგლებში. სახალხო მოსამართლის დადგენილება გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების შესახებ აღსასრულებლად გაიგზავნება მისი გამოტანიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

დაჯარიმებული პირი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა დაჯარიმების შესახებ სახალხო მოსამართლის დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს სამი დღისა. ჯარიმის გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი დამრღვევს გადახდება უდაო წესით.

4. მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისათვის ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში შეიძლება მიცემულ იქნეს ის პირნი, რომელთაც აღნიშნული დარღვევის ჩადენამდე შეუსრულდათ თექვსმეტი წელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲠᲫᲚᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წელი, № 50, მუხლი 525) და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 50, მუხლი 526) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სამოქალაქო კანონმდებლობისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების შესაბამისობაში მოყვანამდე სსრ კავშირის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოქმედი აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები და სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სხვა აქტები გამოიყენება, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან საფუძვლებს.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენება იმ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვნენ საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1962 წლის 1 მაისიდან.

1962 წლის 1 მაისამდე წარმოშობილ ხელშეკრულებით და სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

3. საქმეები, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებით მიეკუთვნა სასამართლოების ქვემდებარეობას და ადმინისტრაციულ ან სხვა ორგანოებში წარმოებით არ დამთავრებულა 1962 წლის 1 მაისამდე, ამ ორგანოების მიერ გადაეცემა სასამართლოების ქვემდებარეობის შესახებ წესების შესაბამისად.

4. მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება 1962 წლის 1 მაისის შემდეგ იწარმოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 10 მუხლის წესებით, იმისაგან დამოუკიდებლად თუ რა დროს არის მიღებული უკანასკნელი ცნობები მოქალაქის ადგილსამყოფელის ან მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ.

5. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 14 მუხლის წესები გარიგებათა ბათილობის შედეგების შესახებ გამოიყენება იმ გარიგებათა მიმართ, რომლებიც ცნობილ იქნებიან ბათილად საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, იმისგან დამოუკიდებლად, როდის იყო დადებული ეს გარიგებანი.

6. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით დადგენილი სარჩელის ხანდაზმულობის საერთო და შემცირებული ვადები, აგრეთვე პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის ვადები (საფუძვლების 16 და 76 მუხლები) გამოიყენება იმ სარჩელებისა და პრეტენზიების მიმართ, რომელთა წარდგენაზე უფლება წარმოიშვა 1962 წლის 1 მაისის შემდეგ.

7. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 28 მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლება გამოითხოვონ თავიანთი არამართლზომიერად გასხვისებული ქონება ყოველი შემძენისაგან, დამოუკიდებლად იმისა, როგორი გზით გამოვიდა ეს ქონება მათი მფლობელობიდან ან იმ პირთა მფლობელობიდან, რომელთაც მათ ეს ქონება გადასცეს, ვრცელდება საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე არამართლზომიერად გასხვისებულ ქონებაზეც, თუ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით დადგენილი სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის.

8. სსრ კავშირისა და მოკავშიოე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 69 მუხლის მეორე და მესამე ნაწილით დადგენილი წესი გამოიყენება იმ შემთხვევების მიმართაც, როცა ცალკე იზოლირებული ოთახის სახით ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი შეიქმნა 1962 წლის 1 მაისამდე, მაგრამ დადგენილი წესით ჩასახლებული არ არის ამ ვადამდე.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 59 მუხლის მეხუთე ნაწილით დადგენილი გადაცემა დამქირავებლის სარგებლობაში ბინაში გათავისუფლებული ოთახისა, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავშირებული საცხოვრებელი ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობისაგან და მომიჯნავეა, ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა ასეთი ოთახი გათავისუფლდა საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე.

9. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის წესები სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა და ცალკეულ უწყებათა სახლებიდან გამოსახლების წესის შესახებ ვრცელდება მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლებაზე 1962 წლის 1 მაისის შემდეგ, გამოსახლებისათვის საფუძვლების წარმოშობის დროის მიუხედავად.

10. სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 87 მუხლის მეოთხე ნაწილითა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 57 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ანაბრის შეტანის დროისაგან დამოუკიდებლად.

მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება იმ გადაწყვეტილებების აღსრულების დროს, რომლებიც სასამართლოებმა გამოიტანეს 1962 წლის 1 მაისამდე ალიმენტების გადახდევინების საქმეებზე (თუ არ არის ხელფასი ან სხვა ქონება, რომელზედაც შეიძლება გადახდევინების მიქცევა).

მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა იმ ანაბრების გაყოფის საქმეებზე, რომლებიც მეუღლეების თანაბარი ქონებაა, შეიძლება სასამართლოების გადაწყვეტილებით, რომლებიც გამოტანილია 1962 წლის 1 მაისის შემდეგ.

11. გადახდევინების მიქცევა პენსიებზე, დროებით შრომისუუნარობის დროს დახმარებებზე და დახმარებებზე, რომლებსაც გასცემენ კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროები, შეიძლება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 57 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს, რომლებიც გამოტანილია 1962 წლის 1 მაისამდეც.

12. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 117—121 მუხლების მოქმედება ვრცელდება მემკვიდრეობებზე, რომლებიც გაიხსნა საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე, მაგრამ 1962 წლის 1 მაისამდე არ მიუღია არც ერთ მემკვიდრეს და მემკვიდრეობის უფლებით არ გადაეცა სახელმწიფოს.

13. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისობაში მოყვანამდე 1962 წლის 1 მაისისათვის დააწესოს:

ა) სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის აღსრულების წესი და ვადები, რომლითაც დადგენილია, რომ მოქალაქის პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს ერთი საცხოვრებელი სახლი, ხოლო ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან იყოს მათ საერთო საკუთრებაში;

ბ) საერთო საკუთრების შეწყვეტის წესი და ვადები ქონებაზე, რომელიც, წინააღმდეგ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 26 მუხლისა, მოსდა სახელმწიფოსა და მოქალაქის ან კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქის საერთო საკუთრებაში;

გ) სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 95 მუხლის თანახმად იმ ზიანის ანაზღაურების წესი,რომელიც განცდილია სოციალისტური ქონების გადარჩენის დროს.

14. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი მოიყვანოს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების შესაბამისობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის, გაუპატიურებისა და მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15, 20 თებერვლის და 4 აპრილის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 24 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის — გამოყენება სახელმწიფო დანაშაულისათვის სსრ კავშირის კანონით „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონებისა და ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო ცალკეულ, სსრ კავშირის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვისაც.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“,

2. 54 მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვების შემდეგ „გაუპატიურებისათვის ჩადენილი“ ამოღებულ იქნას სიტყვები „პირთა ჯგუფის მიერ ან“, სიტყვების შემდეგ „ქრთამის აღებისათვის (189 მუხლის პირველი ნაწილი)“ ჩაიწეროს სიტყვები „მექრთამეობაში შუამავლობისათვის (189) მუხლის პირველი ნაწილი), ქრთამის მიცემისათვის (190 მუხლის პირველი ნაწილი)“.

3. 54 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78), ყალბი ფულის და ფასიანი ქაღალდების დამზადებისა ან გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი96), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104), გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117 მუხლის მესამე ნაწილი), ყაჩაღობისათვის (96 და 152 მუხლები), ქრთამის აღებისა, მიცემისათვის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მეორე ნაწილი, და 190 მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის მათ სამსასურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209)“.

4. 117 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

გაუპატიურება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება, —

თხუთმეტ წლამდე გადასახლების ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან სიკვდილით“.

5. 189 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 189. ქრთამის აღება.

თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება რა სახითაც არ უნდა იყოს ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ ქმედობის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის ან ისეთი პირის მიერ, რომელსაც არაერთჯერ აუღია ქრთამი ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

6. განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე თავს „თანამედროვეობრივი დანაშაული“ დაემატოს 189 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 189. მექრთამეობაში შუამავლობა

მექრთამეობაში შუამავლობა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე.

მექრთამეობაში შუამავლობა, ჩადენილი არაერთჯერ ან პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.“

7. 190 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„მუხლი 190. ქრთამის მიცემა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

ქრთამის მიცემა არაერთჯერ ან პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან თუ ამ პირმა ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ“.

8. განსაკუთრებული ნაწილის მეცხრე თავს „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“ დაემატოს 207, 208 და 209 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 207. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ მილიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

წინააღმდეგობის გაწევა მილიციის მუშაკისა ან სახალხო რაზმელისათვის ან პირთა მიერ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამოსასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რასაც თან სდევს ძალადობა ან მუქარა ძალადობის გამოყენებაზე, აგრეთვე იმ პირთა იძულება ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით შეასრულონ აშკარად უკანონო მოქმედება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე“.

„მუხლი 208. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის შეურაცხყოფა.

შეურაცხყოფა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისა ამ პირთა მიერ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს თვემდე ან გამოსასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

მუხლი 209. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა.

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით“.

II. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 32 მუხლში 104 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „117 ნაწილი მესამე“ 163 მუხლზე მითითების შემდეგ — „189 ნაწილი მეორე“ და 192-195 მუხლებზე მითითების შემდეგ — „209“.

2. 88 მუხლში 189 მუხლის მეორე ნაწილზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „189 მუხლის ნაწილი მეორე, 190 მუხლის ნაწილი მეორე“, 195 მუხლის მეორე ნაწილზე მითითების შემდეგ — „209“.

3. 375 მუხლში 117 მუხლზე მითითების შემდეგ ამოღებულ იქნას სიტყვები „გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ასეთივე დანაშაული“ და ჩაიწეროს „ნაწილი მეორე“ 189 მუხლის პირველ ნაწილზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „189 ნაწილი პირველი და 190 ნაწილი პირველი“.

4. 376 მუხლში 189 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „189 ნაწილი მეორე და 190 ნაწილი მეორე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 19 აპრილი.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა დემოკრატიის თანმიმდევრობითი განვითარება, საბჭოთა მართლწესრიგის დაცვასა და კანონიერების განმტკიცებაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა ქმნიან პირობებს ჯარიმების, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდგომი შეზღუდვისათვის.

ახლა, როცა ადმინისტრაციული იძულების სფერო სულ უფრო მცირდება, ისეთი ზომა, როგორიც არის ჯარიმა, გამოყენებულ იქნება მოქალაქეთა, აგრეთვე თანამდებობის პირთა მიმართ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ან დისციპლინური ზემოქმედების ზომები არ იქნება ცნობილი საკმარისად.

დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებასთან და თანამდებობის პირთა პირადი პასუხისმგებლობის შემდგომ გაზრდასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენება დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ახლა არ არის გამოწვეული აუცილებლობით, მით უმეტეს, რომ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაჯარიმების არსებულ პრაქტიკას ბევრ შემთხვევაში ფაქტიურად მივყევართ დარღვევაში ნამდვილად დამნაშავე თანამდებობის პირის დასჯელობამდე.

ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის, ჯარიმების დაწესებისათვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოთა და დაჯარიმების უფლების მქონე თანამდებობის პირთა და ორგანოების წრის შემცირების, იმ დარღვევების ნუსხის შეზღუდვის, რომელთა გამო შეიძლება დაჯარიმება, დარღვევების ცალკეულ სახეობებზე ჯარიმების ოდენობის შემცირების, დამჯარიმებელი ორგანოების საქმიანობაში, კანონიერებისა და კოლეგიურობის საწყისების განმტკიცების მიზნით შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, საქართველოს სსრ-ში დაწესებულ იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში და შეიძლება შეფარდებულ იქნას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც პირდაპირ გათვალისწინებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების აქტებით.

2. საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დაწესებულ იქნას სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად:

მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის;

არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის;

სანიტარულ — ჰიგიენური და სანიტარულ — ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ცხოველებისა და მცენარეთა კარანტინის წესების დარღვევისათვის,

საზოგადოებრივი წესრიგისა და საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის,

ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, წიაღისა და ტყეების, წყლის რესურსებისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისათვის;.

სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის.

იმ წესების დარღვევისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ამ სახის ტრანსპორტით სარგებლობის წესებს;

კავშირგაბმულობის წესების დარღვევისათვის;

სხვა წესების დარღვევისათვის, რომელთა დადგენა მიეკუთვნება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ერთობლივ გამგეობას, ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დაწესებულ იქნას სსრ კავშირის კანონმდებლობის, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დაწესებულ იქნას:

საცხოვრებელი ფონდის დაცვისა და კეთილმოწყობის წესების დარღვევისათვის;

მრეწველობაში სამუშაოთა საწარმოების უსაფრთხოების, ორთქლის ქვაბების ზედამხედველობის, საბითო ზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის წესების დარღვევისათვის;

სარეველა მცენარეებისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წესების დარღვევისათვის;

წყლისა და სამელიორაციო სისტემის და მათზე არსებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპლუატაციისა და შენახვის წესების დარღვევისათვის;

იმ წესების დარღვევისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საქალაქო ელექტროტრანსპორტის, მოტოველოტრანსპორტის, საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას და ამ სახეობის ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის;

საავტომობილო გზების და საგზაო ნაგებობათა დაცვისა და სარგებლობის წესების დარღვევისათვის;

ნადირობის წესების დარღვევისათვის;

სავაჭრო წესების დარღვევისათვის;

არქიტექტურისა და მშენებლობის წესების დარღვევისათვის;

მწვანე ნარგავების, ბუნებრივი წყაროებისა და წყლის რესურსების დაცვის წესების დარღვევისათვის;

ბუნების ობიექტებისა და კულტურის ძეგლების დაცვის წესების დარღვევისათვის;

ენერგოდანადგართა ტექნიკური ექსპლოატაციის წესების და ელექტროენერგიით სარგებლობის წესების დარღვევისათვის;

გზით სარგებლობის წესების დარღვევისათვის;

მაგისტრალური ნავთობსადენების, გაზსადენების, ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზების, შორეული კავშირის საკაბელო და საჰაერო ხაზების დაცვის წესების დარღვევისათვის;

რადიო-რეალურ ნაგებობათა დაცვის წესების დარღვევისათვის;

სხვა წესების დარღვევისათვის, რომელთა დადგენა მიეკუთვნება საქართველოს სსრ განსაკუთრებულ გამგებლობას, ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, შეიძლება დაწესებულ იქნას მხოლოდ საქართველოს სსრ კანონებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობით მათი კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირის კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება ნუსხა იმ წესებისა, რომელთა დარღვევისათვის ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ბრძანებულებებით და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით შეიძლება დაწესებულ იქნას ჯარიმები, როგორც ადმინისტრაციული სასჯელი ზომა.

5. უფლება მიეცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკურ დაქვემდებარების) საბჭოებს მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას შემდეგ საკითხებზე:

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე;

ტყის, მწვანე ნარგავების, ბუნებრივი წყაროების და წყლის რესურსების, წყალთა მეურნეობის ნაგებობათა და თევზის მარაგის დაცვაზე;

საცხოვრებელი ფონდის კეთილმოწყობასა და დაცვაზე;

დასახლებულ პუნქტებში სანიტარულ მდგომარეობაზე;

საავტომობილო ტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესებზე და ამ ტრანსპორტით სარგებლობის წესებზე

მიწისქვეშა კომუნიკაციების წესრიგში ყოფნაზე;

სტიქიურ უბედურებებთან, ეპიდემიებთან, ეპიზოოტიებთან, სოფლის და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან და სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებებთან ბრძოლაზე;

საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის წესებზე,

ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებაზე;

გაზის, ელექტრო, სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიოსატრანსლაციო, ტელეხედვისა და სხვა ქსელის და ადგილობრივი მნიშვნელობის ნაგებობათა დაცვა და წესრიგში მოყვანაზე.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიეცეთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათი დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, მხოლოდ სტიქიურ უბედურებებთან, ეპიდემიებთან, ეპიზოტიებთან ბრძოლის საკითხებზე.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო (რესპუბლიკურ დაქვემდებარების) საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება არ აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათი დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, თუ ჯარიმები ამ დარღვევებზე უკვე დაწესებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების მიერ და თუ ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობა ადგილობრივი პირობებით არ არის გამოწვეული.

6. მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭომ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკურ დაქვემდებარების) საბჭოებმა გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც მათი დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, პრაქტიკაში უნდა შემოიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარი განხილვა საზოგადოებრიობის მიერ.

7. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება დაუშვებელია.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდებიან თანამდებობის ის პირნი, რომლებმაც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობით უნდა მიიღონ ზომები დადგენილი წესების დროულად შესრულებისათვის. აკრძალულია თანამდებობის პირებზე დაკისრებული ჯარიმების გადახდა დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე.

8. სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირები იმ გადაცდომებისათვის, რომლებიც იწვევენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, პასუხს აგებენ დისციპლინური წესდების შესაბამისად.

9. ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მოქალაქეთა მიმართ 10 მანეთს, ხოლო თანამდებობის პირების მიმართ — 50 მანეთს.

საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ზოგიერთ სახეობათა დარღვევებზე განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევებში პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის შეიძლება დაწესებულ იქნას გადიდებული ჯარიმა: მოქალაქეთა მიმართ 50 მანეთამდე და თანამდებობის პირის მიმართ 100 მანეთამდე.

ჯარიმის ოდენობა, რომელიც ადგილზე უნდა იქნას გადახდილი შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით, რაც ჩამოთვლილია ამ ბრძანებულების მე-5 მუხლში, არ უნდა აღემატებოდეს ერთ მანეთს.

10. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოებისა და აღნიშნული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათ დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, გამოიცემა ვადით არა უმეტეს ორი წლისა, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება ძალას კარგავს.

თითოეულ ასეთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულ უნდა იქნას ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მისი მოქმედება, იმ პირთა კატეგორია, რომლებზედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ვრცელდება, მოვალეობანი, რომლებიც მოქალაქეებს ეკისრებათ გადაწყვეტილებით, ჯარიმის ოდენობა და მისი ძალაში შესვლის ვადა. ეს ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები დღიდან გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა.

განსაკუთრებულ, გადაუდებელ შემთხვევებში (სტიქიური უბედურება ეპიდემია, ეპიზოტია) გადაწყვეტილება შეიძლება სამოქმედოდ შემოღებულ იქნას მისი გამოქვეყნების დღიდან.

11. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების გადაწყვეტილება, რომელიც მის დარღვევისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას, მოსახლეობის გასაცნობად უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, გამოცხადდეს რადიოთი, გადაწყვეტილების ტექსტი გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე.

12. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას ახდენს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, ხოლო ამ ბრძანებულების 15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობების პირები.

13. საქართველოს სსრ კანონებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ცალკეული სახის დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება გამონაკლისის წესით შეიძლება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

ასეთ შემთხვევაში საკითხი დაჯარიმების შესახებ უნდა გადაწყვიტონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა იმ წესების მიხედვით, რაც დადგენილია ადმინისტრაციული კომისიებისათვის.

14. ადმინისტრაციული კომისიები არსებობენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და მათ ქმნიან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოები მოცემული საბჭოს რწმუნების ვადით, საბჭოების დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. ადმინისტრაციული კომისიები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან საზოგადოებრიობის ფართო აქტივს.

ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ.

15. „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიმართვის გარეშე ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება ეტოვებათ:

მილიციის ორგანოებს — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, იმ წესების დარღვევისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, აგრეთვე ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის;

რკინიგზის ტრანსპორტის, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ფლოტის ორგანოებს — სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის,, მოძრაობის წესებისა და უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე ტრანსპორტზე სახანძრო უშიშროების წესების და სანიტარული წესების დარღვევისათვის;

პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკურ ინსპექტორებს — ტექნიკური უშიშროებისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის;

საბაჟო ორგანოებს — საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდისათვის;

სასაზღვრო დაცვის ორგანოებს — სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევისათვის;

თავდაცვის სამინისტროს ორგანოებს — სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის;

სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებს — სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ ეპიდსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის.

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს — სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის;

წყლის რესურსების, თევზის დაცვის, სატყეო მეურნეობის დაცვის ორგანოებს — შესაბამისად წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის წესების დარღვევისათვის, თევზის ჭერის წესების დარღვევისათვის, ტყეებში სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის,

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ ცალკეული კატეგორიის საქმეები შეიძლება განსახილველად გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს.

ამ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს და თანამდებობის პირებს დამრღვევთა დასაჯარიმებლად მასალები შეუძლიათ გადასცენ აგრეთვე ადმინისტრაციულ კომისიებს.

16. თითოეულ ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჯარიმა გადახდევინებულ იქნება ადგილზე, უნდა შედგეს ოქმი (აქტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამრღვევის პიროვნების, დარღვევის ხასიათის, ადგილისა და დროის აგრეთვე მოწმეების ჩვენებით.

ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმისწარმოების წესი განისაზღვრება დებულებით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმისწარმოების წესის შესახებ.

17. ოქმი (აქტი) ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ, რაც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი ან უფროსთა შემადგენლობის პირის მიერ, ეგზავნება შესაბამისი ნაწილის მეთაურს ან შესაბამისი დაწესებულების უფროსს დისციპლინური სასჯელის ზომების მისაღებად.

18. ჯარიმა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, რომელიც ცნობილ იქნება დამნაშავედ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენაში და რომელსაც ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენამდე შეუსრულდა 16 წელი.

ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დარღვევის სიმძიმის მიხედვით, დამრღვევის პიროვნებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

19. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება არ შეიძლება დარღვევის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

ადმინისტრაციული კომისიის, სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილება დაჯარიმების შესახებ, რომელიც არ იქნა შესრულებული სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოტანისა, არ უნდა აღსრულდეს.

20. ჯარიმა, რომელიც მოქალაქის ან თანამდებობის პირის მიერ გადახდილი არ იქნება 15 დღის ვადაში დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარების დღიდან, გადახდევინებულ იქნება უდაო წესით დაჯარიმებულის ხელფასიდან ადმინისტრაციული კომისიის ან სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებით დაჯარიმების შესახებ.

თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს, ჯარიმის გადახდევინებას ახდენს სასამართლო აღმასრულებელი დაჯარიმებულის ქონებიდან დაჯარიმების შესახებ ადმინისტრაციული კომისიის ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების საფუძველზე.

21. ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნას დაჯარიმებული პირის ისეთ ქონებაზე, რომლის ჩამორთმევა არ დაიშვება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით „იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელიც სასამართლო განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება.“

ქონებაზე ჯარიმის გადახდევინების მიქცევის ორმოს აღწერილ უნდა იქნას ქონება მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ჯარიმის თანხის დასაფარავად.

22. საქმეები ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ, რომლებიც დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ დაჯარიმებას, განიხილება დაჯარიმებულის საცხოვრებელი ადგილის ან გადაცდომის ჩადენის ადგილის მიხედვით.

23. ორგანოებს ან თანამდებობის პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება დაჯარიმონ მოქალაქენი ადმინისტრაციული წესით, უფლება აქვთ ნაცვლად დაჯარიმებისა გააფრთხილონ დამრღვევი პირი ან გადასცენ მასალები მის შესახებ ამხანაგურ სასამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მისი სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად.

ორგანომ ან თანამდებობის პირმა, რომელთაც ადმინისტრაციული სასჯელი გამოიტანეს, როგორც წესი, ამის შესახებ უნდა აცნობონ საზოგადოებრიობას დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

24. ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ მოქალაქეს, აგრეთვე თანამდებობის პირს უფლება აქვს დადგენილება დაჯარიმების შესახებ გაასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 10 დღის ვადაში დადგენილების ჩაბარების დღიდან.

აღნიშნულ ვადაში სახალხო სასამართლოში საჩივრის შეტანა ჯარიმის გადახდევინებას შეაჩერებს ასეთ შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულებისათვის ამ ბრძანებულების 19 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამთვიანი ვადა შეჩერდება.

დაჯარიმების შესახებ საჩივრის მიღებისას სახალხო მოსამართლე ამის შესახებ აცნობებს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელმაც მოახდინა დაჯარიმება და გამოითხოვს მასალებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა დაჯარიმება.

პირი, რომელიც შეიტანს სასამართლოში საჩივარს დადგენილებაზე დაჯარიმების შესახებ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდება.

25. საჩივარი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს მიერ განხილულ უნდა იქნას 10 დღის ვადაში, განმცხადებლის, და საჭირო შემთხვევაში, დამჯარიმებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის მონაწილეობით, მაგრამ არასაპატიო მიზეზით მათი გამოუცხადებლობა ხელს არ შეუშლის საქმის განხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. საჩივრის განხილვისას რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ამოწმებს დაჯარიმების კანონიერებას:

დადებულია თუ არა ჯარიმა ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ;

ჩაიდინა თუ არა დაჯარიმებულმა ისეთი დარღვევა, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილია ჯარიმის სახით პასუხისმგებლობა და დამნაშავეა თუ არა იგი ამ დარღვევის ჩადენისათვის.

ხომ არ აღემატება დაკისრებული ჯარიმის თანხა დადგენილ ზღვრულ ოდენობას;

გათვალისწინებულია თუ არა დამჯარიმებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, დამრღვევის პიროვნება და მისი ქონებრივი მდგომარეობა;

ხომ არ არის გასული დაჯარიმებისათვის ამ ბრძანებულების მე-19 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

27. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჯარიმა არასწორად არის დაკისრებული, მას გამოაქვს განჩინება დაკისრებული ჯარიმის გაუქმების თაობაზე და ადმინისტრაციული დარღვევის შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტაზე.

თუ დაკისრებული ჯარიმის თანხა აღემატება კანონით დადგენილ ოდენობას, სასამართლო ამცირებს ჯარიმის თანხას დადგენილ ოდენობამდე. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ჯარიმის თანხა თუ ჯარიმა დაკისრებულია ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, დამრღვევის პიროვნებისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

თუ ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება კანონიერია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

სახალხო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

28. რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო განმცხადებელს საჩივარზე სამი დღის ვადაში აძლევს განჩინების ასლს და ერთდროულად უგზავნის განჩინების ასლს ადმინისტრაციული წესით დამჯარიმებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს.

29. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში აკრძალულია მისი შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით.

30. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ ბრძანებულების შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი რომლებითაც გათვალისწინებულია დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებმა შეიტანონ სათანადო ცვლილებანი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობაში, რომლებითაც გათვალისწინებულია დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭომ, მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა ამ ბრძანებულების შესაბამისობაში მოიყვანონ გადაწყვეტილებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით.

31. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

32. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით:

ა) შეტანილ იქნას ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით დამტკიცებულ ამხანაგურ სასამართლოს დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 32, მუხ. 478) და მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10) ადმინისტრაციულ და სხვა მცირემნიშვნელოვან სამართლებრივ დარღვევათა შესახებ, თუ მილიციის, პროკურატურის ორგანოები, სასამართლო, აგრეთვე ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებისა, საჭიროდ ჩათვლიან ასეთი საქმის ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემას“.

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებსა და საბჭოების მუდმივი კომისიების წარდგენით“.

მე-19 მუხლს დაემატოს მეოთხე აბზაცი შემდეგი შინაარსის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ, თუ აღსრულებული არ იქნება სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოტანისა, აღსრულებას არ ექვემდებარება.“

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულებების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“. (საქართველოს სსრ კან. კრ., 1931 წელი № 20, მუხლები 206, 207, 208, 209) შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით (საქართველოს სსრ კან. კრ., 1932 წელი, № 24, მუხლები 236, 237, 238, 239, 1933 წელი, № 2, პუნქტი I, მუხლი 32, 1933 წელი, № 12, მუხლი 148; 1936 წელი, № 27, მუხლი 160; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1942 წელი, № 27, მუხლი 38).

33. ეს გრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1962 წლის 1 იანვრიდან და აქვს უკუქცევითი ძალა დაჯარიმებულ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა, აგრეთვე დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციებისაგან გადაუხდევინებელი ჯარიმების მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 19 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილება № 7

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 1 დადგენილების — „პირობითი მსჯავრის გამოყენების საქმეში სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-6 პუნქტის შეცვლის თაობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

პუნქტი მე-6 სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილებისა „პირობითი მსჯავრის გამოყენების საქმეში სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე და 38-ე მუხლების დარღვევით წინა განაჩენით პირობით დანიშნული სასჯელი არ მიმატებია სასჯელს ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის მიმატება შეიძლება მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვისას, ამ მოტივით შეტანილი პროტესტის საფუძველზე განაჩენის გაუქმების შემდეგ, თუ რესპუბლიკური კანონმდებლობით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორკინი.
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის დადგენილება № 8

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სასამართლოებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილი დავების განხილვის წესის შესახებ, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენდათ დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილი დავების განხილვის წესის შესახებ, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენდათ დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან“, რომელიც მოქმედებაში შედის 1962 წლის 1 იანვრიდან, დაწესებულია, რომ იმ შემთხვევაში თუ მუშას ან მოსამსახურეს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბრალით მიყენდა დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება, რაც მის მუშაობასთან არის დაკავშირებული, მუშისათვის ან მოსამსახურისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება წარმოებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

უკეთუ დაინტერესებული პირი არ ეთანხმება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, დავას განიხილავს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი.

თუ დაინტერესებული პირი ან ადმინისტრაცია არ ეთანხმება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, დავას მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო.

ამავე წესით განიხილება დავები მუშის ან მოსამსახურის კმაყოფაზე მყოფ შრომის უნარს მოკლებულ პირთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ იმ შემთხვევაში თუ მარჩენალი გარდაიცვალა დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანების შედეგად, რაც დაკავშირებულია მის მუშაობასთან და გამოწვეულია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრალით.

სახალხო სასამართლოში ადმინისტრაციის მიმართვის ვადად დაწესებულია 10 დღე მის მიერ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების მიღების დღიდან.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი.

1. 1962 წლის 1 იანვრიდან სასამართლოებს უფლება არა აქვთ თავიანთ წარმოებაში მიიღონ სასარჩელო განცხადებები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენდათ დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან, აგრეთვე მუშაკის კმაყოფაზე მყოფ შრომის უნარს მოკლებულ პირთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ იმ შემთხვევაში, როცა მისი (მუშაკის) სიკვდილი გამოწვეულია აღნიშნული მიზეზებით, თუ დავის გამო არ არის გამოტანილი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება.

უკეთუ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არსებობს პროფესიული კავშირის კომიტეტი და დაინტერესებული მხარე არ ეთანხმება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, დავა ზარალის ანაზღაურების შესახებ განხილული უნდა იქნეს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოში.

2. სასარჩელო განცხადებები ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც სასამართლოში ფოსტით არის შემოსული 1961 წლის 1 იანვრის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ. 2 ოქტომბრის ბრძანებულებით დადგენილი წესის დარღვევით, გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს სათანადო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, ხოლო უკეთუ ადმინისტრაციის გადაწყვეტილება უკვე არსებობს, მაშინ ისინი განსახილველად უნდა გაეგზავნოს პროფესიული კავშირის შესაბამის კომიტეტს.

3. სასარჩელო განცხადებები ზარალის, ანაზღაურების შესახებ, რომლებიც სასამართლოში 1962 წლის 1 იანვრამდეა შემოსული, განხილული უნდა იქნეს ადრე მოქმედი პროცესუალური წესების შესაბამისად. ეს წესები გამოიყენება აგრეთვე ზიანის მიყენების შესახებ ისეთ საქმეებზე, რომლებიც მიღებულია სასამართლოს წარმოებაში 1962 წლის 1 იანვრამდე, უკეთუ ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებანი გაუქმებულია საკასაციო ან საზედამხედველო წესით და საქმე გადაცემულია ხელახალი განხილვისათვის.

1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად მიღებული წესები საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს მიყენდათ დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა რაიმე დაზიანებით, რაც დაკავშირებულია მათს მუშაობასთან, გამოყენებული უნდა იქნეს ყველა განუხილველ საქმეზე, მიუხედავად იმისა თუ როდის წარმოიშვა უფლებრივი ურთიერთობა.

4. დაზარალებულთა განმეორებითი სარჩელები პერიოდული გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ, რომელთა წარდგენა წარმოებს 1962 წლის 1 იანვრიდან, შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოს განსახილველად მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია ასეთ დავათა გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით დადგენილი წესი.

5. მუშისა და მოსამსახურისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ დავის გამო სასამართლოში მიმართვისათვის დადგენილი 10 დღიანი ვადის გაშვება ადმინისტრაციის მიერ არ წარმოადგენს განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს; უკეთუ სასამართლო საპატიოდ სცნობს ვადის გაშვების მიზეზებს, მას შეუძლია გააგრძელოს ვადა საქმის არსებითად განხილვისას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე — ნ. მოროზოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 14 დეკემბრის დადგენილება № 9

სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგიერთ დადგენილებათა გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების, სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის, სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის მიღებასთან და მათ შესაბამისად შემუშავებული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

I

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმა-

ღლესი სასამართლოს პლენუმის შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე:

1. 33-ე პლენუმის 1931 წლის 10 მაისის დადგენილება „იმის შესახებ, რომ სასამართლო-საზედამხედველო ინსტანციებს არა აქვთ უფლება საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემის გარეშე უშუალოდ გაზარდონ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის ზომა“.

2. 49-ე პლენუმის 1934 წლის 25 დეკემბრისა და 1940 წლის 13 ივნისის დადგენილებანი № 16 (8) უ „იმის თაობაზე, რომ საკასაციო და საზედამხედველო სასამართლო ინსტანციებს უფლება არა აქვთ უშუალოდ შეცვალონ პირობითი სასჯელი უპირობითო სასჯელით ან გაზარდონ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უმდაბლეს საზღვარზე დაბლა დანიშნული სასჯელი“.

3. 54-ე პლენუმის 1936 წლის 29 მარტის დადგენილება „მოსამზადებელი სხდომების მუშაობის შესახებ“.

4. პლენუმის 1940 წლის 10 თებერვლის დადგენილება № 2(1) უ „იმის შესახებ, რომ ზემდგომ სასამართლოს უფლება არა აქვს სასჯელის ლმობიერების გამო გააუქმოს ისეთი განაჩენი, რომელიც გაპროტესტებული არ არის პროკურორის მიერ“.

5. პლენუმის 1940 წლის 3 ივლისის დადგენილება № 20 (9) უ „სასაზღვრო ზონაში შესვლისა და ცხოვრების წესების დარღვევების კვალიფიკაციის შესახებ“.

6. პლენუმის 1940 წლის 3 ივლისის დადგენილება № 20 (11) უ „სასამართლოს იმ დადგენილებათა შესახებ, რომელთა გასაჩივრება არ დაიშვება თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებისა“.

7. პლენუმის 1942 წლის 8 ივნისის დადგენილება № 11/მ/ზ/უ „საერთო წესით შრომა-გამასწორებელი სამუშაოების მისჯისას შრომის ხელფასიდან დაკავების ოდენობის დადგენის წესის თაობაზე“.

8. პლენუმის 1943 წლის 15 აპრილის დადგენილება № 8/მ/ზ/უ „სასამართლოების მიერ მოსამზადებელ (გამწესრიგებელ) და სამსჯავრო სხდომებზე დადგენილებათა გამოტანის წესის შესახებ“.

9. პლენუმის 1945 წლის 6 აპრილის დადგენილება № 6/4/უ „იმ სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურებრივ დანაშაულობათა კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც თანამდებობრივ ფუნქციებს ასრულებენ და უფროს შემადგენლობას არ ეკუთვნიან“.

10. „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა შესრულების შესახებ“ პლენუმის 1946 წლის 15 თებერვლის № 2/3/უ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი.

11. პლენუმის 1947 წლის 22 აგვისტოს დადგენილება № 12/6 „სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებათა შეფარდების შესახებ“.

12. პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის დადგენილება № 12/7/უ „სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ორდენებისა და მედლების ჩამორთმევასთან“.

13. პლენუმის 1950 წლის 31 მარტის დადგენილება № 7/5/უ „ორდენებისა და მედლების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის დადგენილება № 12/7/უ-ში დამატების შეტანის თაობაზე“.

14. პლენუმის 1950 წლის 15 სექტემბრის დადგენილება № 16/12/უ „იმ დანაშაულთა კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევასთან“.

15. პლენუმის 1950 წლის 15 სექტემბრის დადგენილება № 16/14/უ „სასამართლოთა (გარდა საბალხო სასამართლოებისა) მოსამზადებელი სხდომების შემადგენლობის შესახებ“.

16. პლენუმის 1951 წლის 5 იანვრის დადგენილება № 1/1/უ „სასამართლო პრაქტიკის შესახებ საქმეებზე იმ დანაშაულობათა გამო, რომლებიც გათვალისწინებულია „შინაური არყის დამზადებისა და გაყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 აპრილის ბრძანებულებით“.

17. პლენუმის 1951 წლის 9 თებერვლის დადგენილება № 2/6/უ „იმ მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ანგარების მიზნით უკანონოდ იყენებენ სამსახურის გამო მათზე მინდობილ ავტომანქანებს“.

18. პლენუმის 1951 წლის 9 თებერვლის დადგენილება № 4/8/ე „უფლებააყრილი მსჯავრდადებულისათვის მედლების ჩამორთმევის საკითხის განხილვის წესის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როცა ამაზე არ არის მითითებული განაჩენში“.

19. პლენუმის 1953 წლის 20 მარტის დადგენილება №3 „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნათა დაცვის შესახებ“.

20. პლენუმის 1953 წლის 20 მარტის დადგენილება №4 „იმ მსჯავრდადებულთა მიმართ ნასამართლობის გაქარწყლების პირობების შესახებ, რომლებიც განაჩენით დადგენილი ვადის გასვლამდე გათავისუფლდნენ სასჯელისაგან“.

21. პლენუმის 1953 წლის 20 მარტის საოქმო დადგენილება № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 6 იანვრის № 1/2/უ დადგენილებაში — „წყლის ტრანსპორტის იმ მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევების კვალიფიკაციის შესახებ, რომელნიც არ ირიცხებიან საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და სამდინარო ფლოტის სამინისტროს ორგანოების სამსახურში“ — შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა/ დადგენილების აღწერილობითი ნაწილის პირველი აბზაცი გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვანაირად წყდება საკითხი იმ დანაშაულთა კვალიფიკაციის შესახებ, რომელთა შედეგადაც მოხდა ავარია ისეთ გემებზე, რომლებიც საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს ორგანოებს არ ეკუთვნიან“.

ბ/ დადგენილების აღწერილობითი ნაწილის მე-2 და მე-8 აბზაციდან ამოღებული იქნეს სიტყვა: „სახაზო“.

გ) მე-3 აბზაცი დადგენილების აღწერილობითი ნაწილისა გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უნდა აღინიშნოს, რომ გარდა საზღვაო და სამდინარო სამინისტროებისა, მთელ რიგ ორგანიზაციებს (მცირე მდინარეების სამმართველოს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, თევზის მრეწველობის სამმართველოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვ.) გააჩნიათ თავიანთი მრავალრიცხოვანი ფლოტი“.

დ) მე-5 აბზაცი დადგენილების აღწერილობითი ნაწილისა გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის შინაგანი წყლის ტრანსპორტის წესდების 26-ე, 31-ე და 32-ე მუხლების თანახმად, ყველა არასამხედრო მექანიკურ ძრავიანი გემი, მიუხედავად იმისა თუ ვის ეკუთვნის იგი, რეგისტრირებული უნდა იქნას საუზო სანაოსნო ინსპექციებში ან საზღვაო სავაჭრო ნავსადგურებში. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ის პირები, რომელთაც უფლება ეძლევათ მართონ გემები და გემის მექანიზმები, აგრეთვე ამ პირებზე დიპლომებისა და მოწმობების გაცემის წესი განისაზღვრება ზემოაღნიშნული დებულებითა და იმ წესებით, რომლებიც დამტკიცებულია რსფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის შესაბამისი ორგანოების მიერ. შინაგანი წყლის გზებზე ცურვის წესების, სამდინარო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესებისა და ცურვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დადგენილი სხვა წესების დაცვა, რომლებიც მოქმედებენ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზე, სავალდებულოა ყველა გემის ეკიპაჟისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე — ნ. მოროზოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 18 დეკემბრის დადგენილება № 10

სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე იმ სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც ეხება მუშებისა და მოსამსახურეების ქონებრივ პასუხისმგებლობას მათ მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალისათვის.

განზოგადება სასამართლო პრაქტიკისა საქმეებზე იმ ზარალისათვის მუშებისა და მოსამსახურეების ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მათ შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობათა შესრულების დროს მიაყენეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ ასეთ დავებს. ამასთან ერთად სასამართლოების მუშაობაში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს. რიგ შემთხვევებში სასამართლოები შეცდომებს უშვებენ მუშაკთა ქონებრივი პასუხისმგებლობის პირობების, საფუძვლებისა და ოდენობის განმსაზღვრელი კანონმდებლობის გამოყენების საკითხში, რაც იწვევს როგორც ცალკეულ მუშათა და მოსამსახურეთა უფლებების დარღვევას, ისე საწარმოთა და დაწესებულებათა უფლებების და კანონიერი ინტერესების არასათანადოდ დაცვას.

განზოგადების მასალები აგრეთვე მოწმობენ ძმას, რომ სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთ საკითხზე არ არის ერთნაირი აზრი. კერძოდ, ცალკეული სასამართლოები არასწორად ახდენენ ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების შესახებ საქმეთა წარმოებით შეწყვეტას, როდესაც გამოკვლეულ მტკიცებათა სა-

ფუძველზე სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მუშაკს შეიძლება დაეკისროს არა სრული, არამედ მხოლოდ შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა.

ამცირებენ რა გადასახდელად დასაკისრებელი თანხის ოდენობას მოპასუხის მატერიალური მდგომარეობისა და იმ კონკრეტული ვითარების მხედველობაში მიღებით, რომელშიც მიყენებული იქნა ზარალი, სასამართლოები ყოველთვის არ ასაბუთებენ ასეთ გადაწყვეტილებებს.

ხშირად სასამართლოები არ ახდენენ ზარალის წარმოშობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამორკვევას, მათ იშვიათად გამოაქვთ კერძო დადგენილებები, მიმართული იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ, რომლებსაც ადგილი აქვს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასთან, დაცვასთან, გადაზიდვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც მცირდება სასამართლოების პროფილაქტიკური მუშაობა სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

აღნიშნულისა გამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მუშებზე და მოსამსახურეებზე იმ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების დაკისრების შესახებ საქმეთა განხილვისას, რომელიც მათ მიაყენეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სასამართლოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გამოარკვიონ გარემოებანი, რომლებზედაც დამოკიდებულია მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და პირობების დადგენა, აგრეთვე ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრა.

2. ყველა შემთხვევაში, როცა მუშაკი თვლის, რომ ადმინისტრაციამ თავისი განკარგულებით უსაფუძვლოდ მოახდინა ხელფასის ან რაიმე სხვა თანხის დაქვითვა ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე ისეთ შემთხვევაში, როცა მუშაკი სადაოდ ხდის დაკავებული თანხის ოდენობას, მას ამ დავის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ წინასწარი განხილვის შესახებ წესების დაცვით (შრომითი დავების განხილვის წესის შესახებ დებულების 31-ე მუხლი) შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმ თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, რომელიც მას არასწორად დაუკავეს.

უკეთუ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არსებობს შრომითი დავის კომისია, მუშაკს უფლება აქვს ასეთი სარჩელით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს.

3. თანახმად სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილებისა „იმ ზარალისათვის მუშებისა და მოსამსახურეების ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მათ მიაყენეს დამქირავებლებს“, საკითხს მუშაკის მიერ ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების შესახებ, დავის არსებობის შემთხვევაში, წყვეტს უშუალოდ სასამართლო ადმინისტრაციის სარჩელის საფუძველზე.

ამასთანავე სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციის განკარგულებით ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურება წარმოებს ხელფასიდან ან რაიმე სხვა თანხიდან, რომელიც მუშაკს ერგება საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან. ამ გარემოებათა დადგენის შემთხვევაში მოსამართლემ უარი უნდა უთხრას სასარჩელო განცხადების მიღებაზე.

4. საქმეები ქონებრივი ზარალის სრული ოდენობით ზღვევინების შესახებ, რომლებიც მიღებულია სასამართლოს წარმოებაში ქვემდებარეობის წესების დაცვით, არსებითად უნდა იქნეს განხილული აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა საქმის განხილვისას დადგინდება, რომ მუშაკს უნდა დაეკისროს არა სრული, არამედ მხოლოდ შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა.

5. მუშაკის ისეთი მოქმედებებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ საქმეთა განხილვისას, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობის ნიშნებს (სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი), სასამართლომ ადმინისტრაციას უნდა მოთხოვოს სათანადო დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მუშაკის ბრალეულობა მითითებულ ქმედობათა ჩადენაში დადგენილია სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების წესით.

დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას, აგრეთვე წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმის ამ მოტივით შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოს საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის დროს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების შესახებ ზემოთ მითითებული კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით (ხელშეკრულება მუშაკის მიერ თავის თავზე სრული მატერიალური პასუხისმგებლობის აღების შესახებ, სპეციალური კანონი სათანადო კატეგორიის მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ).

იხილავს რა საქმეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს მუშაკს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა აგრეთვე ისეთ შემთხვევაში, როცა მის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მუშაკი კანონით დადგენილი წესით თავდებ ქვეშ გადაეცა საზოგადოებრივ ორგანიზა-

ციას ან მშრომელთა კოლექტივს გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად.

6. სსრ კავშირის ცაკ-სა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე ზარალის ანაზღაურების შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლო მოვალეა შეამოწმოს — რა სახის ზარალისათვის და როგორი ოდენობით არის დაწესებული მუშაკის ქონებრივი პასუხისმგებლობა სპეციალური კანონით ან დადგენილებით, და ეკუთვნის თუ არა ის ამ სპეციალური კანონით თუ დადგენილებით გათვალისწინებულ მუშაკთა კატეგორიას.

7. „სახელმწიფოს მოტყუების ფაქტების თავიდან აცილებისა და გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე ანგარიშების სისწორეზე კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცკ-ისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 მაისის № 440 დადგენილების შესაბამისად, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებზე, მთავარ ბუღალტრებზე, საგეგმო და საფინანსო განყოფილებათა უფროსებზე გაცემული პრემიები ანგარიშგებაში მიწერების გამოვლინების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გადახდევინებული. ამასთან დაკავშირებით სარჩელები უკანონოდ მიღებული პრემიების გადახდევინების შესახებ, დავის არსებობისას, განიხილება სასამართლო წესით.

8. ისეთ საქმეთა განხილვისას, რომლებიც შეეხება მუშაკთა მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურებას ხელშეკრულების საფუძველზე (საბჭოთა კავშირის ცაკ-სა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 12 ივნისის დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი), სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ეკუთვნის თუ არა მოპასუხე იმ მუშაკთა კატეგორიას, რომლებთანაც შეიძლება დადებულ იქნეს წერილობითი ხელშეკრულება იმ ფასეულობათა დანაკლისისათვის სრული ქონებრივი პასუხისმგებლების შესახებ, რომლებიც მუშაკს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ გადაეცა შესანახად ან სხვა მიზნით, და იყო თუ არა დადებული ასეთი ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, როცა ზემოაღნიშნული პირობები დაცული არ არის, მუშაკს დაეკისრება შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის მუშაკის ქონებრივი პასუხისმგებლობა სრული ოდენობით მიუხედავად ხელშეკრულების დადებისა.

9. თანახმად კანონმდებლობისა, რომელიც შეეხება მუშაკის ქონებრივ პასუხისმგებლობას მასალებისა და ნაკეთობებისათვის და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იმ ქონებისათვის, რომელიც მას სარგებლობაში გადაეცა (სსრ კავშირის ცაკ-სა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 ივნისის დადგენილება „შრომის კანონმდებლობის ზოგიერთ ცვლილებათა შესახებ“), ფულადი თანხების დაკავება ზარალის დასაფარავად წარმოებს უშუალოდ ადმინისტრაციის განკარგულებით ხელფასიდან და ყოველგვარი სხვა თანხიდან, რომელიც მუშაკს ერგება საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან. უკეთუ დაქვითული თანხა მუშაკის განთავისუფლებისას არ ფარავს მთლიან ვალს, მაშინ დანარჩენი ნაწილის გადახდევინებას აწარმოებს ადმინისტრაცია გამარტივებული წესით მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მიხედვით.

ადმინისტრაციას იმ შემთხვევაში აქვს უფლება შეიტანოს სასამართლოში სარჩელი საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან დათხოვნილი მუშაკის მიმართ ასეთი ზარალის ანაზღაურების შესახებ, როცა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ზარალის გამარტივებული წესით გადახდევინების შესაძლებლობა ან როცა მის (ადმინისტრაციის) მიერ გაშვებულია ნოტარიუსის საალსრულებო წარწერის მიღების ვადა.

10. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს წარადგინოს სასამართლოში სარჩელი მუშაკის მიმართ საქვეანგარიშო და საავანსო თანხების გადახდევინების შესახებ, თუ გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ დავალიანება დაფარული იქნეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის იმ ზარალის საზღაურის გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვისას, რომელიც მათ მიაყენეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ზარალის წარმოშობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოაშკარავებას და დასვან სამეურნეო, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ მიმართულ სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე — ნ. მოროზოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა—

სოფლის მოსამართლე

ვაჟა ფშაველას ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მის იურიდიულ საქმიანობას უკავია. ამ წერილში აღნიშნულ საკითხის[1] დეტალურ განხილვას ჩვენ არ ვაპირებთ, შევეხებით მხოლოდ ვაჟას მიერ სოფელში მედიატორეს და სოფლის მოსამართლის მოვალეობის განხორციელების საკითხს.

ფშავ-ხევსურეთში რაზიკაშვილების ოჯახი ძველთაგან პატივისცემით სარგებლობდა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ოჯახის წევრებს განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა. ვაჟას მამას — სოფელში სისტემატურად ასახელებდნენ მედიატორედ, ირჩევდნენ, სოფლის მოსამართლედ. მას მრავალი დავა გადაუწყვეტია ქონებისა და მიწის გაყოფის შესახებ. **ლუკას** ერთმა შვილმა გიორგიმ იურიდიული განათლება მიიღო და თბილისში ვექილობდა. იურიდიული განათლების მიღების სურვილი ვაჟასაც დაებადა, რომელიც ამ მიზნით პეტერბურგს გაემგზავრა 1883 წელს.

გლეხობაში დიდი ნდობით და სიყვარულით სარგებლობდა ვაჟაც. გლეხობა ენდობოდა ვაჟას, სჯეროდა მისი. ამ გარემოებას ნათლად ადასტურებს მისი თანამედროვეთა მოგონებები. „მამაჩემი ბატატარ თორღვაშვილი — იგონებს სოფ. საკობიანის მცხოვრები მოსე თორღვაშვილი.—და ვაჟა დიდი მეგობრები იყვნენ... ჩვენ მაშვინ დედისფერულოში ვცხოვრობდით, ჩვენი მომიჯნავე იყო ქისტების სოფელი ჯოყოლი. ქისტებსა და ჩვენს შორის ხშირი იყო ურთიერთ თავდასხმა და მკვლელობა.

მამაჩემმა რომ ვერაფერი გააწყო ვაჟას წერილი გაუგზავნა ჩარგალში. 1909 წლის ზაფხულში ვაჟა ჩამოვიდა, შეჯდა მამაჩემის თეთრ ცხენზე და ხმალ-ხანჯლიანი მივიდა ჯოყოლის კანცელარიაში.... გადამწერ არჩილ ცხადაძეს უთხრა, რომ მამასახლისმა ხვალისათვის მთელი ქისტები ბალთა გორასთან შეკრიბოს და თვითონაც მეახლოსო.

მეორე დღეს ბალთა გორასთან თავი მოიყარეს ფშაველებმა და ქისტებმა. მეტ წილს იარაღი ქონდა ასხმული. ვა-

[1] ეს საკითხი ჩვენს მიერ დეტალურადაა გაშუქებული ჟურნალ „ცისკრის“ 1961 წლის № 7-ში, „ვაჟას იურიდიული საქმიანობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამ ბევრი იქადაგა და ბოლოს თქვა: „ამიერიდან არ გავიგო რჩოლა და ქიშპობა თქვენს შორიო“. მერე ყორღნები თვითონ ჩაყარა და ჩვენც და ისინიც დაგვაშოშმინა“.[1]

ჩარგალში, აფშხუში, პანკისში, მატანში და სხვა სოფლებში მცხოვრებ ძოხუცებს ვაჟა კარგად ახსოვთ და ბევრი მოგონებებია იმის შესახებ თუ როგორ ასახელებდნენ მას თანამემამულეები ერთმანეთში დავების დროს მედიატორად, როგორ ირჩევდნენ სოფლის მოსამართლედ. არსებობს ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სოფელში ვაჟას სამოსამართლო მოღვაწეობას. „1899 წლის 18 ენკენისთვეს, — აღნიშნულია ერთერთ ხელშეკრულებაში, —ამოვირჩიეთ მედიატორედ... სოფელ ჩარგალში მცხოვრებელი... გიორგი ნადირის-ძე რაზიკაშვილმა და მისმა ბიძის ნინია რაზიკაშვილის მეუღლემ — ფარანგოზმა, ჩარგალშივე მაცხოვრებელი ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილი“.[2] ხელშეკრულებიდან ირკვევა რომ გიორგი და ფარნაო რაზიკაშვილები გაყრას აპირებდნენ და ვაჟა მედიატორედ აურჩევიათ. ორივენი გამოთქვამენ რწმენას, რომ ვაჟა კეთილსინდისიერად შეასრულებს დავალებას, წინასწარ აცხადებენ, რომ შემდგომში ამ საკითხებზე დავას არ წამოჭრიან და უსიტყვოდ დაემორჩილებიან მის განაჩენს. ხელშეკრულებას ხელს აწერენ მოდავეები და იგი დამოწმებულია ჩარგლის ნაცვალი ხთისო ზურაბაშვილის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით. ვაჟას მედიატორეს როლი შეუსრულებია და გამოტანილი აქვს განაჩენი, რომლის ტექსტი შოგვყავს მთლიანად:

„განაჩენი 1899 წლის ენკენისთვის 18-სა, მე ამის ხელისმომწერმა სოფელ ჩარგალში მცხოვრებელმა, ლუკა პავლეს-ძე რაზიკაშვილმა, გიორგი ნადირის-ძე რაზიკაშვილისა და მისი ბიძის ნინია რაზიკაშვილის ქვრივის ფარანგოზისა მედიატორედ ამორჩეულმა პირმა, განვიხილე რა ჩემთა ამომრჩეველთა უძრავ მოძრავი ქონება, ვიხელმძღვანელე წინანდელი განაჩენით, როდესაც ფარანგოზი ჩაჰბარდა გიორგის მაშინ დაწერილით და დავადგინე შემდეგი განაჩენი: სადგომი სახლი დავაფასე ოთხი თუმანი, სახლი გიორგიმ დაიგდო, ხოლო ფარანგოზს უნდა მისცეს საქცევი ორი თუმანი. 2) ზეითა წისქვილის ქვა ფარანგოზის საკუთრება აღმოჩნდა, ხოლო კარადის საქცევი ჰმართებია ფარანგოზს ოთხი მანეთი გიორგისი და რადგანაც წისქვილის ქვა ოთხ მანეთზე მეტი არ ღირს და ფარანგოზმაც ისურვა, წისქვილის ქვა გიორგის მივეცი. 3) ფარანგოზს ერგო ოთხი ქობი — ორი პატარა ორი დიდი, ერთი ასტამი, ერთი საფხეველი, ერთი ზედადგარი, ორი შამფური, ერთი ვარია ხისა, ერთი საკადელი. 4) მარიამისა, გიორგის ცოლისა აღმოჩნდა სასახელოდ დახარჯული ოცდარვა მანეთი, ეს სულზე გაუყავ... ფარანგოზს შევახვედრე ერთი თუმანი და (10 მ. და 50 კაპ.) გიორგის უნდა მისცეს ფარანგოზმა. 5) საქონლიდან ფარანგოზს ერგო; უღელი ხარი, ერთი შავი, ერთი წითელი, ოთხი ფური, ორი ჭრელი დეკეული, ერთი გამაკული და ერთი გასამაკი, ორი მოზვერი და ორიც ხბო. ამათგანი ორი მოზვერი, რადგან გიორგიმ ცხენი გაუყიდა ფარანგოზს ინაში მივეცი. 6) სამი კოდი წმინდა პური, წელსვე როცა გაჰლეწავს, გიორგიმ უნდა მისცეს ფარანგოზსა. 7) სატანი: ყველი, ხაჭო და ერბო-კარაქი სულზე უნდა გაიყვან: 8) ფარანგოზს ერგო ერ-

[1] „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წელი, 28 ივლისი, № 31 გ. ასათაშვილის წერილიდან „როგორ შეარიგა ვაჟამ მოქიშპენი“.

[2] ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერი ფონდი 15607—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი საარაყე კოდი. 9) ფარანგოზს ერგო ოცდაცამეტი ცხვარი, რომელიც გიორგისთან არის ბუჭუჭყინდაში, გიორგის დაედვა ფარანგოზის ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. 50 კ.) ეს არის ჩემი განაჩენი, რაზედაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი.

1899 წ. ენკენისთვის 18-სა ვამოწმებ ხთისო ზურაბაშვილი.[1]

ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ მუშაკს — ნინო ჩიხლაძეს სოფელ აფშხუს მცხოვრებ ტუგრიელ რაზიკაშვილიდან მიუღია ვაჟას უბის წიგნაკი, რომელიც ამჟამად იმავე მუზეუმის ხელნაწერების ფონდში ინახება.[2] უბის წიგნაკში არის გაკეთებული 40-მდე ჩანაწერი მიწების განაწილებისა და საზღვრების დაწესების შესახებ, უფრო სწორად არის დაწერილი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიტანა სოფლის მოსამართლეებმა მიწების განაწილების დროს. ჩანაწერები შესრულებულია ვაჟას ხელით და წარმოადგენდა მთელ დოკუმენტაციას რომელიც მიწების განაწილებასთან დაკავშირებით ხდებოდა. უბის წიგნაკის 33-ე გვერდზე ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს: „მწარია ჟამურაშვილის ქვრივს, ქალიკელას ერთი მამული კარებზედ მივეცით ჭალაში და მეორე ჩარგლის თავს. ქავთარასა და გოდერძის მამულების შუაზედ, ბარის მამუქს ორი ათიანი (ალბათ საქენია მხედველობაში ვ. ყ.) დააკლდა და ჩარგლის თავს რომ მამული მივეცით იქედან შევათავეთ“.

უბის წიგნაკის მე-5 მე-7 გვერდზე აღნიშნულია, რომ ჩარგლის მთების გაყოფა ხალხის სურვილით მოხდა და „ჩვენ გავასწორეთ როგორც თვითონ გადაწყვიტეს“-ო.

ვაჟას ჩანაწერების მიხედვით, მას და სოფლის სხვა მოსამართლეებს ჩარგლის გლეხობის მოთხოვნით მოუხდენიათ ჩარგლის თითქმის მთელი მიწების გაზომვა — გადანაწილება და თვითეულ ოჯახს მიეცა „სამი სრული მამული“. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ჩიხლაძე აღნიშნავს, რომ: „მიწის განაწილება ფშაველ გლეხებს შორის ხდებოდა შინაური, ამორჩეული, სინდისიერი კაცების საშუალებით, რომელნიც ერთგვარ მედიატორეს როლს ასრულებდნენ სოფლად“. აქვე გამოთქმულია აზრი, რომ: მთაში დიდხანს ქონდა მოკიდებული ფეხი თემურ წყობილებას, მთავრობა მიწების განაწილების საკითხში ვერ ერეოდა და ასეთს გლეხობა აწარმოებდა თავიანთივე ამორჩეული მედიატორების მეშვეობით.

ვაჟას უბის წიგნაკს და შიგ ჩაწერილ გადაწყვეტილებებს თარიღი არა აქვთ აღნიშნული. 44-ე გვერდზე დაწერილ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება ბეწინიკა ღაღიაშვილზე და ბარდანა მარტიაშვილზე მიწების განაწილებას ნათქვამია, რომ შალვა მარტიაშვილი შირაქში წავიდა საცხოვრებლად და ამიტომ მათზე მიწის განაწილებაში დაშვებულია შეცდომა. თუშ-ფშავ-ხევსურების შირაქში დასახლება, რომელნიც ვაჟას ინიციატივით მოხდა, ძირითადად 1906 წელს დამთავრდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებით უნდა დავასკვნათ, რომ მიწების განაწილება მოხდა 1906 წელს, ან უკიდურეს შემთხვევაში 1907 წლის გაზაფხულზე.

ვაჟას მედიატორეობა და სამოსამართლო შუამავლობა შირაქში დასახლებულ ფშაველებთანაც გაუწევია და 1905—1914 წლებში ბევრი საკითხი მოუგვარებია, რომელიც ეხებოდა მიწადმოწყობასა და ქონების გაყოფას.

---

[1] ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერი ფონდი 230—$_2$, 15607—6.

[2] ლიტერატურული მუზეუმის ხელთნაწერი ფონდი № 15663—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა წლების განმავლობაში შირაქში დასახლებულ ფშაველების ოფიციალურ წარმომადგენლად ითვლებოდა და, გარდა გლეხთა შორის შუამავლობისა, იგი ოფიციალურად აწარმოებდა საქმეებს სასამართლო და სახელმწიფო ორგანოებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ვაჟა წერდა, რომ „ქედში მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის... საუბედუროდ ყველა არ მიეგება სიხარულით ამ საქმეს. და ზოგიერთი მოხელე ქართველთაგანი.... ავაზაკურად ეპყრობა ქედელებს... დღეს რა გაეწყობა უნდა გავიხსენო ეს უმსგავსო საქმე, რამაც მე ძალაუნებურად ქედელების ვექილად გამხადა.[1] ვაჟას აქტიური იურიდიული საქმიანობა ხელს არ აძლევდა შირაქის მიწების დატაცების სურვილის მქონე პირებს და მათ ამ ნიადაგზე ვაჟას ბევრი უსიამოვნება მიაყენეს. ეს პირები ცდილობდნენ შირაქის ახალშენის ფშაველების ვაჟას წინააღმდეგ განწყობას და ამ მიზნით მიმართავდნენ ცილისწამებასა და შანტაჟს. 1914 წელს ერთერთ გაზეთში ვაჟას მტრებმა მოათავსეს ცილისმწამებლური წერილი, თითქოს ვაჟა გლეხების ფულებს ითვისებდა[2] ამას ვაჟამ სათანადო პასუხი გასცა. საზოგადოებისათვის გარკვეული გახდა, რომ ფშაველებმა ვაჟას თვით მოუგროვეს 2400 მანეთი, მაგრამ მან აქედან მხოლოდ 800 მანეთი აიღო, ის თანხა რაც დასჭირდა მას საქმის წარმოებისა და გზის ხარჯებისათვის.[3]

მართლმსაჯულების განხორციელების საუკეთესო საშუალებად ვაჟა სამედიატორო სასამართლოს თვლიდა. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ვაჟას მიერ შედგენილ „ფშავ-ხევსურთა“ დეკლარაციაში ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დეკლარაციის § 3-ში ვკითხულობთ: „ჩვენ უნდა გვქონდეს მედიატორული სასამართლო. ყველა სოფელში მოჩივარი და მოპასუხე გაასამართლოს თავიანთივე მეზობლებმა, ხოლო საქმე — (აქ მხედველობაშია დანაშაულის ჩამდენთა მიმართ აღძრული საქმე ვ. ჟ.) — განიხილოს ყრილობამ. ყრილობამ ხმის უმრავლესობით უნდა გადასწყვიტოს და დამნაშავეს სასჯელი მიუსაჯოს. ამიტომ არავინ ჩვენგანმა არ უნდა იჩივლოს არც სუდში, არც ნაჩალნიკთან, არც პრისტავთან, არც მიროვოი პოსრედნიკთან და არც სხვა მოსამართლესთანა.[4]

ვაჟამ ბევრი გააკეთა სამართლიანობის განხორციელებისათვის იურიდიული მოღვაწეობით საერთოდ და კერძოდ იმ სამოსამართლო საქმიანობით, რომელსაც იგი სოფელში ეწეოდა.

ვ. ჟვანია

---

[1] „სახალხო ფურცელი“ 1914 წელი. № 132.

[2] გაზეთი „ხმა კახეთისა“ № 169, 1914 წლის ივლისი.

[3] გაზ. „სახალხო ფურცელი“ № 132, 1914 წელი.

[4] გაზ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. 12 დეკემბერი, ო. ლოლაშვილის წერილი. ჟურნალი „მნათობი“ № 3. 1961 წ. გ. ნადარეიშვილის წერილი „ვაჟა ფშაველა და რევოლუციური მოძრაობა ფშავ-ხევსურეთში“.

ა. აბესაძე, შ. ესიტაშვილი

ნარკვევი

1

მდინარის დატბორილი ნაპირები ლელიანს დაეფარა. ალაზნის ჭალა საამოდ შრიალებდა და ლოდებზე დაქანებული ტალღების ბებრულ ხვივლს ნაზ მოძახილს ეუბნებოდა. ასწლოვან გამხმარ ვერხვზე ბებერი ქედანი გარინდულიყო. უჩვეულო ხმაურმა შეაფრთხო, ფრთები ზანტად დააქნია და ციხაკენ დუნედ აიწია.

ცისფერმა „პობედამ“ გზიდან გადაუხვია და ბალახმორეული რიყის ჭრელ პერანგზე მტვრის გრძელი კუდი გაათრია. მანქანიდან გამომძიებელი ირაკლი ბექაური და რამდენიმე ოპერატიული მუშაკი გადმოვიდა. ახალგაზრდა კაცი იყო, გამხდარი, წელში გამართული. სიცხისაგან შეწუხებულმა ბექაურმა ნოტიო ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ცას ახედა. ცივგომბორის კალთებიდან დაცურებული ტყვიისფერი ღრუბლები ახლოვდებოდა. ქარს წამოყოლილი წვიმის პირველი წვეთები „პობედას“ ხალებივით დაეჩნდა.

ის პირქვე იყო დამხობილი. კეფაზე პატარა ხვრელი ჩანდა. ჭრილობიდან გადმოსულ სისხლს კისერი ჩაერბინა და შემხმარიყო. მარცხენა ხელიც, რომელიც თავზე შემოეჭდო, ალბად, სიკვდილთან გაბრძოლების უკანასკნელ წუთებში, წითლად შეღებოდა.

იქაურობა გულდასმით მოჩხრიკეს. არც ფეხის კვალი, არც სხვა რაიმე საეჭვო არ ჩანდა. ნაცრისფერმა სამძებრო ძაღლმა „ჯომ“ გვამს გარშემო დიდხანს უტრიალა, შემდეგ იქვე ჩაცუცქდა და გაინაბა.

ფიქრში წასული გამომძიებელი ლოდზე ჩამოჯდა. პაპიროსის კოლოფი ამოიღო. ხელიდან დაუვარდა, ასაღებად დაეწოდა. შენიშნა, ფეხსაცმელზე სველი ბალახის ღეროები მიკროდა. მოიცილა და კი არ გადაყარა... დაკვირდა. ძირები სამართებლით გადაჭრილს უგავდა. ალღომ უგრძნო, ტყვიისაგან უნდა ყოფილიყო. თვალი ირგვლივ მიმოავლო.

— ბიჭებო, ბარი! — გასძახა ამხანაგებს.

გათხრა ფრთხილად დაიწყეს. შავმა მიწამ ირაკლის ხელები დაუსველა. ცოტაც და ნალივით გაღუნული ტყვია ფრთხილად ამოიღო. ეს იყო ამ სისხლიანი დრამის უტყუარი მოწმე — ტყვიის მსგავსი ლითონის პატარა ნაჭერი.

მზეს თალხი ღრუბელი ფარდასავით ჩამოეფარა. ჩამობნელდა და ალმაცერი კოკისპირული წვიმის მსხვილი წვეთები ჭალის ასწლოვან ხეთა მწვანე ქოლგებში ისრებივით შეიჭრნენ. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. გადაიღო. ალაზნის ველზე ასე ხშირად ხდება, განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში. ნაცრისფერი ღრუბელი მალე დაიწურა, დაიძენძა და კუდიგორისაკენ ზოზინით გადაცურდა.

ირაკლიმ მდინარეს გადახედა. ალაზანი ამღვრეული და გულჯავრიანი გამხდარიყო.

2

გაღუნულმა ტყვიამ კრიმინალისტები დააინტერესა. პრაქტიკაში ასეთი სახეცვლილი ტყვიების შემოწმება არც თუ ხშირი იყო. ექსპერტმა გივი ჯაფარიძემ ლითონის პატარა ნაჭერი ყურადღებით შეათვალიერა.

— საექიმო ექსპერტიზამ რა დასკვნა მისცა? — იკითხა მან და კარადიდან რაღაც სქემები და წიგნები გადმოიღო.

— მკვლელობა ცეცხლმსროლელი იარაღით მიღებული ჭრილობისაგან არის გამოწვეული,— უპასუხა ირაკლიმ, — ეტყობა, ძალზე ახლო მანძილიდან, ალბად, წაქცევისა ან წაბორძიკების დროს ესროლეს. ჭრილობის შესავალი ხვრელთან თმა შეტრუსულია, შუბლის არედან გამოსული ტყვიაც გვამთან ახლოს ვნახეთ.

—ამ სქემას დახედეთ?

ირაკლი მაგიდას მიუახლოვდა. სქემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ფორმისა და ზომის დეფორმირებული ტყვიების მთელი ფოტო-კოლექცია იყო. ცხრილის მარცხენა მხარეს ზემო სვეტში რამდენიმე გაღუნული ტყვიის ფოტო-სურათი თავის ფორმით შემთხვევის ადგილზე ნაპოვნს ჰგავდა.

— როგორი მსგავსებაა, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— დიახ, ეს შაშხანის ტყვიაა, თქვა კრიმინალისტმა და თვალები ოდნავ მოჭუტა, — დეფორმაცია ლულაგადაჭრილმა თოფმა გამოიწვია. აბა, კარგად დააკვირდით, ტყვია ლულის ტუჩის გადახერხვის შედეგად წარმოქმნილ ფხისმაგვარ ნარჩენებს გაუფხაჭნია. აი, განაკაწრები რა კარგად ჩანს.

— მაშ ლულაგადაჭრილი შაშხანა უნდა აღმოვაჩინოთ?!

— ბუნებრივია, სხვა ხელჩასაჭიდი ჯერჯერობით არა გვაქვს...

3

ირაკლი ბექაური თავის სამუშაო ოთახში ჩაკეტილიყო. მაგიდაზე ყდაში ჩაკერებული საქმეები ელაგა. კუთხეში ჭიგოს გუდურასავით შეკრული თოფები ეწყო. ზოგი ნადირობის წესების დარღვევისას ჩამორთმეული, ზოგიც დაჭრისა თუ სხვა დანაშაულობათა გამო მოხვედრილიყო პროკურატურაში.

გამომძიებელი ხელში გაღუნულ ტყვიას ატრიალებდა. კვალზე დადგომას ამ ერთადერთი ნივთმტკიცებით ცდილობდა. სოფელში შაშხანის ძებნა იოლი არ იყო. მართალია ორი-სამი კაცი შემჩნეული ჰყავდათ. დაუდგენელი საბუთებით იცოდნენ, მძარცველობდნენ, ქურდაცაცობდნენ და სხვისი ქონებით ხელს ითბობდნენ. მარტოს მაინც არ უნდოდა, საქმე გადაეკრა. დღეისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დათა ხმიადაშვილი და მილიციის ლეიტენანტი ქერა მიტო ციხისელი ამისათვის დაიბარა. სამი კაცი უკეთ განსჯის, კვალს უკეთ მიაგნებენ. ერთი კი ნათელია, კოლმეურნეობის ოთხი ძროხა გაიტაცეს, მოკლეს მენახირე სიმონ ზირაქიშვილი. უცხონი რომ ყოფილიყვნენ, მენახირეს არ მოკლავდნენ. შინაურები ხომ სიმონასაც კარგად ეცნობებოდა. ბოროტგანმზრახველებმა, კვალი რომ დაეფარათ, პატიოსანი კაცი სიცოცხლეს გამოაცალეს. მაშ დამნაშავეებიც მისსავე სოფელში უნდა ეძებნათ.

კაბინეტში ლეიტენანტი ციხისელი შემოვიდა. მას დათა ხმიადაშვილიც ფეხდაფეხ მოჰყვა. სამუშაო მაგიდას შემოუსხდნენ. ერთხანს ჩუმად იყვნენ.

— რას გვეტყვი, ირაკლი? — როყიო მაგრამ კეთილი ხმით თქვა დათამ.

— მკვლელები სად ვეძებოთ?

— სად უნდა ვეძებოთ. შინაურის ხელი უნდა ერიოს. რომელიმე მათგანი ჩვენივე სოფლელი იქნება.

— მეც ასე ვფიქრობ — დაადასტურა მიტომ.

— კარგი, მაგრამ ეს სოფლელი ვინ არის? ეჭვი ვისზედ გაქვთ? თოფი ვის უნდა ჰქონდეს?

ციხისელმა თავი მოიფხანა.

— ეჭვი, ეჭვი კი მაქვს. ამით რას გავხდებით. ჩხრეკას უსაბუთოდ ხომ არ დავიწყებთ.

— საბუთიც გამოჩნდება.

მიტო ჩაფიქრდა. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეხედა.

— დათა, ჭიპაშვილი რა კაცია?

— ვერაფერი შვილი. უკადრისს იკადრებს, ხან აღმაა, ხან დაღმა, მუშაობით თავს არ იწუხებს. ქურდობაშიც შემჩნეულია. ხელის მოთბობას კოლმეურნეობის ქონებაზე შეეცადა. „ყურები ავუწიეთ“. ეგეთ კაცს თოფიც ექნება და ზარბაზანიც.

— კარგი კაცი არც ვარდენ ხატიაშვილი ჩანს.

— ჭკუა ვერ იქნა და ვერ ისწავლა. მეორე წელია მძღოლად ვამუშავებთ, მაგრამ რა, ავტომანქანა უმეტესად შეკეთებაზეა.

ირაკლი ყურადღებით ისმენდა. ეჭვმიტანილებზე კარგი შეხედულება არც მას ჰქონდა, ესიამოვნა, მათი აზრი რომ დაემთხვა, მაგრამ საქმისათვის სხვა მხრიდანაც უნდა მოევლო. აბა ოთხ ძროხას ფეხით ხომ არ გარეკავდნენ, არც ახლო-მახლო დატოვებდნენ. შორი მანძილისათვის კი ტრანსპორტი იყო საჭირო.

— დათა, კოლმეურნეობას რამდენი ავტომანქანა აქვს? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ორი, მაგრამ როგორც გითხარი მხოლოდ ერთი მუშაობს.

— მძღოლად ვინ არის?

— კაკო ზირაქიშვილი, სიმონის მოგვარე.

— მკვლელობის დროს მანქანა ადგილზე თუ იყო?

— რა თქმა უნდა, დღისით ვამუშავებთ, ღამით გარაჟში დგას.

— გარაჟში ნამდვილად კი იყო?

— ყარაულია გამოყოფილი.

— სიმონას ოჯახში ვინ დარჩა?

— ცოლის მეტი არავინ.

— მეტი, სხვა რაიმე ცნობა ხომ არაფერია? — ახლა ქერა ლეიტენანტს მიუბრუნდა გამომძიებელი.

— არაფერი. მანქანისა და ძროხების კვალს მეზობელ რაიონებშიც ვეძებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაკითხვა — თავისთვის ჩაილაპარაკა ბექაურმა და ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. დაფიქრებულმა ალაზნის ჭალას გადახედა და გაირინდა.

4

ხასხასა მოლით დაფარულ ეზოში შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ხელი ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნასთვის ჩაევლო. გზისპირას, იქ სადაც რუ მოჩხრიალებდა, შეჩერდა. პატარას სევდიანად ჰკითხა:

— ზურიკო, ჩემთან ხშირად მოხვალ? შენთვის წითელი ვაშლები ყოველთვის მექნება.

— კიდევ მოვალ ჩენთან! — ენის ჩლიქინით უპასუხა ბუთხუზა „მექრთამემ“. შემდეგ ხელი გაინთავისუფლა. ჩხრიალაზე გადებულ ბოგირისკენ გაიწია, უნდოდა გზაზე გადამხტარიყო და სახლისკენ მოეკურცხლა. გზაზე მანქანა გაჩერდა. ბავშვი პრიალა „პობედას“ და მანქანიდან გადმოსულთ ცნობისმოყვარედ დააკვირდა. ირაკლიმ პატარას გაუღიმა. ალერსით თავზე ხელი გადაუსვა.

— ვისი ბიჭი ხარ.

— პაპა აღალოსი და ბებია მალთასი. —

— თქვენ ბრძანდებით ნინო ზირაქიშვილი?— ახლა ძაძებმოსილ ქალს მიმართა გამომძიებელმა.

— დიახ, ნაღვლიანად უპასუხა ქალმა.

ახლად ქმარმოკლულ ქალს თვალებში ცრემლები გაყინოდა, შუბლზე ჭმუნვისა და წუხილის ნაოჭები დამჩნეოდა. ის თითქოს ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო. ქმრის სიკვდილი, საზარელი სინამდვილე სიზმარივით ეჩვენებოდა. მას შემდეგ ათმა დღემ განვლო. ქმარს კი თითქოს კიდევ ელოდებოდა.

ირაკლიმ მზერა ბავშვზე გადაიტანა. მას დიდრონი წითელი ვაშლი გულში მიეხუტებინა და ცნობისმოყვარე თვალებით კვლავ მანქანას შესცქეროდა.

— ქალბატონო ნინო, ვისია ეს ბავშვი?

კითხვამ ქალი დააბნია. პატარას უხერხულად გადახედა.

— თქვენი რა არის? — ხელმეორედ, ახლა უკვე ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ირაკლიმ.

— ჩემი?... ჩემი არაფერი... სიმონის შვილია.

—სიმონის? მას ხომ თქვენამდე ცოლი არ ჰყოლია?

— შეყვარებული ყავდა.

— შეიძლება სახლში?..

ქალმა ზურიკო რუზე გადასასვლელ პატარა ბოგირზე გადაიყვანა.

— გაიქეცი.

ბავშვმა გაუცინა და მოკურცხლა.

ქალმა მას მზერა გააყოლა შემდეგ გამომძიებელსა და ციხისელს მიმართა:

— მობრძანდით.

მოლს ნელი ნაბიჯებით გაყვნენ. ეზოს ორნაწილად ხეივანი ჰყოფდა. აქეთ-იქით ხეხილი იყო ჩარიგებული. ყველაფერს მზრუნველი და ფაქიზი ხელი, სიახლე და სიხალისე ეტყობოდა. შენობაც, რომელიც ერთადერთი ოთახისგან შედგებოდა წითელი აგურითა და კარგი გემოვნებით აეშენებინათ.

ოთახის კარი რომ შეაღეს უცნაური კრძალვა და რიდი იგრძნეს. ერთი საწოლი, კარადა, მაგიდა, ტანისამოსის საკიდი, რამდენიმე ახალი სკამი, — ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ოჯახის შექმნა ახლად დაეწყოთ. ძველი აქ კუთხეში მდგარი კიდობანი იყო, ეს ერთადერთი ნივთი და სიმდიდრე, რომელიც ბავშვობიდანვე დაობლებულ სიმონს მშობლებისგან სამემკვიდრეოდ შემორჩენოდა.

ირაკლი შეწუხდა, გული ეტკინა, ეს პატარა ოჯახი შექმნისთანავე რომ დაინგრა.

— ის ბავშვი გიყვართ? — თავისდაუნებურად შეეკითხა ქალს.

ნინოს თვალებზე ცრემლები მოადგა. თავი დახარა.

— არავინ დამრჩენია, ეგეც არაა ჩემი.

გამომძიებელი ჩაფიქრდა, თავის შავსა და ახლად შესწორებულ ულვაშებს წიწკნა დაუწყო.

— რა იცით მისი პირველი სიყვარულის შესახებ?

ქალი დუმდა. ეტყობოდა ყოყმანობდა.

— საჭიროა...

5

სიმონი, დედა რომ მოუკვდა, ხუთი წლისა იყო. მამა პირველ ხანებში შვილს დიდი ყურადღებით ექცეოდა, თვითონ ურეცხავდა, უკერავდა, საჭმელს უმზადებდა. დედის ხელი მაინც აკლდა. რაც დრო გადიოდა, მამამისი ცოლზე სულ უფრო მეტად დარდობდა. სასმელს მიეძალა. გალოთდა. ბავშვს გინება, ყვირილი და ცემა დაუწყო. ერთ დღეს ლევანი სახლიდან აღარ გამოსულა. მეზობლებს სიმონის ტირილი მოესმათ. ქოხს მიაშურეს. არყით გალეშილი ლევანი უგონოდ იწვა. სახე წითლად უვარვარებდა. სველი ტილოები დაადეს, ცივი წყალი ასხეს. არაფერმა არ უშველა. სიმონის ერთადერთ მარჩენალს სული ამ საცოდაობით ამოხდა. მკვდარი სოფელმა დამარხა. ისევ ხალხმა იზრუნა. ათი წლის ბავშვი ნახირში გაგზავნეს. ყოველ დღე მორიგეობით თვითეული კომლი სოფლის პატარა მენახირეს საგზლად პურს, ხახვს, მწვანილს, ყველის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჭერს, ზოგჯერ შაშხსაც ატანდა. თვის ბოლოს ფულად გასამრჯელოსაც აძლევდნენ. სოფელს რიჟრაჟზე ჩამოუვლიდა ხოლმე პატარა სიმონი. ოციოდე ძროხას საძოვრად ალაზნის ჭალისკენ გარეკავდა. მათთან თამაშობდა, მათთან ერთობოდა. დამაძღარ პირუტყვს საღამოს უკანვე პატრონს აბარებდა და თავის ფიცრულ ქოხს მიაშურებდა. ყოველდღე ასე მეორდებოდა. ბავშვურ პერიოდს ასე ატარებდა. რომ იტყვიან, ბედი თავიდანვე არ დაყვა. ერთი კია, ისედაც ჯანმრთელი ბავშვი ტყეელმა სულ გააკაჟა. თავის სწორებს ჭიდაობაში ტოლს არ უდებდა. პირველი დიდი სიხარული მაშინ განიცადა, ენისლობას დიდი საყდრის წინ საჭიდაო ფორზე თვრამეტი წლის სრულიად გამოუსვლელმა იმ არემარეში განთქმული მოჭიდავე ბეჭებზე რომ გაშალა. არავინ ელოდა. სოფელმა სხვა თვალით შეხედა. თავი მოიწონა. ქალიშვილებისკენ გვერდით ცქერას უმატა. მაშინ შეუყვარდა ნათელა დარჩაშვილი. უპასუხოდ არ დარჩა, მაგრამ ქედუხრელი და ჯიუტი მამა შეყვარებულთა სურვილს წინ აღუდგა. ობოლ-ოხერის შვილს როგორ გავატანო, იტყოდა აღალო. სხვა ხერხს მიმართეს, ერთად სიარული სხვათა შეუმჩნევლად დაიწყეს. ქალი ფეხმძიმედ შეიქმნა. მუცელი რომ საკმაოდ დააჩნდა, მშობლებს გამოუტყდა. განრისხებულ მამას ტირილით ეხვეწებოდა, სიმონს გამატანეთო. საქმის მოგვარებას დედაც შეეცადა, მაგრამ აღალოს ჯიუტი გული ვერ მოუბრუნეს. თავისი ერთადერთი ქალი სახლში ჩაკეტა. ნათელა დადარდიანდა, დასუსტდა, დაავადდა. ბავშვი კი ეყოლა, მაგრამ თვითონ ვეღარ გაუძლო, მუცელს გადაყვა. სიმონს ბედმა აქაც უმუხთლა. ჯიუტმა აღალომ უბედურ მამას შვილი არამც თუ დაანება, ნახვის უფლებასაც არ აძლევდა. გავიდა დრო. სიმონი თავს ისევ მარტოდ და ობლად გრძნობდა. ტოლამხანაგები ცოლის მოყვანას ურჩევდენ. ბოლოს გადაწყვიტა. მასავით ობოლი მონახა, ნინო. თავს ბედნიერად გრძნობდნენ, მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. მკვლელობის დღეს სიმონი დილით გავიდა. დარჩაშვილების ბინიდან ჩუმათ თავისი შვილი ზურიკო გამოიხმო, უბეში ვაშლები ჩაუყარა, ჩაკოცნა და კოლმეურნეობის ნახირი ჭალაში გარეკა. და უკან აღარ დაბრუნებულა.

— სხვებთანაც ხომ არ ჰქონია რაიმე უთანხმოება? — კითხა ქალს გამომძიებელმა.

— არა, არავისთან.

ირაკლის გატაცებული ძროხები გააზსენდა. თავი უგუნებოდ გააქნია.

გარეთ ძაღლი აყეფდა. მალევე გაჩუმდა. წკმუტუნი დაიწყო. მას უკან დაბრუნებული პატარა ზურიკელა ეალერსებოდა.

6

კოლმეურნეობის საწყობის ეზოში თავთუხისა და დოლის პურის ოქროსფერი ხვავი პირამიდებივით აღმართულიყო. თეთრთავშლიანი ქალები ალაზნის მსუყე ველიდან შემოტანილ წლის მოსავალს ასუფთავებდნენ, თავს დასტრიალებდნენ, აბინავებდნენ. ტომარა — მოკიდებული მამაკაცები დიდი ამბრისაკენ ეშურებოდნენ. გამომძიებლის გამოჩენამ მათი ყურადღება მიიპყრო. იცოდნენ სიმონის მკვლელს ეძებდნენ. გარს შემოეხვივნენ. საწყობ-გარაჟის ყარაული ოთხმოც წელს მიღწეული იულონიც აქ მოსულიყო, კაცი პატიოსანი და მართალი. ტყუილს ვერ ათქმევინებდით. იტყოდა, საიქიოს წავწყდებიო.

გამომძიებელმა იულონის გარდა ყველა დაითხოვა, ღიმილით შეხედა მას და უთხრა:

— ძია იულონ, რასაც შეგეკითხები, ყველაფერზე მართალი უნდა მიპასუხო.

— ეგრე იქნება შვილო, — თქვა მოხუცმა და ორივე ხელით ფიწალს ისე დაეყრდნო, თითქოს ალილოს სათქმელად ემზადებაო.

— რასაც აქ ვიტყვით სხვაგან არ უნდა ითქვას.

—ჩემს გამჩენს ვფიცავ.

ირაკლის გაეღიმა. მოხუცის გულწრფელი სიტყვები ესიამოვნა.

— ძია იულონ, ამ ათი დღის წინ გარაჟიდან სატვირთო ავტომანქანა ხომ არავის გაუტანია ღამით?

მოხუცმა თეთრქულებად ჩამოშვებულ წვერებზე ხელი მოისვა. დაფიქრდა, წვერებში თითები კარგა ხანს აწვალა, ბოლოს თავი აიღო, ხელი შუბლზე გადაისვა და წყნარად თქვა.

— არა, ღმერთმანი არ მახსოვს.

— აბა, კარგად გაიხსენე, იმ დღეებში მანქანაზე იქნებ სისხლი, ან სხვა რამე შენიშნე?

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა.

— ჩემი ცოდვა უნდა ვთქვა. ერთ საღამოს ჩვენმა კაკომ, აი იმ ბიჭმა — იულონმა სუნთქვა მოიბრუნა და საჩვენებელი თითი გარაჟისკენ გაიწოდა, იქ, კოლმეურნეობის მძღოლი კაკო ზირაქიშვილი ავტო-მანქანის ბაკში ბენზინს ასხავდა, — იმას ვამბობდი ჩვენმა კაკომ ავტო-მანქანა თავის ადგილზე დააყენა, დააბინავა და სახლში წავიდა. ჩემს მეტი იქ აღარავინ იყო. ის ოხერი, ჩამძინებოდა. რა ვქნა მოვხუცდი, აღარ ვარგივარ. წასვლა მინდა, სახლში როგორ გავძლო...

შემდეგ? — აჩქარებით კითხა ირაკლიმ.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, — განაგრძო მოხუცმა, — დილით რიჟრაჟზე გამომეღვიძა, აქაურობა დავათვალიერე. უცნაური იყო, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისშვილი არსად ჩანდა. ავტომანქანა ახლადგარეცხილი და ჯერ კიდევ სველი იყო. ეს არის და ეს.

გამომძიებელმა კაკო ზირაქიშვილი მოიხმო. შუბლშეკრულმა უთხრა:

— ეგრე იქნება შვილო — თქვა მოხუცმა.

სიმონის მკვლელობის ღამეს მანქანა სად იდგა?

მძღოლს ფერმა გადაკრა, სახე აელეწა.

— ღმერთმანი არსად, — უპასუხა შეშინებულმა და დაბნეულმა.

— მანქანის შეუმჩნევლად გარეცხვა რისთვის დაგჭირდათ?

ამ კითხვამ ხომ მთლად წაართვა ადამიანის ფერი. იულონმაც შენიშნა. ქვეშეუცნობლად მიხვდა, ეჭვობდნენ. წელში გოროზად გაიმართა.

— აბა, აბა, ეგ ბიჭი არ დამიჩაგრო, ხელი ტყუილად არ დაადო, სოფლის თვალი და ჩინია.

გამომძიებელმა თავი ეჭვიანად გადააქნია.

— მიპასუხეთ!

საღამოს გავრეცხე და დავაბინავე. დილით, ისიც უთენია, რისთვის დამჭირდებოდა.

— მეც მაგას გეკითხებით!

— არა მეთქი, მე არ გამირეცხია.

— იმ ღამეს სად იყავით?

მძღოლს სახეზე ალმურმა აჰკრა.

— სახლში რატომ არ გეძინათ? — გამოსაცდელად შეუტრიალა კითხვა.

სულ დაიბნა. ძლივს ამოთქვა.

— საქმე სხვაგან მქონდა.

— სად?

კაკო ზირაქიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

საწყობის ეზოში კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემოვიდა. ირაკლი რომ შენიშნა, მისკენ გაეშურა.

— ჯერჯერობით თავისუფალი ხართ, — მიმართა გამომძიებელმა მძღოლს და თავმჯდომარეს შეეგება.

— დათა, კვალი თქვენი სატვირთო მანქანისკენ მიდის.

— მართლა? — იკითხა შეშფოთებულმა.

ირაკლიმ დაკითხვის შედეგები მოკლედ გააცნო. დათამ მხრები აიჩეჩა.

— სოფელში ყველაზე პატიოსანი კი ეგ მეგონა.

— ალბად გადააცდინეს. მთავარი დამნაშავე ეგ არ უნდა იყოს.

თავმჯდომარემ შესაკეთებლად მდგარი სატვირთო მანქანასთან მოფუსფუსე მეორე მძღოლს გადახედა. გამომძიებელმა თვალი გააყოლა.

— ეჭვობ?

— ვიტყვი, პატიოსანი კაცი არ არის. იმ ღამეს სახლში არც ეგ ყოფილა. გავიგე.

— დღეს ვერ მოვასწრებ. ხვალ ორივე ჩემთან გამოცხადდეს. თქვენი მოსვლაც აუცილებელია. როგორმე უნდა მოახერხოთ. ნახვამდის.

„პობედა“ საწყობის ეზოდან გამოვიდა. მიმართულება რაიონული ცენტრისკენ აიღო და გზაზე სწრაფად გაიჭრა.

7

ირაკლი სამსახურში დილაადრიან მივიდა ქერა ლეიტენანტი უკვე ელოდა.

— მგონია, კვალს მივადექით. — უთხრა ბექაურს.

— ხელჩასაკიდია?

— კი.

— მაინც?

— მწყემსებს დაუნახავთ, ღამის პირველ საათზე სოფლიდან სატვირთო მანქანა გამოსულა, საურმე ბილიკით ჭალისკენ დაუხვევია და გაუჩინარებულა. განთიადზეც შეუნიშნავთ. ისეთივე მანქანა, იმავე გზით უკანვე დაბრუნებულა, სოფელში შესულა.

— ეს კარგია, — კმაყოფილებით თქვა ირაკლიმ.

— პირუტყვი კოლმეურნეობის მანქანით უნდა იყოს გატაცებული.

— მეც ასე ვფიქრობ. ორივე მძღოლი მაეჭვებს.

— არ მეგონა. სხვა მაფიქრებდა.

— ვინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღალო დარჩაშვილმა, შეიძლება შური ამეა მეთქი.

— მერე და ძროხების გატაცება. სიმონი ამისთვის მოკლეს.

— წმინდა წყლის არც აღალოა, ხარბია და შურიანი. თუმცა ცხვარშია. ფარაშიც მკვლელობის წინა დღეს წასულა.

— იქნებ ყველაფერსაც იკადრებს. მაგრამ მათი მტრობა სოფელმაც იცოდა. ვერ გაბედავდა.

— ახლა მეც ასე ვფიქრობ. მართლა ვარდენ ხატიაშვილი იცდის.

— შემოვიდეს.

კარები გაიღო. ზღურბლზე ხატიაშვილმა გადმოაბიჯა და გაჩერდა.

— ახლოს დაჯექი.

ზლაზვნითა და უგერგილოდ გამოემართა. გეგონებოდათ თოკი ჩაუბამთ და უკან ეწევიანო. სკამზედაც დუნედ ჩამოჯდა.

— გვარი და სახელი? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— ვარდენ ხატიაშვილი.

— წლოვანება?

— ოცდაათის.

რამდენი ხანია შენი ავტომანქანა არ მუშაობს?

— ექვსი თვე.

— 25 აგვისტოს სად იყავით?

— რომელი დღეა?

ბექაურმა ვარდენს თვალებში ჩახედა.

— ის დღე, სიმონს რომ დაუხვდით.

— მე არ დავხვედრივარ!— წამოიძახა შემკრთალმა.

— დიდი ხანია კაკო ზირაქიშვილს იცნობთ?

— ბავშვობიდან.

— სარწმუნო ცნობები მაქვს, დაგინახეს. სატვირთო მანქანა ღამის პირველ საათზე გაიყვანეთ. თქვენს მიერ მოკლული სიმონ ზირაქიშვილის ნახირიდან ოთხი ძროხა გაიტაცეთ და უკან დილის ხუთ საათზე დაბრუნდით.

— ტყუილია.

— დილაადრიან მანქანა რისთვის გარეცხეთ? სისხლის კვალი წაგეშალათ?

— მე არ გამირეცხია — კვლავ ჯიუტად თქვა მძღოლმა.

— ხელს შენ გადებენ.

— სიმონი მე არ მომიკლავს, არა მეთქი.

— მაშ ვინ მოკლა?

ხატიაშვილი შეტოკდა, შებარბაცდა.

— მე არ მომიკლავს მეთქი, — ძლივს ამოთქვა აკანკალებულმა.

— ლულაგადაჭრილი შაშხანა სად გადამალეთ?

სადღაც მტკივნეულად მოხვდა ბრალდებულს: ორივე ხელი სახეზე აიფარა.

— ღმერთმანი, ეგეთი თოფი მე არა მქონია.

— იშოვიდით. რომელმა ესროლეთ შენ თუ?...

— მე არ მისვრია, არა! — აღმოხდა გულიდან და ფეხზე წამოიჭრა.

— მაშ ვინ? კაკო ზირაქიშვილმა? — ხმას აუმაღლა გამომძიებელმა.

— კაკო ზირაქიშვილმა? — ჯერ დაიბნა, შემდეგ აზრები მოიკრიფა და გაბედულად შეუტია. — რა ვიცი, მანქანა თუ იმისია, ის იქნებოდა.

— გარკვეულად!

— მეტი არაფერი ვიცი! — ცივად თქვა და გაჩერდა.

გამომძიებელი კითხვებს კითხვებზე აყრიდა, მაგრამ ეჭვმიტანილი დუმდა.

გამომძიებელმა დაკითხვის ოქმის გაფორმება დაამთავრა.

— გაიყვანეთ!

ბექაური ცოტა რომ დაწყნარდა, საქმეს ჩაუკვირდა. პირველად ყველაფერი მძივებივით ეწყობოდა. დამნაშავის გამოაშკარავებამდე მხოლოდ პატარა ნაბიჯი იყო დარჩენილი. მაგრამ სადღაც შეცდა, სადღაც არა სწორი კითხვა მისცა და საქმე შეირყა. ბრალდებულს სიმტკიცე დაუბრუნდა. ამან ააღელვა და ხასიათი წაუხდინა ბექაურს. მიხვდა, საქმეს დაპირისპირება თუ გამოასწორებდა.

8

დათა ნაღვლიანი და მოწყენილი ესაუბრებოდა ირაკლის. ის აწუხებდა, ჯერ იყო და სიმონის მკვლელობა სოფელს მოუშორებელ ლაქად დააჩნდა, ახლა საეჭვო კვალი იმ კაცთან მიდიოდა, მთელი სოფლის თვალად რომ მიაჩნდა. ვერ წარმოედგინა. ეს კია, ეჭვმიტანილი ორი იყო, ორივე მძღოლი. პირველი არც მკვლელობის დღეს, არც იმ ღამით სახლში არ ყოფილა, ის ღამე სახლში არც მეორე მძღოლს გაუტარებია. ეჭვს არ იწვევდა, თუ ორივე არა, ერთერთი მაინც იქნებოდა ბოროტმოქმედი.

—ხომ არ უარყოფთ, თქვენი მანქანა მკვლელობის მეორე დღეს დილაადრიან ახალი გარეცხილი რომ იყო? — მიმართა ბექაურმა. კაკო ზირაქიშვილს, რომელიც ის იყო ხელახალი დაკითხვისთვის შემოიყვანეს.

— მართალია, ახლად იყო გარეცხილი.

— ღამე სად გეყენათ?

— არსად. მე არ გამირეცხია.

— იმ ღამეს სად იყავით?

მძღოლმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დალოცვილიშვილო, მე რას მიყურებ, — წყენით თქვა დათამ, — თქვი სად იყავი, მოწმე დაასახელე, თავი იმართლე!

ეჭვმიტანილმა თავი ჩაღუნა, ხელი ჩაიქნია.

— ვერ ვიტყვი.

— დაფიქრდით, უბრალო ბრალდება არ არის! — ბრაზიანად თქვა გამომძიებელმა.

— კაცო რას ჩამაცივდით, უცოლო კაცი სად იხეტიალებს არ იცით?

— თქვი, თქვი, — გულიდან იმედიანი სიტყვები ამოუვარდა თავმჯდომარეს.

— არ შემიძლია, საქმეს საქვეყნოდ ვერ გავხდი, — ისევ იუარა ფერდაკარგულმა.

— ვაი ჩემს ღმერთს, შენი ბედი წყდება და ვიღაც ქალის სახელს უფრთხილდები? არა შვილოსა, ეგრე არ იქნება თორემ... — დათამ უიმედოდ ჩაიბუბუნა და მწყრალად გადახედა თავის მძღოლს.

— გამოტყდით! — მკაცრად თქვა გამომძიებელმა, — ხელს თქვენივე ამხანაგი გადებთ, თანამონაწილე.

— ამხანაგი? თანამონაწილე? ვინ?

ირაკლიმ ღილაკს თითი დააჭირა. კარი გაიღო.

— შემოიყვანეთ!

ოთახში ვარდენ ხატიაშვილი შემოვიდა. მაგიდას მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— გაიხსენეთ, წინა დაკითხვაზე თქვით, რომ თოფი შენ არ გისვრია.

— დიახ, იქ არ ვყოფილვარ, საიდან ვესროდი.

— ისიც დაადასტურეთ, მანქანა კაკო ზირაქიშვილისაა, ის იქნებოდაო.

მძღოლებმა ერთმანეთს შეხედეს.

— თქვენს დაკითხვაზე ხელი გაქვთ მოწერილი — შეახსენა გამომძიებელმა.

— თუ იმისი მანქანა ნახეს, იმისი იქნებოდა მეთქი, — უპასუხა და თავი ჩაღუნა.

— მე ვიქნებოდი? — წამოიჭრა ზირაქიშვილი.

— მოითმინეთ! — უყვირა გამომძიებელმა.

— ხატიაშვილო, მკვლელობის დღესა და ღამეს სად იყავით?

— სახლში, — მშვიდად თქვა ვარდენმა და წელში გაიმართა, — დღისით შეუძლოდ ვიყავი, სამუშაოზე ვერ გავედი, ღამე სახლში მეძინა.

—სტყუი, — მიაძახა მეორე მძღოლმა და თვალები მრისხანედ აუელვარდა.

— მგონია იწყება... გაიფიქრა ირაკლიმ.

—ვტყუი? შენ რა ჩემი სახლის ყარაული ხომ არა ხარ, ჩემი ასავალ-დასავალი იცოდე?— შეეპასუხა ხატიაშვილი.

ბექაური ამ სიტყვებს ჩააფრინდა.

— რატომ ტყუის? თქვი, ჩქარა!

კაკო ზირაქიშვილი შეყოყმანდა.

— თქვი უბედურო! — ვეღარ მოითმინა დათამაც.

სახეაწითლებულმა კაკომ თვალები დახარა.

გამომძიებელი ადგილად მიხვდა. საქმე სხვანაირად შეტრიალდა.

ირაკლის ფიქრები კარებზე კაკუნმა შეაწყვეტინა. შემდეგ ნებართვის გარეშე ნელა, სულ ნელა გაიღო. ზღურბლზე ქალი გამოჩნდა. თეთრ სახეზე მისივე თმისფერი წითური ალმური აჰკრავდა, თეძოებზე საზაფხულო თხელი კაბა ვნების აღმძვრელად შემოსალტოდა. მორიდებულად შემოაბიჯა და იქვე გაშეშდა. ალბათ გამომძიებლის მეტს არავის ელოდა.

ირაკლიმ დაუკითხავად შემოსულს მწყრალად შეხედა, ალბად ამ არამკითხეს ყველგან და ყოველთვის სახმარ სიტყვას მიახლიდა „გარეთ დამელოდეთ“, მაგრამ ზირაქიშვილმა დაასწრო:

—ელისო!

—ელისო? — ერთბაშად შეიცვალა ირაკლი. შემოდით!

ქალს უკან დასახევი გზა არ ქონდა. დაბნეული ერთ ადგილზე ტოკავდა. გამომძიებელი მიეშველა, მკლავზე ხელი მოკიდა.

— მობრძანდით. თავაზიანად უთხრა და სკამი შესთავაზა.

ქალი ატირდა. ირაკლი მის დამშვიდებას დაელოდა. ბოლოს თქვა:

— ქალბატონო ელისო, — წყნარად დაიწყო ბექაურმა და თავისივე ხმის თვითონვე გაუკვირდა, — ხატიაშვილსა და ზირაქიშვილს მძიმე ბრალი ედებათ. კაცის მკვლელობა — ქალს ცისფერი თვალები გაუფართოვდა.

—მკვლელობის ღამეს არცერთი საკუთარ სახლში არ ყოფილა .დაკარგული ძროხებიც კოლმეურნეობის ავტომანქანით იმდროს გაიტაცეს.

ქალმა თვალი იქ მყოფთ მოავლო, მხრები უხერხულად აწურა და ატირდა.

— ორივეს ბედი თქვენს პასუხზეა დამოკიდებული. სიმართლე თქვით, სიცრუეზე პასუხს აგებთ.

— ხომ არ იცით იმ ღამეს კაკო ზირაქიშვილი სად იყო?

— ქალმა მალული მზერა გააპარა. ეჭვმიტანილს სახეზე ხელები აეფარებინა. მისი მუდარით სავსე თვალები წარმოუდგა, თითქოს თხოვდნენ, დამიხსენით, უდანაშაულო ვიღუპებიო.

— ჩემთან იყო — თქვა ჩურჩულით.

— რამდენ ხანს დარჩა?

— მთელი ღამე. ისევ ძლივსგასაგონი ჩურჩული გაისმა.

ირაკლის ქალი შეეცოდა. კაკო ზირაქიშვილს შეუტია.

თქვი ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლიც მიხვდა, დამალვა აღარ შეიძლებოდა. დიდი ხანია ელისო უყვარს. მკვლელობის დღეს თვალი წყალზე მიმავალს მოჰკრა. ორიოდე სიტყვა გადაულაპარაკა. პასუხიც მიიღო. მეტი რა უნდოდა. საღამოს მიაკითხა. მთელი ღამე ერთად იყვნენ. ის იყო ალიონმა მოატანა, ველარ მოისვენა, წამოვიდა. ელისომ გამოაცილა, სწორედ იქამდე, სოფლის წყალი რომ ამოდის.

— შემდეგ?

— შემდეგ!? — ზირაქიშვილმა მხრები აწურა და ელისოს ისეთი თვალებით გადახედა, თითქოს გამომძიებელს კი არა მას თხოვდა, რავქნა იქნებ შენ თქვაო.

ირაკლიმ ეს გამოუთქმელი მოძრაობა შენიშნა.

— თქვენ ხომ არაფერს დაუმატებთ? — ბექაურმა ახლა ქალს მიმართა.

ელისო შეყოყმანდა, მაგრამ უხერხულობა დაძლია და ოდნავ აკანკალებული ხმით თქვა:

— წყალთან ათიოდე წუთს ვიდექი: თან წამოღებული კოკა ავავსე. და უკან გამოვბრუნდი. ამ დროს ვარდენი შემომხვდა. ის ჩემგან არც თუ ისე შორს ცხოვრობს. თავისი სახლისკენ მოიიჩქაროდა. უცნაური ის იყო, რომ არა თუ არ მომესალმა, თავჩაღუნულმა სწრაფად ჩამიარა გვერდით.

ქალი გაჩუმდა.

ბექაურიც მიხვდა, მეტს ველარაფერს იტყოდა.

— რას იტყვით, მკვლელობის დროს სად იყავით? — მიმართა გამომძიებელმა ვარდენ ხატიაშვილს, რომელიც შეტრიალებული ამბით ისე მოდუნებულიყო, რომ სკამის საზურგეს ცარიელ ტომარასავით მისწოლოდა.

ბრალდებულმა პასუხი არ გასცა.

— გეკითხებით!

ხმა არც ახლა გაუღია.

— სად არის თოფი?

ამ სიტყვებმა გამოაფხიზლეს.

— სიმონი მე არ მომიკლავს.

— ვინ მოკლა?

— აღალო დარჩაშვილმა. დუნედ ამოთქვა, მთელი დღის ნაჯაფარივით მოქანცულმა და მოთელილმა.

— აღალომ? განცვიფრდა ყველა.

— დაწვრილებით, —იმედიანად თქვა გამომძიებელმა.

— შევცდი. აღალო დარჩაშვილმა გადამაცდინა, — აღელვებით დაიწყო ვარდენმა, — კოლმეურნეობის ნახირს რამდენიმე ძროხა ავასხლიტოთ, გავყიდოთ, დიდ თანხას ამოვიღებთო. მენახირე საუბარში უნდა გამერთო. სიმონმა ის იყო მდინარედან პირუტყვი ამორეკა. მასთან მაშინ მივედი. ლაპარაკით შევიყოლიე. ნახირი ტყეს შეეფინა. მენახირე ქვას დაეწოდა. თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი, ბუჩქებიდან აღალო გამოხტა. თოფი გავარდა. სიმონმა წელში გასწორებაც ვერ მოასწრო, პირქვე დაემხო. შიშმა ამიტანა. დამემუქრა. ჭკუაზე მოდი, შენც მონაწილე ხარ, არ გაბედო, არსად წამოგცდესო. ძროხები ღამით კოლმეურნეობის მანქანით გავიტაცეთ. დაკალით და მეზობელ რაიონში მივმალეთ.

ყველამ იგრძნო, სათქმელი გარკვევით ითქვა. მისი სიტყვები თუ მთლიანად გულწრფელი არა, დამაჯერებელი მაინც ჩანდა.

ვარდენი გაიყვანეს...

9

აღალო დარჩაშვილის ქვითკირის ორსართულიანი სახლი, სოფლის განაპირას იდგა. კაკლების ჩრდილში ჩაფლულს, ძეძვის მაღალი ღობე ჰქონდა შემორტყმული.

დევ-კაცმა ანაზდეულად უკან დაიხია.

ეზოში გაჭიმულ მავთულზე ჯაჭვმა გაისრიალა. ნაგაზი აყეფდა. ჭიშკარი ხანშიშესულმა დიასახლისმა გააღო.

— ვინ გნებავთ? —

— ჩვენ პროკურატურიდან ვართ. უპასუხა ბექაურმა და ჯიბიდან ჩხრეკის ორდერი ამოიღო.

ქალი შეკრთა.

— პროკურატურიდან?... მობრძანდით! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუპატიჟებელ სტუმრებს ეზოში შეშფოთებული შეუძღვა.

ხის მოჩუქურთმებული კიბე აჭრიალდა. აივანზე რომ ავიდნენ, დიასახლისმა ქმარს დაუძახა.

— აღალო, გამოდი კაცო!

პასუხი არავინ გასცა. ოთახში შევიდნენ. ფარდაგდაგებულ ძველ ტახტზე ჭარმაგი მამაკაცი წამოწოლილიყო. ზანტად წამოდგა, ბრგე ტანი გამართა. ორმოცდაათს იქნებოდა მიღწეული. ჯერ კიდევ ჯანზე ჩანდა. სიმსუქნისაგან გასიებულ და წითურ ლოყებზე მოთქლეშილი ცხვირი მწიფე პამიდორივით აჯდა. მის შუბლსა და მოტვლეპილ თავს ერთმანეთისაგან ხშირი ნაოჭებით თუ განასხვავებდით. აბურძგნულ ცოცხა ულვაშებს ქვედა ტუჩიც დაეფარა. ნამძინარევი თვალები ახალმაჭარივით ამოვრეოდა.

— რაზე შეწუხებულხართ? — იკითხა გაგულისებულმა.

— შაშხანა გვინდა! — მშვიდად უთხრა ბექაურმა.

— შაშხანა ვინ მომცა, სადა მაქვს? — ღრენით თქვა სახლის პატრონმა.

— მაგას გავარკვევთ! ირაკლიმ ქერა ლეიტენანტს ანიშნა.

გამომძიებელმა აღალო დარჩაშვილს დადგენილება აჩვენა. ჩხრეკას შეუდგნენ ვერც ოთახში ვერც მარანში ვერაფერი ნახეს. ეზო და დამხმარე სათავსოებიც გულმოდგინედ მოათვალიერეს. უშედეგოდ და უიმედოდ უკანვე შებრუნდნენ. ბექაურმა ოქმის შედგენა დაიწყო. ახლა შეამჩნია სხვენში, ასასვლელი.

— კიბე, ბრძანა გამომძიებელმა.

აღალო შეკრთა. ირაკლიმ შენიშნა. უფრო იმედიანად მოითხოვა:

— კიბე მოიტანეთ!...

რამდენიმე წუთის შემდეგ ქერა ლეიტენანტი უკვე სხვენში მიძვრებოდა.

ბექაურმა სახლის პატრონს შეხედა. გაჭაღარავებული და აბურძგნული მარჯვენა წარბი აღალოს ნერვიულად უთამაშებდა.

— არის! — მოისმა ციხისელის მკვეთრი ხმა სხვენიდან.

ჩამოიტანა. ლულა გადაჭრილი, მტვრიანი შაშხანა ბექაურმა ხელში დიდხანს ატრიალა. შემდეგ დარჩაშვილი შეათვალიერა და წყნარად თქვა:

— თქვენ დაპატიმრებული ხართ.

დევკაცმა ანაზდეულად უკან დაიხია, კედლებს გახედა. იქ, გრძელი თასმით ორპირული ეკიდა.

— წინააღმდეგობა?! — მკაცრად თქვა ქერა ლეიტენანტმა და ჯიბეზე ხელი გაისვა, მომყევით!

თავდაღუნული აღალო მძიმე ნაბიჯებით გაყვა...

მანქანით იმ ადგილს რომ მიაღწიეს, სადაც ზირაქიშვილის ქვრივი ცხოვრობდა, დარჩაშვილმა კბილების ღრჭიალითა და რაღაც არაადამიანური ხმით ამოიღმუვლა. შენიშნეს, ნინოს ზურიკელა ეთამაშებოდა.

უკან, ჭიშკართან დედაკაცი ქოთქოთებდა. ავად ხმაურობდა ნაგაზიც.

10

ტყავგადაკრული მძიმე კარი უხმოდ გაიღო. პროკურორის კაბინეტში აღალო დარჩაშვილი შემოიყვანეს.

პროკურორმა ზორბა აგებულების დევკაცი ყურადღებით შეათვალიერა. აღალო შეთავაზებულ სკამზე წარბშეუხრელად დაჯდა. ძარღვებდაბერილი მკლავები მაგიდაზე მორგვებივით დააწყო. მის ალკოჰოლისაგან შეღაჟღაჟებულ სახეზე მხოლოდ გულგრილობა აღბეჭდილიყო.

— ირაკლი? — ანიშნა პროკურორმა.

კი, ბექაურმა იცის, მკვლელი პროკურორის თანდასწრებით უნდა დაკითხოს. თუმცა ეს უტეხი კაცი რამდენჯერმე უკვე დაკითხულიც ჰყავდა. და მასში ყოველთვის რაღაც ახალს მანამდე შეუცნობელს ნახულობდა, გამბედავი, შემართებული, ჯიუტი, და თავისთავში მუდამ დარწმუნებული —ასეთი იყო. ოდესღაც სახელგანთქმული ფალავანი, შემდეგ „ყაჩაღაღალოდ“ წოდებული, დიდი მოქეიფე, ღვინისმსმელი. ბოლოს, როდესაც მწყემსად გავიდა, ყველას ეგონა, რომ ქარაფშუტა, დარდიმანდულ დროსტარებაზე ხელი აიღო და ცხოვრებას მეტი გულისყურით მოეკიდა. და აი, ახლა მკვლელი.

— თქვენ უკვე იცით, ბრალი სიმონ ზირაქიშვილს მკვლელობაში გედებათ, ისიც დადგენილია, კოლმეურნეობის ოთხი ძროხა თქვენ გაიტაცეთ.

— დამიმტკიცეთ. — მშვიდად უპასუხა დარჩაშვილმა.

მისმა სიმშვიდემ პროკურორი განაცვიფრა.

— ამ კაცს გულის მაგიერ ალბად ქვა უდევს, — გაიფიქრა მან და შემდეგ მწყრალად უთხრა, — ჩვენ მხოლოდ დასამტკიცებელს ვამტკიცებთ!

— გაღუნული ტყვია, ლულაგადაჭრილი შაშხანა, კოლმეურნეობის მანქანა, ვარდენ ხატიაშვილი, კიდევ რას ითხოვ? — გამწარდა ბექაურიც.

— მეტს არაფერს,—ისევე მშვიდადა და გულგრილად თქვა ბრალდებულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

--- მაშ აღიარეთ, — შეუტია ამ სიმშვიდით მოწამლულმა გამომძიებელმა.

ეს ბრალდებულმაც შენიშნა. ირონიულად ჩაიცინა.

— მე თქვენისთანა ბალღები ვერ შემაშინებენ. მე მოვკალ ზირაქიშვილი — თქვა მან.

—მე მოვკალ ზირაქიშვილი — თქვა მან.

ბენ. მე მოვკალ! მტკიცედ თქვა. — კაცმა რომ თქვას უკან დასახევი გზა არცა მაქვს. იმ ღლაპმა ვარდენმა მიმტყუნა თორემ...

— პროკურორსაც და გამომძიებელსაც გულზე მოეშვათ.

— მე მოვკალ სიმონ ზირაქიშვილი, ერთადერთი ქალიშვილი გამიუბედურა, შურისძიების ცეცხლი მწვავდა. შევასრულე კიდეც. — თვალები დახუჭა. ერთ ხანს ასე გაქვავებულივით იჯდა. ცრემლები გადმოეყონა და მის დიდიხნის გაუპარსავ ლოყებზე ისე დაგორდნენ, გეგონა ბოდათ გზას ტყეში მოვარდნილი ჩანჩქერი მიიკვლევსო.

ახლა ამ შეუდრეკელი კაცის ცრემლებმა განაცვიფრა ორივე. დიდი გული ჰქონია, შიგ დიდი ბოროტებაც იყო. მაგრამ ეს ცრემლები?!...

— შვილის სახელით ნუ ვაჭრობთ, — მკაცრად თქვა ბექაურმა, — ლირიკული გრძნობების გამოჩენა საჭირო არ არის. ის თქვენ თვითონ გააუბედურეთ. ცრემლები მხოლოდ ფარდაა. მკვლელი ხართ და კოლმეურნეობის ქონების გამტაცებელი. პასუხს ამაზე აგებთ.

აღალო დარჩაშვილმა თავი ასწია. ცრემლები შეაშრო, წამით დაკარგული სიმშვიდე დაიბრუნა, ამაყად გასწორდა, ისევ ცივი და გულგრილი გამომეტყველება მიიღო.

პროკურორმა ღილაკს თითი დააჭირა. მკვლელი გაიყვანეს.

— მაშ ასე! — თქვა ბექაურმა და ხელმძღვანელს კმაყოფილი გამოეთხოვა.

* * *

ირაკლი ქუჩაში გამოვიდა. ალაზნის ველზე ნაზად დაქსელილი მეწამული ბინდი წვებოდა. ოდნავ არხევდა მთვლემარე ჰაერს ბამბის ქულებივით აქა-იქ მიმოფანტული ღრუბლის ნაფლეთები ცის კაბადონზე ტაატით მიცურავდნენ. თემშარს ნელი ნაბიჯით გაუყვა. მეორე მხარეს შავებში ჩაცმული ქალი და პატარა ბიჭუნა შენიშნა. იცნო. ნინო და ზურიკელა იყვნენ. გზას ხელიხელჩაკიდებულნი მიყვებოდნენ.

— არა, ულამაზო სიყვარული არ არსებობს! — თავისთვის ჩაილაპარაკა ბექაურმა და პაპიროსს მშვიდად მოუკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფერატები

რაიონული საბჭოს სესია ისმენს პროკურორის ანგარიშს

თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს სესიამ ამ ცოტა ხნის წინათ განიხილა საკითხი „რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“. მოხსენებით გამოვიდა რაიონის პროკურორი, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი შ. მანჯავიძე.

— კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის სულისკვეთებით. ამჟამად, როცა ჩვენი სამშობლო შევიდა განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში, საჭიროა არა მარტო ის, რომ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მაღალ დონეს, წარმოების სწრაფ ზრდას, პროდუქტების სიუხვეს, არამედ ახალი ადამიანის აღზრდას.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, ყველა მოქალაქის ჩაბმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

უკანასკნელ ხანს საზოგადოებრიობა სულ უფრო გაბედულად და ფართოდ მონაწილეობს კანონიერების დაცვაში, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისა და მოქალაქეთა უფლებების დამრღვევებთან ბრძოლაში. ყოველივე ამის შედეგად საბჭოთა მართლწესრიგის ზუსტი დაცვა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების პატივისცემა მშრომელებისათვის წესად იქცა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივი ყოფაქცევის ნორმებს და მათ წინააღმდეგ ვადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საკითხებზე.

თუმცა რაიონში შემცირდა ისეთი სახის დანაშაულებანი, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, მოქალაქეთა ქონების დატაცება და ძარცვა, სპეკულაცია. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვხვდებით განსაკუთრებით საშიშ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს, ისეთებს, როგორიცაა სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცება, გაუპატიურება, ბანდიტიზმი და სხვ.

შემდეგ შ. მანჯავიძე ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რასაც რაიონის პროკურატურა ახორციელებს სახელმწიფო და საზოგადო ქონების დამტაცებელთა, ვაჭრობის წესების დამრღვევთა, ხულიგნობის წინააღმდეგ.

მოხსენებაში მოყვანილ იქნა რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ლმობიერი ვანაჩენის გამოტანის არაერთი ფაქტი, ყურადღება გამახვილებული იქნა რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების ერთობლივ ღონისძიებებზე დანაშაულობათა გახსნისა და აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, ამხანაგური სასამართლოების მუშაობაზე. აღინიშნა, რომ ამხანაგურ სასამართლოებისადმი პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს დახმარება ძალზე სუსტია. მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე რაზმეულთა საქმიანობაზე.

კამათში გამოსული რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შ. გაბიტაშვილი შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რაც უკანასკნელ ხანს სახალხო სასამართლომ გაატარა რაიონში სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

შ. გაბიტაშვილი შეჩერდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე აღსაზრდელად და ვამოსასწორებლად დამნაშავე პირთა გადაცემის საკითხზე, აღნიშნა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაცია უსაფუძვლოდ აღძრავს შუამდგომლობას დამნაშავე პირის კოლექტივზე გადაცემის შესახებ. მაგალითად თბილისის ავეჯის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, რათა მათთვის აღსაზრდელად გადაეცათ ვ. ვ. ლებანიძე, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა თავაწყვეტილი ხულიგნობისათვის. ადრე ვ. ვ. ლებანიძე გასამართლებული იყო ყაჩაღობისათვის და მისჯილი ქონდა 15 წლით პატიმრობა. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე ტრამვაიტროლეიბუსების სამმართველოს მუშათა კოლექტივმა, რათა ო. ბაკურაძე, რომელმაც უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და იმსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე, აღსაზრდელად გადასცემოდათ მათ. შემდეგ შ. ვაბიტაშვილი შეეხო სასამართლო-პროცესებზე საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალდებისა და დამცველის მონაწილეობას წვრილმან ხულიგნობაზე ჩადენილ დანაშაულობათა საქმეებზე და სხვ.

რაიმილიციის უფროსი, დეპუტატი გ. გამყრელიძე შეჩერდა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების ერთობლივ მუშაობაზე რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

— საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა გ. კარტოზიამ მოიყვანა იმის კონკრეტული მაგალითები, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ რაიონის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

— რაიკომის მიერ აღრიცხულ იქნა ის ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ და არავითარ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში არ იყვნენ ჩაბმულნი. მათთან ჩატარდა სპეციალური თათბირები. სამუშაოზე გაგზავნილ იქნა 670 ახალგაზრდა, რომელთა უმრავლესობა ამჟამად ნაყოფიერად შრომობს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დეპუტატებმა გ. იანვარიანმა, ს. გელაშვილმა.

სესიაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. დანელია.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ.

საგამომძიებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ამას წინათ, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების ინიციატივით ჩატარდა გაფართოებული ოპერატიული თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი — რესპუბლიკის საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი 1961 წელს და ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.

თათბირს, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, ესწრებოდნენ საქ. სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების ყველა ოპერატიული მუშაკი, ქ. თბილისის რაიონების პროკურორები, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საკონტროლო — სარევიზიო სამმართველოს და ამავე სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბუღალტრო ექსპერტიზის ბიუროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სასაქონლო ექსპერტიზის, სასამართლო-საბუჰალტრო ექსპერტიზის ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კრიმინალისტური ლაბორატორიის თანამშრომლები.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გ. მეგრელიშვილი ვრცლად შეჩერდა და ღრმა ანალიზი გაუკეთა იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რაც გამოძიების ხაზით იყო დაშვებული გასულ წელს.

შემდეგ ამხ. გ. მეგრელიშვილი ლაპარაკობს კადრებთან მუშაობის, მათი აღზრდისა და დაწინაურების საკითხებზე, შეეხო გამომძიებლის მიერ დანაშაულის ადგილის დათვალიერებისა და სათანადო ოქმის შედგენის მნიშვნელობას, ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ვერსიების შერჩევაზე და გამოძიების დაგეგმვაზე, გამომძიებლის და მომკვლევი ორგანოების მუშაობის კოორდინირებაზე, განიხილა საკითხი, თუ რამდენად სწორია, როდესაც გამოძიება წარმოებს მხოლოდ ერთადერთი ვერსით და ა. შ.

გ. მეგრელიშვილი ჩერდება ღონისძიებებზე და მეთოდებზე, რაც ხელს შეუწყობს საგამომძიებლო ორგანოებში გასულ წელს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

— უხარისხო გამოძიების ძირითადი მიზეზი ის არის, — ამბობს საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელი დ. ქორიძე, — რომ გამომძიებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არ კითხულობს უახლოეს იურიდიულ ლიტერატურას, სათანადოთ არ აფასებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, რის დროსაც ყურადღებას არ აქცევს ყველა დეტალს. „შეეხო რა საბრალდებო დასკვნის შედგენის მნიშვნელობას, მან წამოაყენა წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადება ცალკეული დარგის დანაშაულზე შედგენილი სანიმუშო საბრალდებულო დასკვნები გასაცნობად დაეგზავნოს რესპუბლიკის გამომძიებლებს.

ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი ი. ჟორდანია შეჩერდა ექსპერტიზის მუშაობის საკითხებზე. — ხშირია შემთხვევა, — ამბობს ი. ჟორდანია,— როდესაც ამათუიმ საქმესთან დაკავშირებით სათანადო საექსპერტო დასკვნების მიღება ჭიანურდება, რაც გავლენას ახდენს საქმის დროულად დამთავრებაზე. ზოგჯერ კი ერთიდაიგივე ნივთმტკიცება იგზავნება სხვადასხვა საექსპერტო ბიუროებში, რის გამოც თვეობით ჭიანურდება ექსპერტიზის ჩატარება. ი. ჟორდანიამ დააყენა საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში კრიმინალისტური ინსტიტუტის შექმნის შესახებ, სადაც გაერთიანებული იქნება მრავალი სახის ექსპერტიზები.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გრ. ბიწაძემ ვრცლად განიხილა ის ღონისძიება, რასაც პროკურატურის ორგანოები ატარებენ საშიშ დანაშაულობათა ჩამდენ პირთა მიმართ და შეეხო აგრეთვე ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს, — თუ დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევებს კიდევ აქვს ადგილი, ამის მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უხარისხო გამოძიებას და არის იმის შემთხვევებიც, როდესაც ზოგჯერ დანაშაული გაუხსნელი რჩება, ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი გამომძიებელი კონტაქტს არ ამყარებს ოპერატიულ მუშაკებთან და საზოგადოებრიობასთან.

თავის გამოსვლაში ამხ. გრ. ბიწაძე ვრცლად შეეხო გამოძიების პროცესში სარევიზიო — საექსპერტო ჯგუფების მუშაობის საკითხს გამომძიებელთან კონტაქტში. მან აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც დიდი განსხვავებაა სარევიზიო მასალებსა და ექსპერტიზის დასკვნას შორის, საჭიროა სადაო საკითხის გადაწყვეტისათვის ერთ-დროულად იქნეს გამოწვეული რევიზორები და ექსპერტები.

მილიციის ორგანოებში საქმის საფუძვლიანად აღძვრის ან არ აღძვრის საკითხებს შეეხო ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მომკვლევი განყოფილების უფროსი პ. ხომერკი,

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო საკონტროლო სამმართველოს უფროსმა შ. ქუთათელაძემ მოითხოვა, რომ სადაო საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ გამომძიებლებმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბუჰალტრო ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მოადგილემ ი. ამაშუკელმა, სასამართლო—სამედიცინო ექსპერტმა ვ. შანიძემ, რ. გვეტაძემ და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა და ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი.

შეეხო რა გამომძიებლის მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, ამხ. პ. ე. ბერძენიშვილმა დაასახელა კონკრეტული ნაკლოვანებანი, რაც იწვევს საქმეთა უხარისხო წარმოებას. — ცუდად წარმოებული გამოძიების ძირითად მიზეზად, — ამბობს იგი, — უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიება დაწყების მომენტისთანავე მიმდინარეობს უხარისხოდ. გამომძიებლები არ აგროვებენ და არ აფართოებენ პირველად მასალებს, რასაც საქმის შემდგომი მსვლელობისათვის აუცილებელი მნიშვნელობა აქვს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

გურჯაანის ხეტყის დამზადების ბაზის თანამშრომლების მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, მომკვლევი ორგანოს მიერ სანქციის მიცემის შემდეგ დანიშნულ იქნა რევიზია. საქმის გამოძიება აწარმოა ყოფილმა, გამომძიებელმა დონჯაშვილმა, რომელმაც უგულისყურად, ზერელედ წარმართა გამოძიება, რის შემდეგ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მოსპო საქმე. მართალია აღნიშნული საქმე შემდეგ აღდგენილ იქნა, მაგრამ იმის გამო, რომ თავიდანვე გამოძიება წარმართულ იყო არასწორად, საბოლოოდ საქმე მოისპო წარმოებით.

გამოძიების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ გამომძიებლები თავის დროზე არ ადებენ ყადაღას ბრალდებულთა ქონებაზე, რათა ანაზღაურებულ იქნეს ზარალი.

შემდეგ ამხ. პ. ე. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ გამომძიებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მცირე დანაშაულის ჩამდენ პირთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გადაცემას მათი შემდგომი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, სუსტად იყენებენ საზოგადოებრიობას დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. პ. ე. ბერძენიშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო ის ღონისძიებანი, რაც საქართველოს სსრ პროკურატურას აქვს განზრახული უახლოეს ხანში საგამომძიებლო მუშაობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

ზ. მესენგისერი.

ბ 41/233

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР